გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2009
№285 (12964) ფასი 60 თეთრი



# გეყოლოთ!



## ზუგდიდელებმა გორში მსაჯებზე ხელი აღმართეს




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ ვაკეში. დინამო–ჩიხურა 0:0

» გვერდი 2

## ნახევარფინალში: დინამო, სპარტაკი, ვიტ ჯორჯია, მარტვილი




## განთესვა არის, ხვალ წილისყრაა

## არანაირი მარადონა! შემოდი, შარლიზ!

» გვერდი 6

## ანრის სასჯელი ელის



» გვერდი 6

## ლაციოს ევროპაშიც შავი დღეები უდგას

ევროპის ლიგა

» გვერდი 6



# მეორე სენსაცია მეტისმეტი იქნებოდა...

02.12.09. თბილისი. მ. მესხი
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 0 |
| ჩიხურა | 0 |

პირველი მატჩი 1:1

დინამო: ლორია - შ. კაშია, გ. კაშია, კაკუბავა, თომაშვილი - მამუჩაშვილი (75. ფირცხალავა), ედნილსონი, ნემსაძე - სიხარულიძე (90. ჩადუნელი), აკირემი (80. ქანთარია), მერებაშვილი.

სათადარიგოები: ნადირაძე, გეთიაშვილი, ლეკვთაძე, ლომია

ჩიხურა: დოლაძე - მაჭარაშვილი, გვეტაძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა - დეკანოიძე, ჭილლაძე, ზამბახიძე, კობახიძე - ქამუშაძე (65. ზ. ნოზაძე) - ენუქიძე (85. სტეფანიშვილი).

სათადარიგოები: მწყერაშვილი, ცარციძე, ბ. პეტრიაშვილი, ივანიშვილი, გიორბელიძე

გაფრთხილება: ედნილსონი (55), ნოზაძე (71)

არბიტრი მ. ურუშაძე

...მატჩის დასრულებამდე ორი წუთი იყო დარჩენილი, **ბესიკ დეკანოიძის** მოხდენილი პასით **იმედა ტყებუჩავა** ხელსაყრელ პოზიციაზე რომ აღმოჩნდა; სტუმართა მარცხენა მცველი, ეტყობა, ასეთ „საჩუქარს“ არ ელოდა, თუმცა მაინც შეძლო და „დინამოს“ კარის მიმართულებით ბურთი ძლიერი დარტყმით გაგზავნა; მასპინძლები **გიორგი ლორიამ** იხსნა, ოღონდ მოგერიებული ბურთი ისევ ტყებუჩავას მიუვიდა და აი, განმეორებითი დარტყმა უკვე არაზუსტი გამოდგა. ვერავინ იტყვის, თუ რა მოხდებოდა, ამ მომენტში გოლი რომ გასულიყო - „დინამოს“ ანგარიშის გასათანაბრებლად მხოლოდ ორი წუთიღა დარჩებოდა; თუმცა, კიდევ ერთი სათასო სენსაცია აღარ მოხდა და ამ უგოლო ფრემ ნახევარფინალში თბილისის „დინამო“ გაიყვანა! აი, სად ნაადგა **კახა კაჭარავას** გუნდს სტუმრად გატანილი გოლი (საჩხერეში თავი **გურამ კაშიამ** გამოიჩინა) და ახლა „დინამო“ უკვე მომავალი მეტოქის მოლოდინშია. გასაგებია, რომ ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს გუშინ შთამბეჭდავი თამაში არ უჩვენებია, - უფრო, პირიქითაც იყო; მაგრამ, სათასო სპეციფიკიდან და პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, მთავარი მაინც ნახევარფინალის საგზურის მოპოვება იყო და „დინამომ“ ეს მოახერხა. აი, „ჩიხურას“ კი, მართლაც, ქების სიტყვები უნდა მივუძღვნათ - **სოსო ფრუიძის** გუნდმა ნამდვილად არ დატოვა ცუდი შთაბეჭდილება და სტუმართა ფეხბურთელებს ცოტა მეტი სითამამე რომ ჰქონოდათ, შესაძლოა, მათთვის სასურველი შედეგისთვისაც მიეღწიათ. აი, მონდომებას კი „ჩიხურას“ ფეხბურთელებს ნამდვილად ვერ დავუკარგავდით; ისიც თვალში საცემი იყო, რომ გამოცდილ მწვრთნელს სოსო ფრუიძეს საკუთარი გუნდი ფიზიკურად მშვენივრად ჰყავდა მომზადებული; ფრუიძეს განვრთნილ გუნდებს ტაქტიკაც არასდროს დაენუნებოდა და გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც თამაშის განმავლობაში „ჩიხურა“ რამდენჯერმე „გადაეწყო“. აი, „დინამოს“ საკადრო პრობლემებზე კი, ალბათ, სქელტანიანი წიგნიც დაიწერებოდა - კახა კაჭარავას ამჯერადაც ექსპერიმენტული შემადგენლობის გამოყვანა მოუხდა. სიახლე იყო „დინამოს“ ტაქტიკურ განლაგებაშიც - სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენ კი ნამდვილად ვერ გაგვიხსენებია, თუ როდის ითამაშა კაჭარავას ხელმძღვანელობით გუნდმა 4-3-3 განლაგებით.

...ხელოვნური განათების გარდა, მატჩს გარკვეული ხიბლი საჩხერიდან ჩამოსულმა 200-მდე ქომაგმაც შემატა, მთელი მატჩის განმავლობაში ენერგიულად რომ ქომაგობდნენ მშობლიურ გუნდს. ასეთი გულშემატკივრობის „შემხედვარე“, „ჩიხურას“ ფეხბურთელები, უბრალოდ, ვალდებულნიც იყვნენ, რომ მეტოქის ავტორიტეტისა თუ რეგალიების მიუხედავად, მატჩი ენერგიულად ჩაეტარებინათ. შეხვედრის დასაწყისმაც ყოველივე ეს დაამტკიცა: „ჩიხურამ“ თამაში აქტიურად დაიწყო, თან ჯერ მარჯვენა ფლანგზე ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას, მერე უკვე - მარცხენაზე. ამ წუთებში განსაკუთრებით სტუმართა 17 წლის მარჯვენაფლანგელი ბესიკ დეკანოიძე გამოირჩეოდა, ერთ ეპიზოდში **ლაშა კობახიძესთან** მოხდენილი კომბინაცია რომ გაითამაშა და ფლანგიდან მწვავედ შეუტია, მაგრამ „დინამოს“ საჯარიმოში მის ჩაწოდებას გაგრძელება არ მოჰყოლია. მასპინძლებმა მაშინვე უპასუხეს: ამ შეხვედრაში აქტიურობით გამორჩეულმა კიდევ ერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა **ირაკლი სიხარულიძემ** (გუშინ მარჯვენა გარემარბად რომ მოგვევლინა) საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ **შალვა დოლაძეს** ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია. მალე, „დინამოს“ კიდევ ერთი კარგი შანსი ჰქონდა: **შოთა კაშიას** შორეული და ზუსტი პასის მერე, **ჯორჯ აკირემიმ** ბურთი მკერდზე მიიღო და ასევე ეფექტურად ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

პირველი ტაიმის ბოლომდე ორივე კართან განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით საჯარიმოდან გურამ კაშიას დარტყმას - ბურთი მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარს.

მეორე ტაიმის დასაწყისში „დინამო“ მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა და აქტიურობის შედეგიც იყო, რომ ორწუთიან ინტერვალში ზედიზედ ორი სახიფათო მომენტიც შექმნა. ჯერ, **გიორგი მერებაშვილისა** და ჯორჯ აკირემის კომბინაცია ვიხილეთ, **გიორგი მამუჩაშვილი** რომ ასრულებდა ძლიერი დარტყმით - ბურთი მიზანს ასცდა; შემდეგ კი გოლის გატანის რეალური შანსი მერებაშვილს ჰქონდა, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი ჯერ დოლაძემ მოიგერია, მერე კი სტუმართა კარის ხარიხას მოხვდა. ფაქტობრივად, მეორე ტაიმის 15 წუთი ისე მიიღია, სტუმრები ერთხელაც არ დამუქრებიან მასპინძელთა კარს; აი, ამის შემდეგ იყო, ჩვენ მიერ უკვე ნაქებმა ბესიკ დეკანოიძემ შორიდან რომ დაარტყა, მაგრამ გიორგი ლორიას ბურთის აღება არ გასჭირვებია. სტუმართა თავკაცი შეცვლებით შეეცადა თამაშში გარდატეხის შეტანას - „ჩიხურას“ ხომ მხოლოდ გამარჯვება ან უხვგოლიანი ფრე (2:2, 3:3) სჭირდებოდა ნახევარფინალში გასასვლელად. თუმცა, **ნუკრი მაჭარაშვილის** შორეულ დარტყმას თუ არ ჩავთვლით, სტუმრებს რაიმე ღირებული შეტევაში არაფერი გაუკეთებიათ; აი, „დინამო“ კი, კვლავაც „წუთიერი აფეთქებებით“ შეგვახსენებდა ხოლმე ყველას, თამაშის რიტმს და საერთოდ, მოედანზე არსებულ სიტუაციასაც რომ აკონტროლებდა; ამის დასტური იყო ის ერთწუთიანი მონაკვეთიც, „ჩიხურა“ ზედიზედ ორჯერ რომ გადარჩა; მერებაშვილმა მახვილი კუთხიდან საჯარიმო პირდაპირ კარში „ჩაახვია“, მაგრამ დოლაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამ კუთხურს კი მორიგი ხიფათი მოჰყვა - **ლევან კაკუბავა** ახლო მანძილიდან თავით ზუსტად და ძლიერად ურტყამდა, მაგრამ დოლაძემ საკუთარი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა!

ამასობაში კი მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და სწორედ მაშინ იყო ის ეპიზოდი, ზემოთ რომ ვახსენეთ; თუმცა, „დინამომ“ მაშინათვე სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო და ახალგაზრდა **ზვიად ქანთარიას** ჩინებული ფლანგური გარღვევა მეტოქის საჯარიმოში ზუსტი გადაცემითაც დასრულდა, თუმცა **ნიკოლოზ ფირცხალავა** თავით რთული მდგომარეობიდან ურტყამდა და ბურთიც მიზანს ასცდა. ამის შემდეგ იყო მსაჯის მიერ დამატებული 2 წუთი, „დინამოს“ მწვრთნელების მიერ განხორციელებული მესამე, ტაქტიკური ცვლილება და მატჩიც დასრულდა; დასრულდა ერთი შეხედვით ლოგიკურად, თუმცა, კიდევ ვიმეორებთ - რანგით დაბალი ლიგის წარმომადგენელ „ჩიხურაზე“ ენა ვის უნდა მოუბრუნდეს. ბოლოს და ბოლოს, სოსო ფრუიძის გუნდმა თასის ამ გათამაშებაში ერთი ხმაურიანი სენსაცია მოახდინა („ოლიმპი“ რომ გამოაგდო), აი, მეორე კი ველარ შეძლო...

**გია ტუხაშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# განაჩენი გამოტანილი ჰქონდათ...

## ცემა-ტყეპა და ლანძღვა-გინება ჩვენი ფეხბურთის სიმბოლოდ იქცა

02.12.09. გორი. ქართლი
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 2 |
| ბაია | 1 |

პირველი მატჩი 1:1

1:0 ცხადაძე (19. დათუნაიშვილის პასით), 1:1 ჯიქია (24. ვართაგავას პასით), 2:1 გილაური (84)

სპარტაკი: ბათიაშვილი - გილაური, კვახაძე, ბაქრაძე, დეკანოსიძე - დათუნაიშვილი (48. შალამბერიძე), მანწკავა, შონია, მაისურაძე - ცხადაძე (86. გოცირიძე), კლოვისი (88. კანდელაკი).

სათადარიგო: გვენცაძე, კპილცეცხლაშვილი, ზონი

ბაია: მაქაცარია - ექონია, აქუბარდია, ონიანი, კვევესკირი (85. პაჭკორია) - გ. ქირია, გუჩუა, ვართაგავა, ძალამიძე (77. კუტალია), გუგუჩია (63. სიხარულია) - ჯიქია.

სათადარიგო: ზარქუა, ჯვანია, ეხვაია, დ. ქირია

გაფრთხილება: ვართაგავა (65), ჯიქია (88)

გაძევება: გუჩუა (42)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

საინტერესოა, როდის დასრულდება უმსგავსობა, რითიც სავსეა თანამედროვე ქართული ფეხბურთი. ლაპარაკია ცემა-ტყეპაზე, რომელიც ლამის ყოველი მატჩის თანამდევია და ასე მოხდა „სპარტაკი“-“ბაიას“ სათასო დაპირისპირების შემდეგაც. მსაჯების შეცდომებით ბევრი გუნდი დაზარალებულა, მაგრამ ტენდენციად იქცა, რომ თითქმის ყველა დამარცხებული წარუმატებლობას მსაჯს აბრალებს და ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც არ ერიდება. ზუგდიდელ გულშემატკივრებს ძალიან უნდოდათ, საყვარელი გუნდი ნახევარფინალში ეხილა, მაგრამ... რაკი ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა, მიიჩნიეს, რომ ამაში დამნაშავე უთუოდ არბიტრი უნდა ყოფილიყო და „ქართლის“ არენაზე დებოში ატეხეს. ვერ ვიტყვით, რომ „ბაიას“ მსაჯებთან პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ის, რაც სტადიონზე მოხდა, ყოველგვარ ზღვარს გასცდა...

ამას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. ახლა უშუალოდ მატჩზე. თამაშის დასაწყისს ორივე გუნდის გულშემატკივართა ყიჟინა ახლდა. თუმცა ამ საფეხბურთო ალტკინებიდან პირველი ტაიმის შემდეგ სტუმარ გულშემატკივართა ლანძღვა-გინებაღა დარჩა. ფეხბურთელებს კი პირველიდან ბოლო წუთამდე თავგანწირვა არ აკლდათ. სტუმრები 4-5-1, ხოლო მასპინძლები 4-4-2 ტაქტიკური სქემით შეუდგნენ ნახევარფინალისკენ მიმავალ გზას.

პირველი ხიფათი მე-7 წუთზე **არჩილ მაქაცარიას** კართან შეიქმნა - მოწინააღმდეგის საჯარიმოში შექმნილი არეულობისას ცხინვალელებმა ახლოდან სამჯერ სცადეს გატანა, თუმცა სამჯერვე მცველები გადაეფარნენ ბურთს. გავიდა ერთი წუთი და დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ივარგა **კლოვისმაც**. სხვათა შორის, „სპარტაკის“ ეს ახალწვეული ნელ-ნელა გაუშინაურდა გუნდს და თანდათან სარგებელიც მოაქვს. კამერუნელი სულ მოძრაობს, იხსნება, ეძებს თავისუფალ ზონებს...

ანგარიში მე-19 წუთზე გაიხსნა. **პავლე დათუნაიშვილმა** სახიფათოდ ჩააწოდა კართან, სადაც ყველას **ბაჩანა ცხადაძემ** დაასწრო და თავურით გახსნა ანგარიში - 1:0. ამის პასუხად, ზუგდიდელებმა რამდენიმე შეტევა უწინდელებზე გონივრულად განახორციელეს და ხუთიოდ წუთში თანაფარდობაც აღადგინეს - **ლევან ვართაგავას** პასით ჯიქია გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და **ბათიაშვილს** შანსი არ დაუტოვა - 1:1.

მალევე **ლუკა გუგუჩია** კუთხურიდან კარში ახვევდა ბურთს, მაგრამ „სპარტაკის“ მეკარემ დროული რეაქცია გამოავლინა და მომენტი განმუხტა. გოლიდან ათიოდე წუთის განმავლობაში „ბაია“ მწვავედ უტევდა, თუმცა შემდეგ უკვე ცხინვალელებმა მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა. კლოვისი თავურით ერთხელაც დაემუქრა სტუმართა კარს...

ამასობაში, ფეხბურთელებმა სიხისტეს უმატეს. მალე **დავით ხარიტონაშვილს** წითელი ბარათის ამოღებაც მოუხდა - **ვალტერ გუჩუამ** მოედანი არბიტრის გინების გამო დატოვა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ზუგდიდელი ფეხბურთელებისა და ქომაგების აგრესია. გუჩუას გაძევებისთვის პირველი „ახსნა-განმარტება“ მსაჯს ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა მოსთხოვეს. ხოლო პირველი ტაიმის ბოლოს, სტადიონის მომსახურე პერსონალს რომ არ ეყოჩაღა, „ბაიას“ გასახდელისკენ მიმავალ რეფერის ფიზიკურადაც გაუსწორდებოდნენ...

მეორე ტაიმი სტუმართა გუნდის იერიშებით განახლდა. მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა, შესვენების შემდეგ ერთხანს „ბაია“ უფრო მეტს უტევდა, თუმცა სახიფათო მომენტების შექმნაში მაინცდამაინც ვერ მარჯვობდნენ.

სპარტაკელთაგან კი გოლთან ახლოს იყვნენ ცხადაძე, **მაისურაძე** და **შონია**. გამორჩეულად სახიფათო იყო **მანწკავას** ზუსტი პასის შემდეგ **შალამბერიძის** უძლიერესი დარტყმა, რომელიც კარს მცირე მანძილით ასცდა.

» მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# ლილუაშვილი სლოვაკეთიდან...


ირაკლი ლილუაშვილი

სლოვაკეთის ჩემპიონატში ამჟამად ერთი ფეხბურთელი თამაშობს - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ლუგანსკის „ზარიას" ყოფილი მცველი **გიორგი ციმაკურიძე**. ამ ქვეყნის უმაღლესი ლიგის კლუბ „ნიტრაში" კიდევ ერთი ჩვენებური, 25 წლის თავდამსხმელი **ირაკლი ლილუაშვილიც** ირიცხება. თუმცა გასული ჩემპიონატის მეორე წრიდან და წელს მოედანზე თითქმის არ გამოჩენილა. არადა, ირაკლი წინა ორი სეზონი კლუბის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ.

„წლის დასაწყისში გასასინჯად უკრაინაში ვიყავი, მაგრამ ალჩევსკის „სტალში" ჩარიცხვა ვერ მოვახერხე და „ნიტრას" დავუბრუნდი. ახლა კონტრაქტის დასრულებამდე ექვსი თვე დამრჩა. ამის გამო, ყოველ ორშაბათს კლუბის ოფისში მიბარებდნენ და კონტარქტის გაგრძელებას მთავაზობდნენ, ნებისმიერ შემთხვევაში თანამშრომლობა უნდა გააგრძელოო. მე უარს არ ვჩქარობდი, მაგრამ სხვა გამოსავალი ალარ მქონდა და ერთი კვირის წინ ახალ კონტრაქტზე უარი რომ ვუთხარი, ხელფასის შემცირებასა და დუბლებში გადაყვანაზე დაიწყეს ლაპარაკი. დუბლების ჩემპიონატი ადრე დასრულდა და კიდევ ერთ შეთავაზებაზე ათი დღის წინ საკმაოდ მკვახედ მივახალე. ნაცვლად იმისა, რომ უკეთესი პირობები შემოეთავაზებინათ, ბრაზდებოდნენ და წამოვედი. არადა, კლუბს სხვა სლოვაკური კლუბები დაელაპარაკნენ, ეს პრეზიდენტმა მითხრა, მაგრამ დაინტერესებული კლუბების სახელები არ უთქვამს იმის შიშით, აქაოდა მოლაპარაკება დამოუკიდებლად არ დაიწყოსო. თავის ჭკუაში მატყუებდა, ახალი კონტარქტი გააფორმე, ითამაშებ და გაცილებით უკეთეს პირობებზე გაიყიდებიო. არადა, სლოვაკეთში თამაში ალარ მსურს, უკეთეს ლიგაში გამოსვლის იმედი და სურვილი გამაჩნია.

ბოლოს უკვე იმაზეც წამოვიდნენ, რომ ნებისმიერ კლუბთან დალაპარაკების უფლება მომცეს, რომ შემდეგ თავად შეათანხმონ ტრანსფერის პირობები. კონტრაქტი მაისში მიმთავრდება. ახლა კი თბილისის „დინამოსთან" ვვარჯიშობ, რისი კანონიერი უფლებაც გამაჩნია. მერე რა იქნება და სად ჩავირიცხები, ეს მალე გაირკვევა. ნესით, „ნიტრასთვის" სჯობია ხელი არ შემიშალოს, თორემ დაველოდები ნახევარი წლის გასვლას და შემდეგ დაინტერესებულ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩავირიცხები", - გვითხრა ლილუაშვილმა.

## როდის დაბრუნდება ვაწაძე?

თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი მათე ვაწაძე ერთი თვის წინ ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გამოიძახეს, მაგრამ ნატკენმა ფეხმა შეაწუხა და კარიერაში მორიგი პაუზა გამოუვიდა - 20 წლის ფეხბურთელის ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა.

მათემ ორი დღეა ვარჯიში განაახლა, მაგრამ ჯერ სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს: „ტკივილები დღემდე მაწუხებს და არ ვჩქარობ. ალბათ, წელს მოედანზე აღარც დავბრუნდები. აჯობებს, მეორე წრემდე ფეხი კარგად მოვირჩინო და გართულებები თავიდან ავიცილო", - ამბობს ვაწაძე.

**მერაბ მამულაშვილი**


მათე ვაწაძე

# განაჩენი გამოტანილი ჰქონდათ...

« მეორე გვერდიდან

როგორც აღვნიშნეთ, სტუმრები სულაც არ ყოფილან გულხელდაკრეფილნი. თუმცა მათ მოქმედებას თან სდევდა მღელვარება და გადამეტებული პროტესტი მსაჯის თითქმის ყველა გადაწყვეტილებაზე...

და მაშინ, როცა გვარიანად დაძაბული მატჩი თითქოს დამატებით დროში უნდა გაგრძელებულიყო, ყველაფერი „სპარტაკის" ერთ-ერთი იერიშისას საჯარიმოს სიახლოვეს დანიშნული ჯარიმით დასრულდა. ყველასთვის მოულოდნელად „სტანდარტული" **ავქსენტი გილაურმა** შეასრულა - ძლიერი დარტყმით ბურთი მაქაცარიას კარის „ცხრიანში" დააჭედა - 2:1.

დარჩენილ დროში კვლავ ნერვების თამაში და ჯიქიას მოქმედებაა აღსანიშნავი - ერთ ეპიზოდში, თამაშგარით უკმაყოფილომ, ჯერ ლაინსმენს, ხოლო შემდეგ არბიტრს ისეთი გინება აუტეხა, გუჩუას საქციელი მონაგონი იყო, მაგრამ... რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ხარიტონაშვილმა ჯიქიას მხოლოდ ყვითელი ბარათი (არადა, ზუგდიდელ ქომაგებსაც არ დაუმალავთ, რომ ჯიქია გასაძევებელი იყო) აკმარა. ეტყობა, ხარიტონაშვილი სიტუაციის უფრო მეტად გართულებას მოერიდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ზუგდიდელებს მისთვის „განაჩენი" უკვე გამოტანილი ჰქონდათ. საფინალო სასტვენისთანავე ხარიტონაშვილსა და მის თანაშემწეებს ჯერ ფეხბურთელები მისცვივდნენ, მოედნიდან გასვლისას კი ქომაგებმა მსაჯებს ქვები და ათასგვარი საგანი დაუშინეს. სიტუაციის განმუხტვას არცთუ მცირე დრო დასჭირდა. სხვათა შორის, ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე ოფიციალურ პირთან ერთად, მატჩს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე **სერგო კვარაცხელიაც** დაესწრო. იმედია, „ქართლზე" მომხდარ ამბებს ობიექტური შეფასება და შესაბამისი რეაქციაც მოჰყვება...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

U 17

# ამ საკითხში უეფაც მხარს გვიჭერს...

## რაც შეიძლება მეტი ამხანაგური

ელიტრაუნდში გასული საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მეტოქეთა გარკვევას ელოდება. მათი ვინაობა 8 დეკემბრის წილისყრაზე გახდება ცნობილი. ელიტრაუნდი გაზაფხულზე გაიმართება, 17-წლამდელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** კი მზადებას უკვე შეუდგა. მან ელიტრაუნდისთვის მოსამზადებელი სპეციალური გეგმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** წარუდგინა.

საინტერესოა, რა გეგმა აქვს დევდარიანს და რას ითხოვს ის ფედერაციის ხელმძღვანელობისგან. რა თქმა უნდა, უმთავრესი საკითხია ამხანაგური მატჩები, თან რაც შეიძლება ძლიერ მეტოქეებთან. დევდარიანს სურს, ელიტრაუნდამდე 8 ამხანაგურ შეხვედრაში გამოსცადოს გუნდი. ჭაბუკთა თავკაცს იანვარში 3, ხოლო თებერვალში 5 საკონტროლო თამაშის ჩატარება აქვს გეგმაში. სპარინგების გასამართი თარიღები - **16, 23** და **30 იანვარი** და **9, 11, 14, 20, 27 თებერვალია.**

სხვათა შორის, დევდარიანს სასურველი მეტოქეების სიაც აქვს ჩამოწერილი - **ინგლისი, გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია.** მზადების დასკვნით ეტაპზე მას 20 და 27 თებერვალს ოთხი სასურველი მეტოქიდან ორთან სურს თამაში, ეს ოთხი სასურველი მოწინააღმდეგე კი **თურქეთი, საბერძნეთი, უკრაინა** და **ირანია.**

ამხანაგური მატჩების ორგანიზებისთვის ფედერაციის შესაბამისი სამსახური უკვე შეუდგა საკონტროლო მატჩების ორგანიზებაზე მუშაობას. ქართულმა მხარემ კოლეგებს წინადადებები უკვე შესთავაზა, ახლა ჯერი მათზეა. პასუხი ჯერ არავის მოუწერია.

17-წლამდელებთან დაკავშირებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას. ჯერ კიდევ ოქტომბერში, როცა დევდარიანის გუნდმა პირველი ეტაპი გადალახა, სიჭინავამ მაშინვე თქვა - ჩვენი ჯგუფის მატჩების საქართველოში ჩატარებაზე ვიზრუნებთო. ეს საკითხი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** უეფაში ამასწინანდელი სტუმრობისას დააყენა. ამ საკითხზე მას უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინისთან** მოუსწრია საუბარი. ერთი სიტყვით, უეფა საქმის კურსში კია, მაგრამ 8 დეკემბრის წილისყრის შემდეგ ჯგუფის მასპინძლობაზე ოთხივე ნაკრებმა უნდა მოილაპარაკოს და შეთანხმება უეფას აცნობოს.

„8 დეკემბერს წილისყრა ელიტრაუნდში ჩვენი 17-წლამდელების მეტოქეებს გაარკვევს. ყველანაირად ვეცდებით, სამივე მეტოქე დავითანხმოთ იმაზე, რომ ელიტრაუნდში საქართველოს ჯგუფის თამაშები აქ, ჩვენს ქვეყანაში ჩავატაროთ. სხვათა შორის, ამ საკითხში უეფაც გვიჭერს მხარს. თუ გადაწყდა, რომ ელიტრაუნდს საქართველო უმასპინძლებს, მაშინ საამისოდ ორი სტადიონი აბსოლუტურად საკმარისი იქნება. ერთი - ეროვნული არენა იქნება, მეორე კი - მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი. მართალია, ვაკის სტადიონზე საფარი ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ მთავარია, ელიტრაუნდის მასპინძლობა დავიბევოთ და საფარს ორ თვეში გამოვცვლით", - გვითხრა სიჭინავამ.

**დავით ცაბაძე**

სატრანსფერო ამბები


გიორგი ნიკურაძე

# იაფად და ხარისხიანად

## სამტრედიას აფრიკა მოამარაგებს. ქართველები ფინეთში კლუბებს იცვლიან

ქართული ფეხბურთის გაჭირვებიდან გამომდინარე, ბოლო დროს ტენდენცია გაჩნდა - ქართველი მენეჯერები იაფფასიანი ბაზრებიდან აფრიკელებისა და სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების, ან კარგად დავიწყებული ძველების ჩამოყვანაზე გადაერთვნენ. ქართული კლუბი ლეგიონერებს თითქმის აღარ იწვევენ, თუკი ისინი დაბალ ხელფასს არ ითხოვენ. არჩევანიც აქედან გამომდინარეობს.

საქართველოს ჩემპიონატში სამი ახალი ლეგიონერი გამოჩნდა და შეიძლება ითქვას, სამივე მათგანი საინტერესო ფეხბურთელია: თბილისის „დინამომ" 27 წლის პორტუგალიელ **ედნილსონ პედრო როჩა ანდრადე მენდესს,** რომელსაც 2003 წელს ეროვნულ ნაკრებში 2 მატჩი აქვს ჩატარებული, წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა.

გაძლიერებას ცდილობენ „სამტრედია" და „გაგრა", ორივე კლუბმა ნახევარმცველები დაიმატა. საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში, ამ გუნდების დაპირისპირებისას გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს ბრაზილიელ **ანტონიო მოიზეს და სილვასა** („გაგრა") და კამერუნელ **ერიკ მბემიზე** („სამტრედია") დაკვირვების საშუალება ჰქონდათ.

**გიორგი ნიკურაძე,** რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრებში უთამაშია, ფეხბურთს 28 წლის ასაკში შეეშვა და მენეჯერობას მიჰყო ხელი. სწორედ მისი ჩამოყვანილია „სამტრედიაში" ზემოთ ნახსენები ერიკ მბემიზე, აგრეთვე მეკარე **ნონოსი,** რომელსაც ჯერ არ უთამაშია.

„ჩემი პარტნიორი ამსტერდამის „აიაქსის" ფეხბურთელის, ტიმოტე ატუბას ძმაა და კამერუნიდან საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელებს მთავაზობს. სწორედ ატუბას დახმარებით, საცდელად „სამტრედიისთვის" ორი ფეხბურთელი ჩამოვიყვანე. ჩვენი თანამშრომლობა „სამტრედიის" პრეზიდენტ ზაზა ადეიშვილის დამსახურებაა, რომელიც მწირი ბიუჯეტის გამო, კლუბის გაძლიერების სხვადასხვა გზას ეძებს. ჩვენ კი იაფფასიანი ფეხბურთელები შევთავაზეთ და საერთო ენაც გამოვნახეთ. მეკარე ნონოსს კამერუნის 17-წლამდელთა ნაკრებში უთამაშია, საყრდენ ნახევარმცველ ერიკ მბემეზე კი პასპორტით 22 წლისაა და კამერუნის უმაღლესი ლიგის კლუბ „დუალაში" გამოდიოდა. თუკი ეს ტრანსფერები გაამართლებს და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება, თანამშრომლობა უფრო მასშტაბურ სახეს შეიძენს. ორივე კამერუნელი „სამტრედიაში" ექვსი თვით აიყვანეს და ამის შემდეგ გადაწყდება, ულირთ თუ არა თანამშრომლობის გაგრძელება. თუმცა, პირველივე შეხვედრაში „გაგრასთან" ერიკ მბემიზემ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ლაპარაკია „სამტრედიასთან" ერთობლივ სამომავლო პროექტებზე. გვსურს, რომ ეს იყოს ევროპაში გადასვლის მსურველი აფრიკელი ფეხბურთელებისთვის ტრამპლინი. აფრიკელებზე ევროპაში დიდი მოთხოვნაა, მაგრამ ბევრ ნიჭიერ ფეხბურთელს არ იცნობენ და შესაძლოა, ამაში ჩვენ დავეხმაროთ და ამავდროულად, ქართული კლუბების ინტერესიც დავაკმაყოფილოთ. თბილისის „დინამოდან" ფრანგულ „ლე მანში" გადასული დიდიე ოვონოს მაგალითი ასეთი ტრანსფერის რეალურობაზე მიუთითებს. ოვონომ ითამაშა ევროთასებზე, გაბონის ნაკრებში, მაგრამ მანამდე არავინ იცნობდა და საფრანგეთში წაიყვანეს. ჩვენ ცხინვალის „სპარტაკთანაც" ვთანამშრომლობთ. სხვათა შორის, აიაქსელი ატუბეს უმცროსი ძმა და კიდევ ერთი ნახევარმცველი ჩამოვიყვანეთ. ატუბე თავდამსხმელია და საფრანგეთის მეორე დივიზიონსა და პორტუგალიაში თამაშობდა. მალე ორივეს გასინჯავენ და დარწმუნებული ვარ, „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს მათი კლასი არ გამოეპარება", - გვითხრა ნიკურაძემ.

ფიფას ქართველი აგენტი, კარიერის დასრულებამდე, ფინეთში თამაშობდა და დღემდე ამ ქვეყანაში მშვენიერი კავშირები შემორჩა. მისი დახმარებით რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი ფინეთის კლუბებში ჩაირიცხა.

„ანზორ კალაძემ მშვენიერი სეზონი ჩაატარა, მისი კლუბი ოპს კი პირველ ლიგაში გადავიდა. კალაძე კლუბში დარჩება, რადგან მისი დიდი იმედი აქვთ. კლუბს შეიცვლის მეკარე ზურაბ ტალახაძე და მომავალი სეზონიდან როპს-ში ითამაშებს. ამავე კლუბში თავდამსხმელი თორნიკე ბახტაძე გადადის, რომელმაც სეზონი „იიპოში" დაასრულა. არაა გამორიცხული, კლუბი შეიცვალოს ნახევარმცველმა თემურ ვარდუაშვილმაც".

**მერაბ მამულაშვილი**

მსოფლიო საკლუბო რეიტინგი

# ოთხივე აღზევდა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. 350-გუნდიან ჩამონათვალში საქართველოს კვლავ ოთხი წარმომადგენელია. აღსანიშნავია, რომ ოთხივე მათგანს წინსვლა აქვს. ჩვენი ქვეყნიდან საუკეთესო მაჩვენებელს კვლავ რუსთავის „ოლიმპი" ინარჩუნებს. საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი რეიტინგის ავტორების აზრით, მსოფლიოს 173-ე კლუბია. წინა რეიტინგში „ოლიმპს" 177-ე საფეხური ეჭირა. თბილისის „დინამო" შიდა ასპარეზზე არასახარბიელო გამოსვლის მიუხედავად, რეიტინგში 195-ედან 184-ე ადგილზე აღზევდა; „ზესტაფონი", რომელიც წინა რეიტინგში 252-ე იყო, ამჟამად 236-ე პოზიციაზეა, ხოლო საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ" 285-ედან 263-ე ადგილზე გადაინაცვლა.

IFFHS-ის რეიტინგში პირველობა შეინარჩუნა „მანჩესტერ იუნაიტედმა", „ჩელსიმ" კი მეოთხედან მეორე ადგილზე აინაცვლა. მსოფლიოს საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: **1. მანჩესტერი (ინგლისი), 2. ჩელსი (ინგლისი), 3. ბარსელონა (ესპანეთი), 4. ჰამბურგი (გერმანია), 5. შახტიორი (უკრაინა), 6. ვერდერი (გერმანია), 7. არსენალი (ინგლისი), 8. ესტუდიანტესი (არგენტინა), 9. კრუზეირო (ბრაზილია), 10. გალათასარაი (თურქეთი).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტები

# გოჩა ალადაშვილი
# რუსთავში ბრაზილიური სკოლა აშენდება
## თუ აკინოს ნაკრებში მიიწვევენ, მზად არის, საქართველოს პასპორტი აიღოს...


გოჩა ალადაშვილი

გოჩა ალადაშვილი პირველი ქართველია, ვინც ბრაზილიაში მწვრთნელად იმუშავა, ვინც ბრაზილიის ნაკრებში დასაქმდა და პირველობაც იზეიმა (მსოფლიო უნივერსიადაზე, ქალთა ნაკრებში), ვინც მომავალ „პელეებს" ლექციებს უკითხავდა და ასე შემდეგ. ახლახან, ბატონი გოჩა „ატლეტიკო პარანაენსეს" საერთაშორისო დეპარტამენტში დასაქმდა და საქართველოში ამ კლუბის წარმომადგენლად დაინიშნა. ამჟამად ის საქართველოშია, ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და ინტერვიუ ვთხოვეთ:

**- ბატონი გოჩა, როგორც შევიტყვეთ, „ატლეტიკო პარანენსეს" საერთაშორისო დეპარტამენტის თანამშრომელი გახდით...**

- დიახ, კლუბის საგარეო ურთიერთობების მიმართულებაში ჩამრთეს, საქართველოში კი კოორდინატორად მომავლინეს. აქ დაახლოებით სამიოთხი თვე დავრჩები და რუსთაველებთან ერთად, პროექტების განხორციელებაზე ვიმუშავებ.

**- ამჟამად რომელიმე კონკრეტულ პროექტზე ხომ არ მუშაობთ?**

- ვმუშაობთ. მალე რუსთავში აშენდება „ატლეტიკო პარანაენსეს" საფეხბურთო სკოლა, რომელიც „ოლიმპზე" იქნება მიბმული. ეს უკვე გადაწყვეტილია. ჩამოტანილი მაქვს გამზადებული პროექტი და როგორც კი რუსთავის სტადიონზე საფარს დააგებენ, უკვე სკოლისთვისაც მოვიცლით. მოკლედ, მუშაობა მალე დაიწყება. იანვრიდან სტრუქტურულად ჩამოვყალიბდებით და ვფიქრობ, „ატლეტიკო პარანაენსეს" საქართველოში საუკეთესო სკოლა ექნება.

**- რამდენი მოედანი მოეწყობა ამ სკოლისთვის?**

- ტერიტორიას გაზომავენ და ამის მიხედვით გადაწყდება. ეს ის დეტალებია, რომელიც კლუბის ხელმძღვანელებმა უკეთ იციან.

**- და ტერიტორია უკვე გამოყოფილია?**

- უკვე გამოყოფილია და როგორც ვიცი, იმხელა ტერიტორია ყოფილა, თანამედროვე საფეხბურთო სკოლის აშენებაა შესაძლებელი. ჩვენც ეს გვსურს, სკოლას ექნება რამდენიმე მოედანი, გასახდელები, საშხაპეები და ასე შემდეგ. მოგეხსენებათ, „ატლეტიკოს" საფეხბურთო სკოლები აქვს გახსნილი ამერიკაში, კანადაში, იაპონიაში, ჩინეთში, კორეაში... ანუ, ამით იმის თქმა მსურს, რომ ბრაზილიელებს ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ. მჯერა, რომ ჩვენც შესაბამის დონეზე ავუბამთ მხარს.

**- ერთი სიტყვით, ეს არ იქნება ერთმოედნიანი ეგრეთ წოდებული სკოლა?**

- რა თქმა უნდა, არა. ეს იქნება სერიოზული სკოლა.

**- ბრაზილიური კლუბის მმართველ სტრუქტურაში მოხვედრა დიდი პატივია...**

- ისინი უკვე ათი წელია, მიცნობენ. „ატლეტიკო პარანაენსეს" ერთ-ერთ დირექტორ რიკარდო კორდეიროსთან უნივერსიტეტში ვმუშაობდი. ბუნებრივია, დიდი პასუხისმგებლობა ავიღე ჩემს თავზე - „ოლიმპსა" და ბრაზილიურ კლუბს შორის ხიდივით უნდა ვიყო. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ „ატლეტიკო პარანაენსე" სოლიდური კლუბია და მისი პრეზიდენტი ასე ერთი ხელის დაქნევაზე არსად ჩადის. ნდობა რომ არ ყოფილიყო, არც კლუბში დამასაქმებდნენ, არც ამხელა პროექტს ჩამაბარებდნენ და საერთოდ არც ჩამოვიდოდნენ საქართველოში.

**- კმაყოფილები არიან თანამშრომლობით?**

- დასაწყისით კმაყოფილები არიან, ქართული მხარის მიმართ მეგობრულად განეწყვნენ; სჯერათ, რომ ეს პარტნიორობა ორივე მხარეს წაადგება და როგორც დაიწყო „ხუთიანზე", ასევე გაგრძელდება. ჩვენი ურთიერთობები უფრო მაღალ დონეზე რომ ავიდეს, ამას დრო სჭირდება. თუმცა საჩქაროც არაფერი გვაქვს. თავად ბრაზილიელებს გათვლა აქვთ მრავალწლიან - ხუთ, ათწლიან პარტნიორობაზე, მთავარია, ჩვენ ავუბათ მხარი. ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე დაინტერესებულია ამ პროექტით და სწორედ ეს მესახება წინსვლის გარანტიად.

**- ბრაზილიაში „ოლიმპის" გამგზავრება და იქ შეკრების მოწყობაც ხომ არ არის გათვალისწინებული?**

- პარტნიორობის პროექტი ამას თავიდანვე ითვალისწინებდა. „ატლეტიკო პარანაენსე" მზადაა, თებერვლიდან სტაჟირებაზე მიიღოს 13-დან 20 წლამდე ფეხბურთელები, გუნდის და მეკარეთა მწვრთნელები, ფიზმომზადების სპეციალისტები. და თუკი „ოლიმპის" ხელმძღვანელობას ფინანსურად ხელეწიფება, ბრაზილიელები მზად არიან, კლუბის ბაზაზე „ოლიმპს" სამ-ოთხკვირიანი შეკრება მოუწყონ. მოგეხსენებათ, ახლა სამხრეთ ამერიკაში ზაფხულია და მოსამზადებლად მშვენიერი პირობები იქნება. ასე რომ, პრობლემა არ არის - თუ ფინანსები იქნა, შესაძლოა, „ოლიმპმა" მოსამზადებელი ეტაპი ბრაზილიაში გაიაროს.

**- როგორც ვიცით, მეორე წრიდან გუნდში ბრაზილიელებს კიდევ ელიან...**

- იანვარში „ოლიმპის" ხელმძღვანელობა - დირექტორატის წევრები და მწვრთნელი, სულ ექვსკაციანი დელეგაცია - ბრაზილიაში გაემგზავრება. ისინი ფეხბურთელებს ადგილზე დააკვირდებიან და შეარჩევენ, ვინ დაგვჭირდება და ვინ - არა.

**- უკვე ჩამოსული ბრაზილიელების ნაწილი გუნდს ვერ შეეწყო. ამის მიზეზი თქვენ უფრო გეცოდინებათ...**

- მე, მაგალითად, ჩოკოს ამბავს გეტყვით. ამ ბიჭს ცოტა თავში აუვარდა, ეგონა, ცალი ფეხით ითამაშებდა, ასეთები კი არ გვჭირდება, „ოლიმპი" სერიოზული კლუბია და მის მიმართაც ამგვარ დამოკიდებულებას საჭიროებს.

**- და ამის გამო წავიდა ჩოკო?**

- ბრაზილიაში ვიყავი, როცა ჩამოვიდა. საკმაოდ უხასიათოდ იყო, არ ეგონა, რომ საქართველოში ვერ ითამაშებდა. 16 წლის [illegible] ა ბრაზილიის 17-წლამდელთა ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატი ითამაშა და ეტყობა, მართლაც თავში აუვარდა. შეიძლება, კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ხასიათი თუ არ გივარგა, არაფერი გამოგივა.

**- არა მხოლოდ ჩოკო, ვერც სალესმა და ჯერონიმომ გამოიჩინეს თავი. „ატლეტიკო პარანაენსეში" ისინი მშვენიერ მინდვრებზე ვარჯიშობდნენ, პრობლემა არ ჰქონდათ აღდგენითი პროცესებისა და სხვა, თანამედროვე ფეხბურთისთვის აუცილებელი პირობების მხრივ... ეტყობა, ამის შემდეგ საქართველოში თამაში მართლა რთულია.**

- გასაგებია, რომ „ოლიმპს" ჯერჯერობით არ აქვს ისეთი ბაზა და მოსამზადებელი პირობები, როგორიც „ატლეტიკო პარანაენსეს", მაგრამ თავად ამ ფეხბურთელებს საქართველოში მშვენიერი პირობები შეუქმნეს - საუცხოო კვება, ბინები, სავარჯიშო პირობებიც სავსებით ნორმალურია და ხელი რატომ უნდა შეეშალოთ?

**- ანალოგიური პროექტის განხორციელება ბრაზილიელებს სხვა ქვეყნებში თუ სურთ?**

- სურვილი რატომ არ უნდა ჰქონდეთ?! მთელი მსოფლიოა დაინტერესებული ბრაზილიელი ფეხბურთელებით, თავად ბრაზილიელებს კი, ასე ვთქვათ, გასაღების ბაზრები აინტერესებთ.

**- „ოლიმპის" ბრაზილიელთა ნატურალიზაციაზე კონკრეტული ლაპარაკი თუ ყოფილა?**

- ეს ფეხბურთის ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობის სურვილზეა დამოკიდებული. თუმცა ჯერ ასეთი შეთავაზება არ ყოფილა. მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აკინოს ნატურალიზაციას საჭიროდ მიიჩნევს, ის თანახმაა, საქართველოს პასპორტი აიღოს.

მერაბ მამულაშვილი

ფუტზალი

# ვახტანგ წერეთელი
# ეს უკვე მიღწევაა



**რამდენიმე დღის წინ ევროპის ფუტზალის თასის ელიტრაუნდში ასპარეზობა დაასრულა თბილისის „იბერიამ". საქართველოს ჩემპიონმა იტალიაში საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშა. როგორც მოსალოდნელი იყო, საწყის ორ მატჩში ჩვენები ჯგუფის ფავორიტ „მურსიასა" და იტალიურ „ლუპარენსესთან" დამარცხდნენ. თუმცა „იბერიასგან" თუნდაც ერთი შეხვედრის მოგებასაც არავინ ელოდა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, თბილისურმა კლუბმა ბოლო ტურში ბელგიურ „შარლერუას" სძლია და ჯგუფში საპატიო მესამე ადგილზე გავიდა. ვესაუბრებით „იბერიას" მოთამაშე-მწვრთნელ ვახტანგ წერეთელს.**

**- ჩვენი ჯგუფი თავიდანვე „სიკვდილის ჯგუფად" მოინათლა...**

- ასე იყო და ამიტომაც თავიდანვე ვიცოდით, რომ პირველობის მიზერული შანსი გვქონდა. თუმცა ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლეთ და შევეცადეთ, მაყურებლისთვის ლამაზი და აზრიანი ფეხბურთი შეგვეთავაზებინა. თამაშის ხარისხს ეტაპობრივად ვაუმჯობესებდით და ფორმის პიკზე ბოლო მატჩისთვის გავედით. „შარლერუასთან" ჩამორჩენა შეხვედრის მიწურულს გავაბათილეთ და გამარჯვების გოლიც გავიტანეთ. „შარლერუა" ხელწამოსაკრავი გუნდი არავის ეგონოს. მან ოთხი წლის წინ მოიპოვა ევროპის ფუტზალის თასი და იმ შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ შემორჩა.

**- „მურსიასა" და „ლუპარენსესთან" უფრო წარმატებით თამაში არ შეიძლებოდა?**

- გუნდში იყო გარკვეული პრობლემები, რის საჯაროდ დასახელებისგანაც თავს შევიკავებ. ეს რომ არა, დიდი ანგარიშით ნამდვილად არ წავაგებდით. იტალიელებს უფრო გავუძალიანდით და მეტოქემ ძლივს გაგვტეხა, ესპანელებსაც თავდაუზოგავად ვებრძოლეთ, მაგრამ მათ ულაპარაკოდ გვაჯობეს. ამას ექვები და ბინძური ცილისწამება მოჰყვა – თითქოს „მურსიასთან" ვიყავით შეკრული და ამიტომ მათ თამაში დავუთმეთ, მათ მეტოქე იტალიელებს კი თავდაუზოგავად ვებრძოლეთ.

**- „იბერიას" თამაშს ალბათ, სკაუტებიც აკვირდებოდნენ.**

- რა თქმა უნდა. ვინც ელიტრაუნდში თავს გამოიჩენს, ის უყურადღებოდ ნამდვილად არ დარჩება. გუნდის ყველა წევრმა ევროპელი სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. „იბერიას" ფეხბურთელები ადრეც ნასულან საზღვარგარეთ და ეს ყურადღება ნამდვილად არ გაგვკვირვებია. გვტოვებს სამი ფეხბურთელი, მათ შორის ბრაზილიელი მეკარე ბომი, რომელსაც თავისი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი იწვევს. დავიმატებთ რამდენიმე მოთამაშეს, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია, რომ სამი ქართველი და ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი შემოგვიერთდება.

**- პირველ ეტაპზე „იბერიას" ლირსებას გაცილებით მეტი მოთამაშე იცავდა, ვიდრე ელიტრაუნდში. ამის მიზეზი რა იყო?**

- გადაწყვეტილება ელიტრაუნდის წილისყრის შედეგებიდან გამომდინარე მივიღეთ. რაკი „სიკვდილის ჯგუფში" მოვხვდით და ფინალურ ოთხეულში მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, არ გვქონდა, ამდენი ძლიერი ლეგიონერის გუნდში დატოვება ფინანსურად გაუმართლებელი იყო. იტალიაში ამიტომაც წავედით შეთხელებული შემადგენლობით, მაგრამ ამით საგანგაშო არაფერი მომხდარა.

**- სეზონის დაწყების წინ „იბერიას" მიზანი ევროთასებზე რა იყო?**

- ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ელიტრაუნდში გასვლა იყო, რაც წარმატებით შევასრულეთ. დანარჩენი უკვე წილისყრის შედეგებზე იყო დამოკიდებული, რაშიც, როგორც ვთქვი, არ გაგვიმართლა. ასეთ ძლიერ ჯგუფში თუნდაც ერთი მატჩის მოგება უკვე მიღწევაა, ასე რომ, როგორც მწვრთნელი და როგორც ფეხბურთელი, კმაყოფილი ვარ. ევროპის საუკეთესო კლუბების ათეულში მოვხვდით, რასაც ბევრმა ძლიერმა გუნდმა ვერ მიაღწია. თუმცა ბუნებრივია, მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ და მომავალ სეზონში უფრო დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ისე კი, ევროპის ფუტზალის თასზე ძალიან ძნელია წარმატების მიღწევა, ფავორიტის სტატუსი ხშირად არაფერს ნიშნავს. ასე მაგალითად, ფინალურ ოთხეულში ოთხიდან სამი გუნდის გასვლა სენსაციად მოინათლა. ჩვენს ჯგუფში გამარჯვებას „მურსიას" უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველას „ლუპარენსემ" აჯობა. ასევე არავინ ელოდა, აზერბაიჯანული „არაზი" ყაზახურ „ქაირათს" პორტუგალიური „ბენფიკა" კი რუსულ „ეკატერინბურგს" თუ აჯობებდნენ.

**- კლუბის უახლოესი გეგმები როგორია?**

- მომავალ კვირაში საქართველოს ჩემპიონატი იწყება, სადაც რა თქმა უნდა ტიტულის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ. ახალი წლის შემდეგ კი უცხოურ შეკრებაზე გავემგზავრებით, სავარაუდოდ, ესპანეთში.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონი

რუსეთი

# ჩემპიონები, პერსპექტიულები, უხეშები...

რუსეთის პრემიერლიგა ახალი დასრულებულია. დროა, შევაჯამოთ ჩვენ ლეგიონერთა გამოსვლა ამ ქვეყანაში. 16-გუნდიანი ჩემპიონატი, შარშანდელის დარად, ყაზანის „რუბინმა" მოიგო. ზედიზედ ორი წელინადია, თათრული კლუბი და მასთან ერთად სამი ქართველი რუსეთის ჩემპიონი ხდება. „რუბინმა" 63 ქულა დააგროვა და უახლოეს კონკურენტს 8 ქულით აჯობა. გუნდმა კი ჩინებულად ითამაშა, მაგრამ ქართველთა წვლილი ამაში არცთუ დიდია. ჩემპიონატში 10 მატჩში ითამაშა 27 წლის **ლაშა სალუქვაძემ** (8 სასტარტო შემადგენლობაში). მეორე წრეში ლაშა სულ ოთხჯერ გამოჩნდა პრემიერლიგაში. ქართველმა მცველმა ერთი გოლი გაიტანა, ოქტომბერში მან მოსკოვის „ლოკომოტივი" დაამწუხრა. ყველა, 10-ვე მატჩში საიტმა „ჩემპიონატმა" სალუქვაძის თამაში 5,5 ბალით შეაფასა. ლაშა არც გაუფრთხილებიათ და არც გაუძევებიათ. და მაინც, სალუქვაძეს ეს სეზონი აქტივში უნდა ჩავუწეროთ, რადგან მან მთავარი მოახერხა - ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „რუბინის" სასტარტოში მყარად დამკვიდრდა და იქ თავი არ შეირცხვინა.



რუბინის ქართველები. მარცხნიდან: დავით კვირკველია, ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე

თავიდან ყველაფერი ნორმალურად დაიწყო საქართველოს ნაკრების 29 წლის მცველის, **დავით კვირკველიასთვის** - მან საწყისი 10 ტურიდან ხუთში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ამ მონაგარს დავითმა ბევრი ველარაფერი შემატა. მისთვის მეტისმეტად უიღბლო პირველი წრის ბოლო ტურის მატჩი გამოდგა „ზენიტთან", რომელშიც ორი ყვითელი ბარათის მიღებისთვის გააძევეს. მთელ მეორე წრეში კვირკველიამ მხოლოდ 90 წუთი ითამაშა, ისიც უიმედო აუტსაიდერ „ხიმკისთან". მარცხენა მცველის პოზიციაზე ჩვენებურს არგენტინელმა **კრისტიან ანსალდიმ** მოუგო კონკურენცია. ჯამში კვირკველიამ 7 მატჩში ითამაშა (6 სასტარტოში), მას გოლი არ გაუტანია. „ჩემპიონატის" საშუალო შეფასება მისთვის 5,36 ბალია. 22 წლის **ნუკრი რევიშვილმა** კი მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა, ბოლო ტურში, როცა „რუბინს" ჩემპიონობა უკვე მოპოვებული ჰქონდა. სხვათა შორის, „ყუბანთან" თამაშში ნუკრიმ კარი მშრალად შეინახა და „ჩემპიონატისგან" 6 ბალი შეფასებაც დაიმსახურა. დიდი შანსია, ნუკრი რევიშვილმა „რუბინის" მაისურა ახალ სეზონში დებიუტანტ „ანჟისაზე" გაცვალოს. „რუბინის" დუბლებში, რომელმაც მე-5 ადგილი დაიკავა, ნუკრი რევიშვილმა 18 მატჩი ითამაშა და 16 გოლი გაუშვა. 7-ჯერ ითამაშა დუბლებში დავით კვირკველიამ, ერთხელ კი - ლაშა სალუქვაძემ.



ალექსანდრე ამისულაშვილი (№5)

პრემიერლიგის ვერცხლის მედლები მოსკოვის „სპარტაკს" ხვდა. სეზონის წინ ვინ იფიქრებდა, რომ ქართველებს ყველაზე იმედისმომცემი სიახლე სწორედ რუსთა „სახალხო გუნდიდან" გველოდა, კერძოდ კი „სპარტაკის" დუბლებში ჩარიცხული 16 წლის ქობულეთელი **ჯანო ანანიძისგან**, რომლის შესახებ მანამდე მხოლოდ ერთხელ გაგვეგო - ჯანომ 17-წლამდელთა ნაკრებში ითამაშა. **ვალერი კარპინის** „სპარტაკმა" დიდებშიც და დუბლებშიც მე-2 ადგილი დაიკავა, ჯანომ თავიდან დუბლებში დაიწყო, მაგრამ ისე ათამაშდა, რომ 16 წლის ასაკში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა რუსული პრემიერლიგის ისტორიაში, მერე კი - ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე. ზაფხულში უკვე მწვავედ დადგა საკითხი, თუ რომელ ნაკრებში ითამაშებდა **გიორგი ქინქლაძის** შემდეგ გამორჩეულ ტალანტად შერაცხული ქართველი თინეიჯერი. იყო დიდი იმედგაცრუებაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფეხბურთელის მყარმა სურვილმა იმარჯვა - მას მხოლოდ საქართველოს ნაკრებში სურდა თამაში და იტალიასთან მატჩში ის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ჩვენი ეროვნული ნაკრების მაისურა მოირგო. დუბლებში, რუსეთის თასზე, ჩემპიონატში ჯანოს მიერ გატანილი გოლები ერთმანეთზე უკეთესია. დიდი ხანია, რაც ასეთი დონის ტალანტი ქართულ ფეხბურთში არ გამოჩენილა - ანანიძე კარგი დარტყმით, დრიბლინგით, მოედნის ხედვით, ჟინიანობით გამოირჩევა, რაც მთავარია ის მუდამ სწორ, თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს. „სპარტაკის" დუბლებში ჯანომ 19 მატჩში 9 გოლი გაიტანა და 9 საგოლე პასი გააკეთა. დიდ „სპარტაკში" ჯანომ სულ 8 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 2 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი გააკეთა (5,88 ბალი). ის ოქტომბერში 17 წლის შესრულდა, სულ რაღაც 170 სანტიმეტრია სიმაღლით და 60 კილოგრამს იწონის, მაგრამ ქართული ფეხბურთის მთავარი იმედია...

მოსკოვის „სპარტაკში" კიდევ ერთი ქართული გვარ-სახელის ფეხბურთელი ირიცხება, გალელი ლტოლვილი **ირაკლი ჭეჟია**, რომელიც 17 წლისაა. ტანმაღალმა მცველმა დუბლებში 21 თამაშში 1 გოლი გაიტანა.

მოსკოვის „ლოკომოტივს", მას შემდეგ, რაც **იური სიომინი** დაუბრუნდა, ემველა - გუნდმა მხოლოდ ბოლო ტურში დაკარგა ბრინჯაოს მედლები, 54 ქულით მე-4 ადგილი და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. გუნდში მოთამაშე ორი ქართველის ბედი სხვადასხვანაირად წარიმართა, **დავით მუჯირმა** თავიდან ითამაშა, მაგრამ სიომინის მისვლით საერთოდ დაკარგა ადგილი ძირითად გუნდში, მაშინ, როცა **მალხაზ ასათიანი** სიომინის გამოჰყვა კიევის „დინამოდან". მალხაზმა მეორე წრის მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა, ისიც დისკვალიფიკაციის გამო, დანარჩენ მატჩებში ერთხელაც არ შეუცვლიათ. „ლოკომოტივში" ისევ დაბრუნდა ის დრო, როცა რკინიგზელთა დაცვა ქართველის გარეშე წარმოუდგენელი იყო. მალხაზის ანგარიშზე ერთი საგოლე გადაცემაა, მან 4 ყვითელი ბარათი მიიღო, საშუალო შეფასება - 5,61 ქულა. მუჯირმა სულ 9 მატჩში ითამაშა (მხოლოდ სამი სასტარტოში), ერთი გოლი გაიტანა და ერთიც საგოლე პასი გააკეთა (შეფასება 5,67). მეორე წრეში მან სულ 2 წუთი ითამაშა, 2 აგვისტოს მერე მუჯირს აღარ უთამაშია, თუ დუბლებში ჩატარებულ სამ მატჩს არ ჩავთვლით. ამიტომ მოსალოდნელიც იყო ის ცნობა, რომელიც გუშინ გავრცელდა - „ლოკომოტივი" ზამთარში მუჯირს რომელიმე კლუბში გაანათხოვრებს. ასე ულიმღამოდ სრულდება 31 წლის ქართველი ნახევარმცველის მოსკოვური კარიერა. თუმცა სულ ეს არ არის, რისი თქმაც „ლოკომოტივთან" დაკავშირებით გვინდოდა - პირველ წრეში გუნდში ირიცხებოდა და მეორეში ცსკა-ში გადავიდა 18 წლის, წარმოშობით თბილისელი **ნიკა ფილიევი** (მისი ოჯახი ახლა სოჭში ცხოვრობს). ნიკა ჩვეულებრივად საუბრობს ქართულად. მან პრემიერლიგაში 5 თამაშში ითამაშა (1 - „ლოკომოტივი", 4 - ცსკა). „ლოკოს" დუბლებში ნახევარმცველმა 15 თამაშში 3 გოლი გაიტანა.



ჯანო ანანიძე

ნალჩიკის „სპარტაკმა" სეზონის ამოცანა წარმატებით გადაჭრა - ადგილიც შეინარჩუნა პრემიერლიგაში და მე-11 პოზიციაზე გავიდა. ამაში კი ლომის წილი 27 წლის ქართველმა მცველმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** დაიდო - ამისულაშვილმა პრემიერლიგის 30-ვე თამაშში შეუცვლელად (2 700 წუთი) ითამაშა (!) და 4 გოლიც გაიტანა (ერთი საგოლე პასი). საშუალო შეფასება - 5,55. ცენტრალური მცველი სულ სამჯერ გააფრთხილეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, ასეთმა ფეხბურთელმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა დაინტერესება ვერ გამოიწვია. **გოგიტა გოგუამ** მხოლოდ პირველი წრე ითამაშა ნალჩიკში, შემდეგ კი გროზნოში გადაბარგდა. მან სულ 19 თამაშში მიიღო მონაწილეობა (14 „სპარტაკში"), 1 გოლი გაიტანა და 1-იც საგოლე პასი გააკეთა (საშუალო შეფასება - 5,65). ერთ ასპექტში ჩვენებური კვლავ შეუდარებელია - 19 თამაშში მან 1 წითელი და 7 ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო. სულ ბოლოს დაუბრუნდა გუნდს **დავით სირაძე**, მაგრამ - ნაყოფიერად - 6 თამაშში 3 გოლი გაიტანა. მე-12 ადგილზე გასულ „ტერეკში" **ლევან გვაზავამ** 19 თამაშში (13 სასტარტოში) 1 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი გააკეთა (საშუალო შეფასება - 5,47).

პრემიერლიგიდან გავარდნილი კრასნოდარის „ყუბანის" დუბლებში 26 თამაშში 1 გოლი გაიტანა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველმა **ირაკლი კვეკვესკირმა**. რომელმაც უხეშობით გოგუასაც აჯობა, თანაც როგორ! - კვეკვესკირი სეზონში 16-ჯერ გააფრთხილეს (დუბლებში ყვითლებზე დისკვალიფიკაცია არ არის). ინფორმაციის სისრულისთვის მოსკოვის „დინამოს" დუბლებში მოთამაშე ქართული გვარ-სახელის ორ მოთამაშეზეც ვიტყვით - **ირაკლი ლოგუამ** 25 თამაშში 5 გოლი გაიტანა, **ვახტანგ მორგოშიამ** - 23 თამაშში 1 გოლი.

„ჩემპიონატის" სიმბოლურ ნაკრებში ქართველთაგან ყველაზე მეტჯერ ალექსანდრე ამისულაშვილი მოხვდა - 4-ჯერ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

უნგრეთი

## შარაშენიძე ისევ გამოჩნდა

გუშინ, უნგრეთის ლიგის თასის ჯგუფური ეტაპის მე-7 ტურში ქართველთა „დიორი ეტო" შინ „ვიდეოტონს" დაუზავდა - 0:0. ამ შეხვედრაში **რატი ალექსიძემ** 90 წუთი ითამაშა. მეორე ტაიმში კი მოედანზე **თეიმურაზ შარაშენიძეც** გამოჩნდა. „ეტო" 16 ქულით მეორე ადგილზეა ლიგის თასზე. ბოლო ტურში გუნდი „პაკშს" ეთამაშება, რომელსაც 14 ქულით მე-4 ადგილი უკავია.

კვიპროსის თასზე **ლევან მაღრაძის** „ერმისი" „პარალიმნის" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. ქართველი მარჯვენა ფლანგელი მეოდანზე 82-ე წუთზე შემოვიდა. ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა 16 დეკემბერს გაიმართება და მეოთხედფინალის საგზურის მფლობელის ვინაობაც მაშინ გაირკვევა.

საბერძნეთის ჩემპიონატის მატჩში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისი" შინ „ლარისას" დაუზავდა - 0:0. გიორგიმ, ტრადიციულად, შეუცვლელად ითამაშა. კრეტული კლუბი 18 ქულით მე-5-ეა ბერძნულ სუპერლიგაში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგიონი

# ჩემპიონობის 45 წლისთავი

## შეხვედრა უნივერსიტეტში

გუშინ მრავალჟამიერი და ვეტერან ქართველ ფეხბურთელთა ქებათა-ქება გაისმოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII კორპუსის სააქტო დარბაზში. აქ შეკრებილებმა პატივი მიაგეს ფეხბურთში 1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონებს ამ დიდი წარმატების 45 წლისთავთან დაკავშირებით. აუდიტორიას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი **გია ხუბუა**, პროფესორებმა **დურმიშხან ცინცაძემ** და **მერაბ კალანდაძემ** ვრცლად ილაპარაკეს თბილისის „დინამოს" დამსახურებაზე ქართულ ფეხბურთში, ფეხბურთელებზე და მწვრთნელებზე, ვინც დაუღალავი შრომით პირველი ნანატრი გამარჯვება გამოჭედა.

ცხადია, განსაკუთრებით საყურადღებო თვით ვეტერანი დინამოელების, **სერგო კოტრიკაძის, ილია დათუნაშვილის, მურთაზ ხურცილავას** გამოსვლები იყო.

ცნობილმა კომენტატორმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** შეკრებილთ შეახსენა **ეროსი მანჯგალაძისა** და **კოტე მახარაძის** იმ მატჩის რეპორტაჟის პათოსი და გაიხსენა საინტერესო ეპიზოდები.

ბოლოს ვიტყვით, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში გუშინ გამართული ეს ლამაზი ღონისძიება (ორგანიზატორი მერაბ კალანდაძე) ეპიზოდურ მოვლენად არ დარჩება. შეკრებილებმა მოიწონეს წინადადება, ყოველი წლის 2 დეკემბერს დედაუნივერსიტეტში აღინიშნოს „ქართული სპორტის ზეობის დღე", რაც თაობათა მეხსიერებას მემკვიდრეობად შემოუნახავს ქართული სპორტის ბრწყინვალე წარსულს და ახალი წარმატებების სტიმულიც გახდება.

თენგიზ თომაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



მარცხნიდან: დურმიშხან ცინცაძე (მიკროფონთან), სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა, მერაბ კალანდაძე (შეხვედრის ორგანიზატორი), ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, ჯემალ ზეინკლიშვილი, ნოდარ ლეჟავა.

## უცხოური ფეხბურთი



მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა ბედი შარლიზ ტერონის ხელებზეა დამოკიდებული

სამხ. აფრიკა 2010. წილისყრის წინ

# საფრანგეთი არ განთესეს

## შარლიზს კი, დიეგოს არა

ხვალ, სამხრეთ აფრიკის ქალაქი კეიპთაუნი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კენჭისყრას უმასპინძლებს. კენჭისყრის ცერემონიალს ფიფას გენერალურ მდივან **ჟერომ ვალკესთან** ერთად სამხრეთაფრიკელი მსახიობი **შარლიზ ტერონი** გაუძღვება. საღამოს მრავალი ვარსკვლავი დაესწრება, მათ შორის - **დევიდ ბექჰემი**. აფრიკელ ვარსკვლავთაგან მიწვეულები არიან მძლეოსანი **ჰაილე გებრესელასი** (ეთიოპია), **მახია ნტინი** (სამხრეთ აფრიკის კრიკეტის ნაკრების წევრი), **ჯონ სმითი** (სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრების კაპიტანი) და **მეთიუ ბუტი** („ბაფანა ბაფანას" მცველი). კეიპთაუნში ვიხილავთ ფეხბურთის ლეგენდებს: **ფრანც ბეკენბაუერს**, **მიშელ პლატინის**, **ეუსებიოსა** და **როჟე მილას**. **ნელსონ მანდელა** ვიდეო ჩართვით მიმართავს კენჭისყრის დამსწრეებს. კენჭისყრას დაესწრება ფინალურ ეტაპზე გასული ყველა ნაკრების თავკაცი, ყველა ერთის გარდა... ფიფამ სპეციალური წერილით მიმართა არგენტინის ნაკრების თავკაც **დიეგო არმანდო მარადონას**, რომ მას არ ელიან კეიპთაუნში და კარგს იზამს, თუკი შინ დარჩება. მარადონა ფიფამ ჟურნალისტთა შეურაცხყოფისთვის ფეხბურთს 15 იანვრამდე ჩამოაშორა.

**Pot allocations**

| POT 1 | POT 2 | POT 3 | POT 4 |
|---|---|---|---|
| South Africa | Australia | Algeria | Denmark |
| Brazil | Japan | Cameroon | France |
| Spain | Korea DPR | Côte d'Ivoire | Greece |
| Netherlands | Korea Republic | Ghana | Portugal |
| Italy | Honduras | Nigeria | Serbia |
| Germany | Mexico | Chile | Slovakia |
| Argentina | USA | Paraguay | Slovenia |
| England | New Zealand | Uruguay | Switzerland |

2010 FIFA WORLD CUP SOUTH AFRICA™

გუშინ ფიფამ გამოაქვეყნა დაზუსტებული განთესვები, 32 ნაკრები კალათების მიხედვით განაწილდა. ოქტომბრის რეიტინგის მიხედვით, პირველ (განთესილთა) კალათში მოხვდნენ: ბრაზილია, ესპანეთი, ჰოლანდია, იტალია, გერმანია, არგენტინა და ინგლისი. მერვე განთესილი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი სამხრეთი აფრიკაა.

მეორე კალათში (დანარჩენი კალათები სიძლიერის მიხედვით არაა) აზიის, კონკაკაფისა და ოკეანეთის წარმომადგენლები მოხვდნენ (ავსტრალია, იაპონია, კორეა, ჩრდ. კორეა, ჰონდურასი, აშშ, მექსიკა და ახალი ზელანდია. მესამე კალათში აფრიკელები და სამხრეთამერიკელები მოხვდნენ: ალჟირი, კამერუნი, კოტ დივუარი, განა, ნიგერია, ჩილე, პარაგვაი, ურუგვაი. მეოთხე კალათი ევროპელებისაა: დანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და შვეიცარია.

სამხრეთ აფრიკის ნაკრები ავტომატურად მიიღებს A1 ნომერს, ანუ პირველ ჯგუფში ითამაშებს. დანარჩენი ფავორიტები B-დან H ჯგუფამდე განაწილდებიან, ჯგუფში მათ პირველი ნომრები მიენიჭებათ. გეოგრაფიული კრიტერიუმი აუცილებლად იქნება დაცული, ერთი და იმავე კონფედერაციიდან ორი გუნდი არ დაიშვება (გარდა ევროპისა, ევროპელთა ლიმიტი ჯგუფში ორია). ანუ სამხრეთ აფრიკის ნაკრები მესამე კალათში მოხვედრილ აფრიკულ ნაკრებებს ვერ შეხვდება, „ბაფანა ბაფანას" მეტოქე ამ კალათიდან ურუგვაი, ჩილე ან პარაგვაი იქნება. და პირიქით - განთესილ არგენტინასა და ბრაზილიას მესამე კალათიდან მხოლოდ აფრიკელებთან მოუწევთ დაპირისპირება.

ამბები

### ანრის სამაგალითოდ დასჯიან?

საფრანგეთის ნაკრების ფორვარდ **ტიერი ანრის**, შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატის საწყისი მატჩების გამოტოვებამ მოუწიოს. საფრანგეთი-ირლანდიის მატჩში მომხდარმა სკანდალმა ისეთი ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში, რომ ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** სხვა არაფერი დარჩენია, რომ იმოქმედოს. ბლატერი ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დამატებით მსაჯებზე ალაპარაკდა, გუშინ კი განაცხადა, რომ ტიერი ანრის მიერ ხელით თამაშის ეპიზოდი ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა უნდა განიხილოს - მოკლედ, საქმე გახსნილია.

სამხრეთ აფრიკაში მყოფმა ბლატერმა განაცხადა: *„სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელის, ტიერი ანრის ქმედებას მსოფლიოს ჩემპიონატის საპასუხო პლეი ოფში. ეს იყო ძალიან უსამართლო საქციელი, რომლის მომსწრეც მთელი მსოფლიო გახდა. თუ რა სასჯელს გამოიტანს სადისციპლინო კომიტეტი, მე არ ვიცი".*

### კაკას საზარდული აწუხებს

მადრიდის „რეალის" ბრაზილიელ ვარსკვლავ კაკას „ბარსელონასთან" მატჩში საზარდულის ტრავმა მიუღია. „ვალდებებასის" ბაზაზე „სამეფო კლუბი" ცალკე ვარჯიშობდა და კაკა - ცალკე. კაკამ 0:1 წაგებულ მატჩში დაიზიანა საზარდული, მაგრამ თამაშის ჩამთავრება მაინც შეძლო. კაკა მალე სრულ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და სპეციალური პროგრამით გააგრძელებს ვარჯიშს. სავარაუდოდ, ბრაზილიელი „ალმერიასთან" მატჩისთვის მწყობრში იქნება. **კრისტოფ მეტცელდერმა**, **გუტიმ** და **რუუდ ვან ნისტელროიმ** მცირე ხანი დაჰყვეს გუნდთან ერთად, შემდეგ მზადება ტრენაჟორების დარბაზში გააგრძელეს.

### ორი კლუბი ექვმიტანილია

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა გამოიკვლიოს ორი გუნდის, „რაიო ვალეკანოსა" და „ლას პალმასის" საქმიანობა. უეფადან მიღებული ინსტრუქციის მიხედვით, სეგუნდა დივიზიონის ეს ორი გუნდი და 7 პროფესიონალი ფეხბურთელი ესპანეთის სხვა გუნდებიდან ფსონების არალეგალურ დადებაში არიან შემჩნეულნი. უეფამ საეჭვოდ მიიჩნია „რაიო ვალეკანოსა" და „ლას პალმასის" გასული სეზონის მატჩი, რომელიც ფრედ დასრულდა - 0:0. ეს შედეგი ორივე გუნდს აძლევდა ხელს. „ლას პალმასის" საიტმა გამოაქვეყნა იმ შვიდი ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც დაიკითხნენ, თუმცა საიტზე აღნიშნავენ, რომ არც ერთ მათგანს არ ედება ბრალად ფსონის არალეგალურად დადება.

ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# რვა გარკვეულია

## მენთეშაშვილი პლეიოფშია

ევროპის ლიგის ბოლოსწინა ტურში ექვსი ჯგუფიდან 8 საგზურის (12-დან) მფლობელი გარკვეულია: „აიაქსი", „ჰამბურგი", „ჰაპოელი", „ზალცბურგი", „ვილიარეალი", „ფენერბაჰჩე", „ბენფიკა" და „ევერტონი".

**ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა" გათამაშებიდან რუმინული „სტიაუა" გამოაგდო, თავად კი ბოლო ტურამდე შეინარჩუნა მეთექვსმეტედფინალში გასვლის შანსი. ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა. „შერიფი" მეორეადგილოსან „ტვენტეს" 2 ქულით ჩამორჩება და ბოლო ტურში სტუმრობს პირველ ადგილზე დამკვიდრებულ „ფენერბაჰჩეს", რომლისთვისაც ამ მატჩს აზრი აქვს დაკარგული.

G ჯგუფში ავსტრიულმა „ზალცბურგმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო - ამჯერად, „ლაციო" 2:1 დაამარცხა **რაბიუ აფოლაბისა** და **სომენ ტჩოის** გოლების წყალობით. ამ მარცხმა „ლაციოს" პლეი ოფის იმედი გადაუწურა. მართალია, რომაულ კლუბს შეუძლია „ვილიარეალთან" ქულებით გათანაბრება, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში „ელ სუბმარინოს" უკეთესი მაჩვენებელი აქვს და შესაბამისად, უკვე მეთექვსმეტედფინალშია.

ყველაფერი ნათელია I ჯგუფშიც - ბრძოლას „ევერტონი" და „ბენფიკა" აგრძელებენ. ლისაბონელებმა ბორისოვოში **ხავიერ სავიოლასა** და **ფაბიო კოენტრაოს** გოლებით იმარჯვეს - 2:1. „ევერტონმა" კი ათენში აეკ-ს **დინიარ ბილიალეტდინოვის** ერთადერთი გოლის ხარჯზე მოუგო.

**ზურაბ მენთეშაშვილმა** გლაზგოში მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა (შესვენებისას **ლალათი** ჩაანაცვლეს) „სელტიკის" წინააღმდეგ. მისმა „ჰაპოელმა" კი 0:2 წააგო. ამის მიუხედავად, მენთეშაშვილის გუნდი მეთექვსმეტედფინალშია, რადგან ებრაული კლუბის კონკურენტმა „რაპიდმა" სტუმრად „ჰამბურგთან" წააგო - 0:2.

თითქმის ყველა ჯგუფში სიცხადეა. ეგ არის, რომ B ჯგუფში ორი საგზურისთვის 3 გუნდი იბრძვის. „ლილთან" გამარჯვების (3:1) მიუხედავად, „ვალენსიას" ბოლო ტურში სერიოზული ბრძოლა ელის გენუაში...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**A ჯგუფი**

**ანდერლეხტი-დინამო (ზ) 0:1**

გოლი: 0:1 სლეპიჩკა (58)

**ტიმიშოარა-აიაქსი 1:2**

გოლები: 1:0 გოგა (2), 1:1 სუარესი (8), 1:2 პანტელიჩი (46)

გაძევება: ბონფიმი (50. ტიმიშოარა), პანტილიმონი (62. ტიმიშოარა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 2. ანდერლეხტი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 3. დინამო | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 4. ტიმიშოარა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |

**17 დეკემბერი**

აიაქსი-ანდერლეხტი
დინამო-ტიმიშოარა

**B ჯგუფი**

**სლავია-ჯენოა 0:0**

**ვალენსია-ლილი 3:1**

გოლები: 1:0 ხოაკინი (3), 2:0 ხოაკინი (32), 3:0 მატა (52), 3:1 ჩედჯუ (91)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 10-7 | 9 |
| 2. ლილი | 5 | 2 | 1 | 2 | 12-8 | 7 |
| 3. ჯენოა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 4. სლავია | 5 | 0 | 3 | 2 | 4-10 | 3 |

**17 დეკემბერი**

ლილი-სლავია
ჯენოა-ვალენსია

**C ჯგუფი**

**სელტიკი-ჰაპოელი 2:0**

გოლები: 1:0 სამარასი (22), 2:0 რობინსონი (68)

*ზურაბ მენთეშაშვილი (ჰაპოელი) 46-ე წუთზე შეცვალეს*

**ჰამბურგი-რაპიდი 2:0**

გოლები: 1:0 იანსენი (47), 2:0 ბერგი (53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 2. ჰაპოელი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-8 | 9 |
| 3. სელტიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 4. რაპიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-11 | 4 |

**17 დეკემბერი**

ჰაპოელი-ჰამბურგი
რაპიდი-სელტიკი

**G ჯგუფი**

**ლევსკი-ვილიარეალი 0:2**

გოლები: 0:1 როსი (37), 0:2 სენა (84)

**ზალცბურგი-ლაციო 2:1**

გოლები: 1:0 აფოლაბი (52), 1:1 ფოჯა (57), 2:1 ტჩოი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 5 | 5 | 0 | 0 | 8-2 | 15 |
| 2. ვილიარეალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 3. ლაციო | 5 | 2 | 0 | 3 | 9-9 | 6 |
| 4. ლევსკი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-9 | 0 |

**17 დეკემბერი**

ლაციო-ლევსკი
ვილიარეალი-ზალცბურგი

**H ჯგუფი**

**შერიფი-სტიაუა 1:1**

გოლები: 1:0 დიედიუ (83), 1:1 ტოჟა (87)

გაძევება: მარინი (93. სტიაუა)

*ვაჟა თარხნიშვილმა (შერიფი) 90 წუთი ითამაშა*

**ტვენტე-ფენერბაჰჩე 0:1**

გოლი: 0:1 ლუგანო (71)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 5 | 4 | 0 | 1 | 7-3 | 12 |
| 2. ტვენტე | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 3. შერიფი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 4. სტიაუა | 5 | 0 | 3 | 2 | 2-5 | 3 |

**17 დეკემბერი**

სტიაუა-ტვენტე
ფენერბაჰჩე-შერიფი

**I ჯგუფი**

**აეკ-ევერტონი 0:1**

გოლი: 0:1 ბილიალეტდინოვი (6)

**ბატე-ბენფიკა 1:2**

გოლები: 0:1 სავიოლა (46), 0:2 კოენტრაო (63), 1:2 სოსნოვსკი (68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 5 | 4 | 0 | 1 | 11-2 | 12 |
| 2. ევერტონი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-8 | 9 |
| 3. ბატე | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 4. აეკ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 4 |

**17 დეკემბერი**

ბენფიკა-აეკ
ევერტონი-ბატე

### ესპანეთი. ლა ლიგა. XV ტური

**ხერესი-ბარსელონა 0:2**

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, აიტამი, ხიოდა, კასადო - კეიტა, ბერგანტინიოსი - სანჩესი (72. არმენტეროსი), კალვო (57. ანტონიტო), ორელანა - ბერმეხო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, მარკესი, ჩიგრინსკი, მაქსველი - ჩავი, ტურე, კეიტა - პედრო (54. მესი), კრკიჩი (66. იბრაჰიმოვიჩი), ანრი (82. ინიესტა).

**გოლები:** 0:1 ანრი (46), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (93)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 3-9; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 7-9; **კარში დარტყმა:** 7-14 (4-3); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 15 000

### საფრანგეთი. ლიგა 1. XIV ტური

**ბულონი-პარი სენ ჟერმენი 2:5**

**ბულონი (4-2-3-1):** ბედენიკი - რაბუელი, პერინელი, დას ნევესი, სუმარე - მარკი, რამარე - დიუკატელი (72. და როშა), კარიური, ტურე (28. დემბელე) - მუსილუ (46. ბლაიაკი).

**პსჟ (4-2-3-1):** ედელი - ტრაორე, კამარა, არმანი, ჟალე - მაკელელე, შანტომი (72. ბურილიონი) - კლემანი, სანხარე, ჟიული (57. ლუინდულა) - ერდინგი (79. მორისი).

**გოლები:** 1:0 დიუკატელი (36), 1:1 შანტომი (60), 1:2 ლუინდულა (63 პენ), 1:3 ერდინგი (67), 1:4 ერდინგი (69), 2:4 რამარე (82), 2:5 მორისი (86)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 6-13 (3-8); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 12 346

**მარსელი-სოშო** გადაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული




ალბერტო აკვილანის ლივერპული სათანადოდ ვერ იყენებს

## რატომ მალავენ აკვილანის?

ბუნებრივია, „ლივერპულის" ყველა ქომაგს აინტერესებს, რატომ არ თამაშობს მერსისაიდელთა შემადგენლობაში ფეხბურთელი, რომელშიც 20 მილიონი ფუნტია გადახდილი. ლაპარაკი ზაფხულზე „რომასგან" შეძენილ **ალბერტო აკვილანიზეა.** ხალხის ინტერესის დასაკმაყოფილებლად, გუნდის მწვრთნელმა **რაფა ბენიტესმა** აკვილანის თემა დაწვრილებით გაარჩია, თუმცა ზოგადი მიზეზი რომ ტრავმაა, ყველამ იცის.

შეგახსენებთ, რომ როდესაც ლივერპულელებმა იტალიელი ნახევარმცველი იყიდეს, ის სერიოზულად იყო დაშავებული. სხვა სიტყვებით, ინგლისელებმა კარგად იცოდნენ რა ნაბიჯსაც დგამდნენ, თუმცა მკურნალობის პროცესი ასე თუ გაჭიანურდებოდა, არ ელოდნენ. აგერ უკვე დეკემბერი დაიწყო და ბენიტესს აკვილანი, შეიძლება ითქვას, ჯერ არ უთამაშებია. ამის გამო, ისედაც კრიტიკის ობიექტად ქცეულს, რასაკვირველია, თავს დამატებითი საყვედურები დაატყდა, თუმცა თავად ამ საყვედურებს არ იზიარებს:

*„ჯერ ერთი, აკვილანის გამოჯანმრთელებას იმაზე მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ექიმები თავდაპირველად ვარაუდობდნენ და მეორეც, ვინაიდან იტალიელი ნახევარმცველი ზაფხულში დაშავდა, მან მთელი სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი გამოტოვა, ამას კი, მოგეხსენებათ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა აკვილანი გაცილებით უკეთაა. იგი თანდათან უახლოვდება საჭირო ფიზიკურ ფორმას. ჩვენ ძალიან გვინდა, ის ვათამაშოთ და ვფიქრობთ „უიგანისა" და ჩვენი რეზერვების შეხვედრაში თავიდან ბოლომდე დავტვირთავთ. სხვათა შორის, რეზერვისტთა წინა ტურში, „მილვუდთან" მან ერთი ტაიმი უკვე ითამაშა".*

აკვილანისთან დაკავშირებით გაუგებრობა იმიტომაც წარმოიშვა, რომ ჯერ კიდევ 28 ოქტომბერს, „ქარლინგის თასზე", „არსენალთან" შეხვედრაში აკვილანიმ სულ 15 წუთი დაყო მოედანზე, მაგრამ ფანებს ძალიან მოაწონა თავი. ასეთი კარგი თამაშის შემდეგ კი მისი კვლავ „დაკონსერვება" გულშემატკივრებისთვის გაუგებარი გახდა.

*„მართლაც ძალიან ძნელია, გყავდეს ასეთი ფეხბურთელი და არ ათამაშო, მაგრამ ჩვენ მას ვარჯიშებზე სულ მეტად ვტვირთავთ და საქმეში სრულყოფილად ჩართვისთვის ვამზადებთ. ვიცით, ის უმაღლესი კლასის ნახევარმცველია და როგორც კი სრული დატვირთვით ათამაშდება, „ლივერპულს" დიდ სარგებელს მოუტანს".*

მოსაზრება

# ვინ იცის, კარი სად არის?

**გთავაზობთ** „არსენალის" ყოფილი თავდამსხმელის, კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის, 46 წლის იან რაიტის მოსაზრებას, რომელიც მან გაზეთ „სანის" ფურცლებზე გამოაქვეყნა. მოგეხსენებათ, რაიტი ამ გაზეთში მესვეტედ მუშაობს. ბოლო მიმოხილვაში იგი წერს:

*„სეზონის დასაწყისში „არსენალის" ფანებისგან ბევრი საყვედური მივიღე. მიზეზი ჩემი პროგნოზი გახლდათ, სადაც ვამბობდი, რომ ჩვენი გუნდი ამ სეზონში ჩემპიონი ვერ გახდებოდა. მხოლოდ თითო-ოროლა გულშემატკივარი მეთანხმებოდა, რომ „მეთოფეებს" მეტისმეტად დააკლდათ ლეგენდარული ტიერი ანრი, რომელიც (ჩემგან განსხვავებით) ყველას ჩემპიონობის გარანტად მიაჩნდა.*

*...მაგრამ რას იზამ, სიმართლეს ვერსად გაექცევი. ის მტკივნეულია, თუმცა, „ჩელსისთან" 3:0 წაგების შემდეგ არსენ ვენგერის გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას რომ გამოაკლდა, ფაქტია. უკვე, მერამდენედ!*

*...ასე და ამგვარად, „არსენალი" ჩამოყალიბდა გუნდად, რომელიც არცთუ იშვიათად იმარჯვებს, მაგრამ მეტი არაფერი. და არც თავის მართლებისთვის აქვს მიზეზების ძებნას აზრი - ლონდონელები მასზე ძლიერმა მოწინააღმდეგემ დაამარცხა, მე კი შეხვედრის ბოლო 30 წუთს ძლივს გავუძელი. თავს ძალას ვატანდი, რომ მეყურებინა. და მართალია, „მეთოფეებს" ერთი თამაში კვლავ მარაგში აქვთ, 11 ქულიანი ჩამორჩენა უკვე მეტისმეტია. თერთმეტი კი არა, „მანჩესტერ იუნაიტედი" კარლო ანჩელოტის „ჩელსის" ხუთი ქულით ჩამორჩება და ვფიქრობ, ისიც კი ვერ შეძლებს ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას, რადგან დღეს, „ჩელსი" უბრალოდ შეუჩერებელია.*

*...მე თუ მკითხავთ, „არსენალისა" და „ჩელსის" შეხვედრაში მთავარი ის გახლდათ, რომ „ლურჯებს" თავდასხმაში ჰყავდათ გამორჩეული, მეტოქის გამანადგურებელი ფიგურა, „მეთოფეებს" კი ასეთი არ ჰყავდათ. „არსენალს" ეს კომპონენტი აშკარად აკლდა. რასაკვირველია, რობინ ვან პერსის რამდენიმეთვიანი ტრავმა გუნდისთვის დიდი დარტყმა იყო, მაგრამ, ვფიქრობ, არსენ ვენგერს მაინც არ ჰყავს ფორვარდი, რომელიც სეზონში თხუთმეტიდან ოცდახუთ გოლამდე უეჭველად გაიტანს. ის დღეები, როდესაც ჩრდილოეთ ლონდონში ასეთი თავდამსხმელი თამაშობდა, წარსულს ჩაჰბარდა. დღეს დიდიე დროგბათი უნდა აღვფრთოვანდეთ. მას „არსენალის" წინააღმდეგ ნათამაშევ 11 შეხვედრაში 10 გოლი აქვს გატანილი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „მეთოფეებს" შეტევაში სხვა სიმძლავრე და გამოცდილება სჭირდებათ.*

*...თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ, ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედში" ვეტერანი ჰენრიკ ლარსონი მიიყვანა. გუნდს ათას ბრძოლაში ჭიპმოჭრილი ადამიანის მხარი სჭირდებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ იანვარში „არსენალმაც" ზუსტად იგივე უნდა გააკეთოს. პირადად მე ძალიან გამიხარდება, თუ ვნახავ, როგორ გაიმეტებს არსენ ვენგერი თანხას, რათა პრემიერლიგაში რუუდ ვან ნისტელროი დააბრუნოს. ამას იმიტომაც ვამბობ, რომ ამას წინათ თავად ვან ნისტელროიმაც გამოხატა ინგლისში დაბრუნების სურვილი. ამ ადამიანმა ის მაინც იცის, მეტოქის კარი სად არის და ედუარდოს ტიპის ფეხბურთელებზე გავლენას იქონიებს. მეტიც, თვით ტიერის დაბრუნებასაც მივესალმებოდი.*

*...ახლა სხვა ვთქვათ: „არსენალის" დაცვასა და ნახევარდაცვას ნამდვილად არაფერს ვერჩი. აი, მეკარის პრობლემა კი მაფიქრებს. კლუბისთვის, რომელსაც ჩემპიონობა უნდა, მანუელ ალმუნია ჩინებული მეორე მეკარეა, მაგრამ მთავარ გოლკიპერად მაინც სხვა დონის ოსტატია საჭირო. ერთი სიტყვით, ჩვენ უმაღლესი კატეგორიის მეკარე გვჭირდება, თუმცა ასეთის პოვნა იოლი არ გახლავთ.*




იან რაიტი არსენ ვენგერს რუუდ ვან ნისტელროის ყიდვას ურჩევს

*მაგალითად, ძალიან მეეჭვება, ჯანლუიჯი ბუფონმა „იუვენტუსი" მიატოვოს და „ემირეიტ სთედიუმზე" გადმობარგება ისურვოს.*

*...ერთი სიტყვით, „არსენალმა" შეიძლება შინ „ბლექბერნი" გამოიჭიროს და ექვსი გოლი გაუტანოს, მაგრამ ამ გამარჯვებას არანაირი აზრი არ ექნება თუ შემდეგ „სანდერლენდთან" წააგებს, ხოლო უშუალო კონკურენტთან ისე განადგურდება, როგორც ეს გასულ კვირას მოხდა. ასე რომ, ჩემპიონობისა რა მოგახსენოთ, - არადა, გუნდს ტიტულის მოპოვების შანსი დეკემბერშივე რომ აღარ აქვს, სირცხვილია - მაგრამ ჯერ კიდევ მწამს, რომ „მეთოფეებს" ამ სეზონში თასის მოგება შეუძლიათ.*

*...კიდევ ერთი, რისაც მეშინია (თუმცა ვიფქრობ, ეს მაინც არ მოხდება), ის გახლავთ, რომ სეზონის ბოლოს „ტოტენჰემზე" დაბლა აღმოვჩნდებით. ჰარი რედნაპის ხელმძღვანელობით „სფურზი" სოლიდური ძალაა. ბოლო ტურში, „ასტონ ვილასთან" „ტოტენჰემმა" დიდებულად იბრძოლა და დამსახურებული ქულა მოიპოვა. არადა, ერთი წლის წინ ამ თამაშს ულაპარაკოდ წააგებდა.*

*...დავუბრუნდეთ „არსენალისა" და „ჩელსის" შეხვედრას, რადგან ამ თამაშის გამო კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: აღფრთოვანებული დავრჩი ეშლი კოულით. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი გუნდის, „არსენალის" განაწყენებული ქომაგები მთელი მატჩის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებდნენ, კოულს პროფესიონალიზმი და ღირსება ერთხელაც არ დაუკარგავს და თამაში ინციდენტის გარეშე ჩაამთავრა. არადა, „ემირეიტ სთედიუმზე" ფანებს იგი მხოლოდ იმიტომ სძულთ, რომ დიდებული ფეხბურთელია - მსოფლიოში ეშლი კოულის ბადალი მარცხენა მცველი არ არსებობს - ხოლო მათ საყვარელ „არსენალს" ლონდონის მეორე გუნდი (სადაც კოული თამაშობს) რამდენჯერაც ხვდება, იმდენჯერ უგებს. სხვა საქმეა, რომ „არსენალის" შემადგენლობაში ეშლის პრემიერლიგის ჩემპიონობა ორჯერ აქვს მოპოვებული, რაც „ჩელსის" მაისურით ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს, მაგრამ მწამს, ამ სეზონის ბოლოს იგი „სტემფორდ ბრიჯზე" ინგლისის პირველობას იზეიმებს".*



მიკა რიჩარდსი

**უეინ ბრიჯსა** და **მიკა რიჩარდსს,** შესაძლოა, საქმე კარგად არ წაუვიდეთ, რადგან „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** შემადგენლობის გადახალისებას აპირებს და ეს, უპირველეს ყოვლისა, დაცვას შეეხება. ისტლენდელთა თავკაცს სწორედ დაცვაში დაუგროვდა ფეხბურთელები, რომლებიც იმედს ვერ ამართლებენ. მოგეხსენებათ, ერთ თვეში სატრანსფერო ბაზრის კარი იხსნება და ჰიუზი განაპირა მცველების შესაძენად აპირებს გააქტიურებას.

„სიტის" ბანაკიდან გამოსული ხმების თანახმად, ყველაზე მეტად შეიძლება 29 წლის ბრიჯი დაისაჯოს. ამბობენ, რომ არ არის გამორიცხული, ის გუნდიდან გაუშვან კიდეც, რადგან ძალიან ცუდად თამაშობს. და სწორედ ამას ელის მოუთმენლად წლეულს „ბარსელონადან" გადაყვანილი 35 წლის ბრაზილიელი **სილვინიო.** თუ გახსოვთ, უეინ ბრიჯი ჰიუზმა „ჩელსისგან" შეიძინა. ეს 11 თვის წინ მოხდა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ფეხბურთელის კარიერა ლონდონურ კლუბში თვალსა და ხელს შუა უკვალოდ ქრებოდა, თუმცა 14 მილიონ ფუნტად გადაბირებულმა ვერც ისტლენდზე გამოიჩინა თავი. დღეს ამბობენ, რომ „სიტის" ზედიზედ შვიდი ფრე დიდწილად ამ ფეხბურთელის ბრალია.

მანჩესტერ სიტი

# თუ არ გააგდეს, გააგდებს...

რაც შეეხება რიჩარდსს, მთელ მსოფლიოს ახსოვს, როგორი ხმაურით შეიჭრა ეს 21 წლის (მაშინ ცხრამეტის იყო) მარჯვენა და ცენტრალური მცველი პრემიერლიგაში. იგი საყოველთაოდ აღიარეს ინგლისური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად, მაგრამ ჰიუზმა წინა მწვრთნელის **სვენ-გორან ერიქსონისგან** რიჩარდსი უკვე „იშკილებიდან ჩამოვარდნილი" ჩაიბარა და ვერაფერი უშველა. თუმცა, როგორც „ლელოს" მკითხველისთვის არის ცნობილი, სანამ ჰიუზი თავის განაპირა მცველებს გაყრის, კლუბის არაბმა მეპატრონეებმა შესაძლოა, იგი თავად გააგდონ. დაბეჯითებით ამას, რასაკვირველია, ვერავინ ამბობს, მაგრამ ხმები სწორედ ასეთი დადის და სავარაუდო შემცვლელებსაც კი ასახელებენ: **რობერტო მანჩინი, გუუს ჰიდინკი** და **ჟოზე მოურინიო.**

ხოლო „სიტის" თავდამსხმელ **ემანუელ ადებაიორს** ისევ ის ამბავი აწუხებს, თავის ყოფილ გუნდ „არსენალთან" შეხვედრაში გოლი რომ შეაგდო, მთელი მოედანი გადაირბინა და მუხლებზე ლონდონელი ფანების სექტორთან გასრიალდა. ეს ამბავი სექტემბერში მოხდა, როდესაც „სიტიმ" „არსენალს" „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" 4:2 აჯობა. ამ საქციელისთვის ადებაიორს მაშინ 25 ათასი ფუნტის გადახდა და სამთამაშიანი დისკვალიფიკაციაც კი მიუსაჯეს. გუშინ კი მოგეხსენებათ, „ქარლინგის თასზე" ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და თამაშის წინ ტოგოელმა ფორვარდმა კიდევ ერთხელ გამოთქვა გულისტკივილი სექტემბრის სიგიჟის გამო.

*„რასაკვირველია, ჩემს მაშინდელ საქციელს ძალიან ვნანობ. საერთოდ, ადამიანები საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ და ასე ვხდებით უკეთესები. ბარაკ ობამაც კი უამრავჯერ შეცდება... კრისტიანო რონალდოც შემცდარა, ხოლო თვით სერ ალექს ფერგიუსონმა ბოდიში მოიხადა, როდესაც მსაჯის შესახებ უსამართლოდ ილაპარაკა. მაგრამ მაშინ თავი ვერ შევიკავე, რადგან ტრიბუნიდან მამაჩემსა და დედაჩემზე მომესმა რაღაც საძაგლობები. ვფიქრობ, გარკვეულ მომენტებში ყველას შეიძლება ნერვებმა გვიმტყუნოს".*

შეგახსენებთ, რომ იმ ინციდენტამდე ადებაიორს ოთხ შეხვედრაში ოთხი გოლი ჰქონდა გატანილი და საუცხოოდ მიიწევდა წინ, მაგრამ სამთამაშიანმა შესვენებამ რიტმიდან ამოაგდო.

*„ჩემი დღევანდელი ფორმით თუ ვარ კმაყოფილი? არა, დისკვალიფიკაციის შემდეგ კარგად ველარ ვთამაშობ' და ამას კოჭის დაუსრულებელი ტკივილიც განაპირობებს. საუკეთესო ფორმამდე ჯერ შორია, თუმცა ყველა ღონეს ვხმარობ, რომ ყველაფერი კალაპოტში ჩადგეს. როდესაც ჩემი შესაძლებლობების ასი პროცენტით ავთამაშდები, მწამს, ძველებურად დავიწყებ ყოველ შეხვედრაში გოლის გატანას. ჩემთვის მთავარია, რომ აქ, „მანჩესტერ სიტიში" ყველას ვუყვარვარ და ჩემი შესაძლებლობების სწამს".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

მოსალოდნელი ტრანსფერი


შეცვლის მანუელ ნოიერი ედვინ ვან დერ სარს?

# დადასტურებულია: მანჩესტერს ნოიერი უნდა!

დიდი ხანია, რაც მიმომხილველები გერმანიის ნაკრებისა და „შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერის** მომავალს „მანჩესტერ იუნაიტედს" უკავშირებენ. ევროპის ჩემპიონს 21-წლამდელებს შორის, რომელსაც გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული, მანჩესტერელები 39 წლის **ედვინ ვან დერ სარის** შემცვლელად მოიაზრებენ. ეს ინფორმაცია გუშინ ნოიერის აგენტმა **თომას კროთმაც** დაადასტურა. *„მანჩესტერ იუნაიტედი" მანუელით მართლაც დაინტერესებულია,"* - განუცხადა მან „შპორტ ბილდს".

„იუნაიტედთან" ერთად, ნოიერის გადაბირებაზე ჯერ კიდევ ფიქრობენ მიუნხენის „ბაიერნშიც". ბავარიული გრანდის ბოსმა **ული ჰიონესმა** ამას წინათაც თქვა, ზაფხულში ნოიერი ჩვენთვის ისევ ძალიან საინტერესო ფეხბურთელი გახდება. „შალკეს" თავკაც **ფელიქს მაგათს** პერსპექტიული კიპერის გასხვისება არაფრის დიდებით არ სურდა, მაგრამ როგორც ირკვევა, მანაც შეიცვალა აზრი.

*„ჩვენი მიზანი გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშია. თუ ამ მიზანს მივაღწევთ, ნოიერის შენარჩუნება არ გაგვიჭირდება,"* - აცხადებს მაგათი და მისი სიტყვებიდან გამომდინარე, თუ „ხუმარები" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებენ, იძულებულები გახდებიან, ნოიერი გაყიდონ.

რაც შეეხება თვითონ ნოიერის სურვილს. ახალგაზრდა მეკარეს „შალკეს" დატოვება ჯერ არ სურს, მაგრამ თუ წასვლაა, ევროპის ერთ-ერთ გრანდში თამაში უნდა. მისი აგენტის თქმით, მანუელისთვის მთავარი ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად ასპარეზობაა. გამოდის, რომ „მანჩესტერი" მისთვის იდეალური მისამართი ყოფილა...

**გოტფრიდ ლენცი**

ძველი ამბავი

# მანქანების სადგომზე...


კარლოს ტევესი

**კარლოს ტევესი** ამბობს, რომ რამდენიმე წლის წინ **ტიერი ანრიმ** მას „არსენალში" გადასვლა შესთავაზა. მაშინ ანრი ჯერ კიდევ ჩრდილოლონდონელთა კაპიტანი გახლდათ, ხოლო ტევესი „ვესტ ჰემში" თამაშობდა. გეხსომებათ, რომ 2006 წლის ზაფხულს ტევესი ბრაზილიური „კორინთიანსიდან" ლონდონურ „ვესტ ჰემში" გადავიდა და თავიდან ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდა. იმ სეზონში „ჩაქუჩები" კინაღამ გავარდნენ პრემიერლიგიდან. სეზონის მიწურულს მათ მხსნელად სწორედ ტევესი მოევლინა. ბოლო ტურებში, არგენტინელმა, დიდებული თამაშით გუნდს გამარჯვებები მოუტანა და სწორედ ამის გამო მოხვდა სერ **ალექს ფერგიუსონის** თვალსაწიერში - ზაფხულზე ის უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი გახდა, მაგრამ ანრის ამბავი ადრინდელია, როდესაც ტევესს „ვესტ ჰემის" სასტარტოში ჯერ კიდევ არ ათამაშებდნენ.

გაზეთ „მირორისთვის" მიცემულ ინტერვიუში ტევესმა გაიხსენა: *„ერთხელ, „არსენალს" ვეთამაშებოდით. მე ჩვეულებისამებრ სათადარიგოთა სკამზე დამტოვეს. მატჩის შემდეგ, მანქანების სადგომზე ტიერი ანრი შემეფეთა. მან მითხრა: ამ გუნდში რა დაგრჩენია?! გადმოდი ჩვენთან და ერთად ვითამაშოთ. ხომ ხედავ, აქ მოედანზე არც კი გიშვებენ".*

რა მოხდა შემდეგ და როგორ განვითარდა არგენტინელი თავდამსხმელის კარიერა, ყველამ კარგად იცის. „მანჩესტერ იუნაიტედში" ტევესმა პირად წარმატებას ვერ მიაღწია და, ვერც იქიდან „მანჩესტერ სიტიში" გადასული გახდა პრემიერლიგის მოკაშკაშე ვარსკვლავი. მწარე ენები ამბობენ, არგენტინელი ერთ სკამს მეორეში ცვლისო. მოგეხსენებათ, ამას წინათ, ფორვარდმა ისიც კი აღიარა, რომ ფეხბურთისთვის თავის დანებებაზე ფიქრობს, არადა ის მხოლოდ 25 წლისაა. თუმცა, ჯერჯერობით, სანამ ტევესი ფეხბურთიდან წავა, ბედს არ ნებდება და ისტლენდელთა ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად ბრძოლას განაგრძობს.

*„ჩემი კარიერის დღევანდელი დღე და ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლა არც მეთაკილება და არც მაშინებს. ამას დაჩვეული ვარ. ყველა დიდ კლუბში, სადაც კი მითამაშია, ერთი და იგივე მეორდებოდა. ყველგან ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად ვიბრძოდი - „ბოკა ხუნიორსში", „კორინთიანსში", „ვესტ ჰემსა" თუ „მანჩესტერ იუნაიტედში". ახლა „მანჩესტერ სიტიში" ხდება იგივე. და ეს ნორმალური ამბავია, რადგან ამ კლუბებს კარგი თავდამსხმელები არ აკლიათ, თუმცა მე თავი არასდროს დამიხრია. რაც უფრო ძნელი ამოცანის წინაშე ვდგავარ, მით უფრო დიდი მონდომებით ვიბრძვი მიზნის მისაღწევად".*

ისე, ტევესს თავის დროზე ანრისთვის რომ დაეჯერებინა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი კარიერა. თუმცა შეიძლება პრინციპულად არაფერი შეცვლილიყო.

**ილია ბაბუნაშვილი**

ლევერკუზენი

# ბებერი ხარის რქებით ჩემპიონობისკენ!

## ცოტაც და ჰაინკესი ტოპმიოლერის რეკორდს დაამხობს

„ლევერკუზენი" ყოველთვის კარგი გუნდი იყო და ქომაგებს ამ გუნდის იმედი ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ 2002 წლის შემდეგ, როცა „ბაიერმა" სამ ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა (წააგო ჩემპიონთა ლიგის ფინალი „რეალთან", წააგო გერმანიის თასის ფინალიც, ხოლო ბუნდესლიგაში კი მეორე ადგილზე გავიდა), „ფარმაცევტებს" მსგავსი აღარაფერი გაუმეორებიათ. მაშინ „ლევერკუზენს" ჩვენთვის კარგად ცნობილი **კლაუს ტოპმიოლერი** წვრთნიდა, დღეს კი გუნდის თავკაცი 64 წლის **იუპ ჰაინკესია.**

„დონ იუპმა" „ბაიერი" სეზონის დასაწყისში ჩაიბარა და ვერავინ, მართლა ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ 14 ტურის შემდეგ, მისი გუნდი ბუნდესლიგის ერთპიროვნული და თანაც დაუმარცხებელი ლიდერი იქნებოდა. შედეგებს თავი რომ დავანებოთ, „ბაიერი" ისეთ თავდაჯერებულ, შემტევ და ამავე დროს მუშა ფეხბურთს თამაშობს, რომ ორშაბათის მიმოხილვაში ჩვენ ჰაინკესის გუნდს სავსებით სამართლიანად ვუწოდეთ ახალი გერმანული მანქანა.

ნობისთვის ბრძოლაა მოდაში. თანაც, ასეთი პოლიტიკა კარგად დაებედა გერმანიის მოქმედი ჩემპიონის, „ვოლფსბურგის" ექსთავკაც **ფელიქს მაგათს...**

აქვე გთავაზობთ ჰაინკესის მცირე ინტერვიუს, რომელიც მას „ბილდმა" ჩამოართვა.

**- ჰერ ჰაინკეს, რატომაა თქვენი დამარცხება ასეთი რთული?**

- დაუმარცხებელი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ როცა ისეთ გუნდებში მუშაობ, როგორებიცაა მიუნხენის „ბაიერნი" და „ლევერკუზენი", ცხადია, უფრო იოლია ისეთი გუნდის შეკვრა, რომლის დამარცხება ძალიან ძნელი იქნება.

**- „ლევერკუზენს" 2002 წლის შემდეგ „მუდმივი ვიცე-ჩემპიონის" სახელი აქვს. თქვენ ხართ ის კაცი, ვინც ამ გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტს დაუბრუნებს?**

- გამარჯვებულის მენტალიტეტი ციდან არ ვარდება, ეს პროცესში უნდა გამოიმუშაო. ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქიკური სტაბილურობაა.


ლევერკუზენის მთავარი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი

ყველაფერთან ერთად, ჰაინკესი „ბაიერთან" ერთად ახალ რეკორდს უმიზნებს. თუკი „ფარმაცევტები" მომავალ ტურში ჰანოვერში არ წააგებენ, გამოვა, რომ სეზონის პირველ 15 ტურში დაუმარცხებლები იქნებიან, რაც ახალი რეკორდი იქნება! მაგრამ თვითონ იუპისთვის ეს რეკორდი არაფერს ნიშნავს.

*„ფეხბურთში არც ერთი რეკორდი არაფერს ნიშნავს. ზუსტად ისე, როგორც ოლიმპიურ თამაშებზე, მნიშვნელობა მხოლოდ ოქროს მედლის მოპოვებას აქვს,"* - აცხადებს ჰაინკესი. ოქროს მედალი კი „ლევერკუზენისთვის" „ვერცხლის სინი" იქნებოდა, ანუ, გერმანიის ჩემპიონობა. *„ცხადია, ძალიან კარგია, როცა ამხელა სერია გაქვს, - აგრძელებს იუპი, - მაგრამ საბოლოო ჯამში ეს მხოლოდ რიცხვების თამაშია და მეტი არაფერი. თუმცა ჩვენს შემთხვევაში ეს არის იმის დადასტურებაც, რომ კარგად ვმუშაობთ."*

კვირას, „შტუტგარტთან" მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების (4:0) შემდეგ, პირველი ტურიდან 14-მატჩიანი წაუგებელი სერიით ჰაინკესმა უკვე გაიმეორა „ლევერკუზენისთვის" ორი საკულტო მწვრთნელის რეკორდი - პირველი ტურიდან 14-მატჩიანი წაუგებელი სერია აქამდე მხოლოდ **კალი ფელდკამპს** (1978/79) და **კლაუს ტოპმიოლერს** (2001/02) ჰქონდათ. 2002 წელს ტოპი მხოლოდ ვიცე-ჩემპიონი გახდა და მისი რეკორდის დამხობა ჰაინკესისთვის იქნებ იმის ნიშანი იყოს, რომ წელს ის „ლევერკუზენს" გააჩემპიონებს?

*„რეკორდი, წაუგებელი მატჩების სერია თუ შემოდგომის ჩემპიონობა არაფერს ნიშნავს. ცხადია, პირველ ადგილზე ჩვენთან უარს არავინ იტყვის, მაგრამ ჩვენი მიზანი იყო, არის და რჩება ის, რომ საუკეთესო ხუთეულში მოვხვდეთ,"* - ეს სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** სიტყვებია. მისი არ გვიკვირს, რადგან გერმანიაში ხუთეულში მოხვედრის მიზნად დასახვა და „ჩუმად" ჩემპიონობისთვის ბრძოლაა მოდაში.

**- 64 წლის ხართ, მაგრამ ძალიან ენერგიულად გამოიყურებით...**

- რას ნიშნავს ენერგიულად? მე ყოველთვის ასეთი ვიყავი! ჩემი, როგორც მწვრთნელის მთავარი პლუსი ყოველთვის ფეხბურთელებთან სტაბილური და დალაგებული ურთიერთობა იყო.

**- როგორ მოახერხეთ ის, რომ ტონი კროოსი და შტეფან კისლინგი შესანიშნავად თამაშობენ?**

- მე კი არა, ეს თვითონ კროოსმა და კისლინგმა მოახერხეს, მე კი უბრალოდ მათი მასწავლებელი ვარ და მუდმივად ვუმეორებ, რომ საკუთარ თავზე მუშაობა არ უნდა შეწყვიტონ. ტონიცა და შტეფანიც ძალიან კარგი ბიჭები არიან. ორივე მაგრად მუშაობს და ვარჯიშებზე თავს არ ზოგავს. მეტსაც გეტყვით: დღესდღეობით კისლინგი გერმანიის საუკეთესო თავდამსხმელია.

**- არის თუ არა მასწავლებელი ჰაინკესი „ლევერკუზენისთვის" იდეალური მწვრთნელი?**

- იდეალური მწვრთნელი არ არსებობს. გარდა ამისა, არც ისაა საკმარისი, რომ იყო ფეხბურთის კარგი მასწავლებელი. თუ გუნდი არ აგყვა, არაფერი გამოგივა - მოთამაშეებმა ყველა დავალება ზუსტად უნდა შეასრულონ, მონდომებულები და დისციპლინირებულები იყვნენ. ასეთ შემთხვევაში კი წარმატების მიღწევა შესაძლებელია და მიხარია, რომ ჩვენთან სწორედ ასე მოხდა. ფეხბურთელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, ჩვენ შესანიშნავ ერთიანობას ვქმნით. ცხადია, ბიჭები ხშირად სისულელეებსაც აკეთებენ, მაგრამ ხუმრობა და გართობაც ჩვენი ცხოვრების და შესაბამისად, ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია.

**- ფეხბურთელებს როგორ უდგებით?**

- მოთამაშეებთან ურთიერთობაში პირდაპირი, კონსტრუქციული და გულახდილი ვარ. თუ რომელიმე მათგანის გაკრიტიკება მსურს, ამას ყველას თვალწინ არ ვაკეთებ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი



შტეფან ეფენბერგი ბავარიელებს საინტერესო რჩევებს აძლევს

# ეფენბერგი: მე რომ ბაიერნის მენეჯერი ვიყო...

„ბაიერნის" ლეგენდარული კაპიტანი, 41 წლის **შტეფან ეფენბერგი** გასულ უქმეებზე გერმანიაში დაბრუნდა (ეფე ფლორიდაში ცხოვრობს) და ცხადია, მაშინვე ჩვენი გერმანელი კოლეგების ყურადღების ცენტრში მოექცა. ეფენბერგმა „სქაის" ერთობ საინტერესო ინტერვიუ მისცა. ჟურნალისტის თხოვნით, შტეფანმა თავი მიუნხენური გრანდის გენერალურ მენეჯერად წარმოიდგინა და გულახდილად ისაუბრა, რას მოიმოქმედებდა, ამ თანამდებობაზე რომ მუშაობდეს.

ეფეს უპირველესი გადაწყვეტილება იქნებოდა ის, რომ იგი **ლუკა ტონის** გაუშვებდა. „ტონი ძალიან მაგარი თავდამსხმელია, მაგრამ ბოლოს მიუნხენში საქმეები ძალიან ცუდად აეწყო და მას აუცილებლად გავუშვებდი. არა იმიტომ, რომ „ბაიერნს" მისი გამოყენება აღარ შეუძლია, არამედ იმის გამო, რომ იტალიელი ლუის ვან გაალს ველარასოდეს შეურიგდება და ესეც რომ არ იყოს, მას მიუნხენიდან წასვლა უნდა, თანაც ძალიან. შესაბამისად, ის გასაშვებია, თანაც სასწრაფოდ. თუ ტონი „ბაიერნში" სეზონის ბოლომდე დატოვეს, ეს გუნდში მხოლოდ არეულობას შეიტანს, რადგან იტალიელი მუდმივად პრესის ყურადღების ცენტრშია," - აცხადებს ეფენბერგი.

რას ფიქრობს ეფე იმის შესახებ, რომ **ფრანკ რიბერი** სეზონის მხოლოდ ორ მესამედს თამაშობს ხოლმე, რადგან ფრანგი ხშირად იღებს ტრავმას? ეფენბერგი: „რიბერი ზამთრის არდადეგებს გამოიყენებს იმისათვის, რომ ფორმაში შევიდეს და იმედი მაქვს, სეზონის მეორე ნახევარში ძველებურად ათამაშდება. რაც უნდა იყოს, ხომ უნდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს იდეალურ ფორმაში მყოფი შეხვდეს?"

მუნდიალის შემდეგ კი, შტეფანი რიბერისაც გაყიდდა და აი, რატომ: „რიბერი გენიალური ფეხბურთელია და ის ყოველთვის იქნება ისეთი გუნდებისთვის სასურველი მოთამაშე, როგორებიც არიან მადრიდის „რეალი" ან „ბარსელონა". ფრანგი ნახევარმცველი ბრწყინვალეა, მაგრამ არ არის შეუცვლელი ფეხბურთელი. მე რომ „ბაიერნის" მენეჯერი ვიყო, მას ზაფხულში ძალიან კარგ ფასად გავყიდიდი."

მაგრამ ეფენბერგი მხოლოდ გაყიდვებზე და ფულის შოვნაზე როდი იზრუნებდა - რაც უნდა იყოს, რეკორდმაისტერს ფული ნამდვილად არ უჭირს.

„მე რომ მენეჯერი ვიყო, ერთ ძალიან საინტერესო და უმაღლესი კლასის მეკარეს შევიძენდი. იყო და დღემდეა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „ბაიერნს" „შალკეს" კარის დარაჯის, მანუელ ნოიერის გადაბირება უნდა, მაგრამ ჩემი აზრით ნოიერი არ უნდა იყიდონ. ნოიერი ცუდი მეკარე არ არის და დარწმუნებული ვარ, რომ დიდი მომავალი აქვს, მაგრამ მე მასზე უკეთეს მეკარეებად რენე ადლერს და ტიმ ვიზეს მივიჩნევ. მეტსაც გეტყვით, ამ ორს შორის უპირატესობას ბრემენელს ვანიჭებ, რადგან ჩემი აზრით, ვიზე „პატარა" ოლივერ კანია!" - ამბობს ეფე.

**კანის** ხსენება და მორიგი იდეის გაჩენა ერთი იყო: ეფენბერგი მიიჩნევს, რომ **ული ჰიონესის** საქმეს (ეს უკანასკნელი მენეჯერი აღარ არის, პრეზიდენტი გახდა) მხოლოდ **კრისტიან ნერლინგერი** ვერ აუვა. სწორედ ამიტომ, შტეფანის აზრით, უპრიანია, რომ ბავარიელებმა ნერლინგერს მხარში სწორედ კანი ამოუყენონ. „ოლი მიუნხენური კლუბის სტრუქტურას და პოლიტიკას შესანიშნავად იცნობს. მთავარია, მოუნდება თუ არა მას ამ თანამდებობაზე მუშაობა. და თუ მოუნდება, დარწმუნებული ვარ, რომ ბრწყინვალე მენეჯერი იქნება," - ასეთია ეფეს აზრი.

რეკორდმაისტერს შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზეც უჭირს და ეფენბერგის აზრით, ბავარიელებმა ზაფხულში აუცილებლად უნდა დაიბრუნონ „ლევერკუზენისთვის" მიცემული 19 წლის გამთამაშებელი **ტონი კროოსი**. ეფენბერგი: „მაგრამ სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, პირველ რიგში, ფეხბურთელს დაველაპარაკებოდი და თუ მეტყოდა, რომ ჯერ კიდევ „ლევერკუზენში" სურს დარჩენა, დავტოვებდი მანამ, სანამ თვითონ არ მოუნდებოდა მიუნხენში გადმოსვლა, რადგან არ შეიძლება, რომ ფეხბურთელს რაიმე ნაბიჯი იძულებით გადაადგმევინო."

ეფენბერგის მოსაზრებებს „ბაიერნის" შეფებისა და გულშემატკივრებისთვის უდიდესი წონა აქვს. დიდი შანსია, რომ ზებენერშტრასეზე მისი რჩევები გაითვალისწინონ კიდეც...

***P.S. რამდენიმე დღის წინ „ბაიერნის" ოფიციალურ საიტმა დაადასტურა, რომ მომდევნო სეზონიდან კროოსი მიუნხენში ითამაშებს.***

ინტერვიუ

იურგენ კლინსმანი

# ბუნდესლიგა აღარ გამაგონოთ!

## მუნდიალის შემდეგ კლინსი ისევ დასაქმდება. ლივერპულში?

**რამდენიმე თვეა, რაც იურგენ კლინსმანი უმუშევარია. მას მერე, რაც კლინსი მიუნხენის „ბაიერნიდან" გააგდეს, 45 წლის სპეციალისტი საფეხბურთო სცენაზე აღარ გამოჩენილა, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი იმის გამო, რომ იურგენმა მიუნხენურ გრანდში წარმატებას ვერ მიაღწია. შესაბამისად, დაეცა მისი პოპულარობაც და აღარც ისეთი იმიჯი აქვს, როგორიც 2006 წლის მუნდიალის შემდეგ ჰქონდა. თუმცა კლინსმანმა მომავალი ზაფხულისთვის პირველი სამსახური უკვე იშოვა: იგი გერმანულ ტელეკომპანია RTL-ისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს ანალიზს გაუკეთებს. კლინსის „ბილდი" გაესაუბრა.**



იურგენ კლინსმანს გერმანიაში მუშაობა აღარ სურს

**- ჰერ კლინსმან, გილოცავთ! ზაფხულისთვის თქვენ საკმაოდ კარგი სამსახური იშოვეთ...**

- დიახ, სატელევიზიო ექსპერტის რანგში მუშაობა ჩემთვის დიდი გამოწვევაა, რადგან შემიძლია, მსოფლიოს ჩემპიონატს სულ სხვა თვალით შევხედო. მიხარია ისიც, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" თავკაც იურგენ კლოპთან ერთად ვიმუშავებ. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან საინტერესო პროექტი გამოვა.

**- ტელეკომპანიას გერმანიის ნაკრების მატჩების გაშუქების უფლება არ აქვს. შესაბამისად, თქვენ არ მოგიწევთ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იოახიმ ლიოვის გაკრიტიკება. გიხარიათ?**

- გერმანიის ნაკრებზე ლაპარაკის პრობლემა არ მექნებოდა. თანაც, მაყურებლისთვის ძალიან საინტერესოა, როცა გუნდის შიდა სამზარეულოზე საუბრობს სპეციალისტი, რომელიც წინა მუნდიალზე ბუნდესგუნდის დამრიგებელი იყო. ლიოვის გაკრიტიკება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან კრიტიკა აუცილებელია. ესეც რომ არ იყოს, ყოველი გამოუყენებელი საგოლე შანსის მერე ფეხბურთელს მინასთან ნალდად არ გავასწორებ, რადგან ვიცი, რა ხდება ამ დროს ამა თუ იმ მოთამაშის თავში. მოკლედ, გერმანიის ნაკრებზე საუბარი არ მომიწევს, სამაგიეროდ, მექნება იმის საშუალება, რომ იოგის მეტოქეებზე საინტერესო ცნობები მივაწოდო.

**- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დღეს გერმანიის ნაკრები უფრო ძლიერი, ვიდრე 2006 წელს იყო?**

- დიახ, მე ვფიქრობ, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატმა ამ გუნდს მეტი გამოცდილება შესძინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესგუნდი უფრო ძლიერია. 2006 წელს ჩვენ ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავდა მხოლოდ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშით. იმ ნაკრებმა მუნდიალზე ბრწყინვალედ იასპარეზა. დღეს ბიჭები გაცილებით გამოცდილები და ასე ვთქვათ, დაღვინებულები არიან. ამასთან, გუნდს დაემატნენ ისეთი შესანიშნავი ახალგაზრდა მოთამაშეები, როგორებიც არიან მესუთ იოზილი ან პიოტრ ტროხოვსკი. თუკი გერმანიის ნაკრები თავის პოტენციალს გამოიყენებს, მჯერა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა რეალური მიზანია. მიზნისთვის ბრძოლა ჩვენ, გერმანელებს უბრალოდ სისხლში გვაქვს და ამიტომაც ვუყურებ მომავალ მუნდიალს ოპტიმისტურად.

**- ინტერვიუზე გერმანიის ნაკრების ქურთუკით გამოცხადდით. რატომ?**

- ძალიან კომფორტული ქურთუკია, ეს არის და ეს.

**- რობერტ ენკეს პანაშვიდზე თქვენ გერმანიის ნაკრების მენეჯერ ოლივერ ბირჰოფთან და მწვრთნელ იოახიმ ლიოვთან ერთად იდექით. მიგაჩნიათ, რომ ისევ ამ გუნდის წევრი ხართ?**

- ამ გუნდის წევრი ვარ და ყოველთვის ვიქნები, უბრალოდ, გერმანიის ნაკრებში აღარ ვმუშაობ. ხომ იცით, ეს გუნდი ჩემ მიერაა ჩამოყალიბებული. რობერტის გარდაცვალების შემდეგ კონტაქტი ყოველ დღე გვქონდა. მაგალითად, ჰანოვერში იენს ლემანთან ერთად გავფრინდი. ვფიქრობ, ნორმალურია ის, რომ მძიმე დღეებში ყველანი ისევ ერთად ვიყავით. სხვათა შორის, რობერტ ენკე 2004 წელს აზიურ ტურნეზე დავპატიჟე და ძალიან მინდოდა, რომ ნაკრებთან ერთად წამოსულიყო, მაგრამ მაშინ მისი ქალიშვილი ლარა უკვე ძალიან მძიმედ იყო და რობერტმაც ამიტომ თქვა უარი აზიაში წამოსვლაზე. მას მერე ენკეს ხშირად ვესაუბრებოდი, მოგვიანებით კი, როცა გერმანიის ნაკრებში თამაშობდა, ტექსტურ შეტყობინებებს ვუგზავნიდი და ვამხნევებდი ხოლმე.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბუნდესლიგაში მუშაობა რომ შემოგთავაზონ, უარს იტყვით? მაგალითად, დიდი შანსია, რომ ახლა თუ არა, სეზონის ბოლოს მაინც, თქვენთვის უსაყვარლესი კლუბი „შტუტგარტი" უმწვრთნელოდ დარჩეს...**

- არა, ბუნდესლიგაში მუშაობას კატეგორიულად გამოვრიცხავ.

**- 2010 წლის მუნდიალის შემდეგაც კი?**

- წინასწარ ვერაფერს განჭვრეტ, მაგრამ ველარ წარმომიდგენია ის, რომ ბუნდესლიგაში ვიმუშაო.

**- რატომ?**

- „ბაიერნში" გატარებულმა პერიოდმა ბევრი რამ მასწავლა. მოხდა ძალიან ბევრი რამ და ჩემი დასკვნა ასეთია: ბუნდესლიგაში მუშაობა აღარ მინდა.

**- გთხოვთ, უფრო კონკრეტულად აგვიხსნათ...**

- სამწუხაროდ, თხოვნას ვერ შეგისრულებთ, რადგან დეტალებზე საუბარი საჭირო არ არის. ჩემთვის ცხადია, რომ ბუნდესლიგაში ახალი თავგადასავალი არ მჭირდება. მაგრამ ისიც სავარაუდოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სადმე აუცილებლად დავსაქმდები.

**- მაგალითად „ლივერპულში"? ინგლისური გაზეთები წერენ, რომ თქვენ რაფა ბენიტესის შემცვლელად მოიაზრებით...**

- ჭორები ყოველთვის ვრცელდება ...

**- მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ზაფხულში გუნდი მნიშვნელოვნად გააძლიერეს, რეკორდმაისტერი მაინც ვერ გამოიყურება ისე, როგორც მას შეეფერება. ძლევამოსილი გუნდის დაყენება ლუის ვან გაალსაც ძალიან გაუჭირდა. როგორ ფიქრობთ, ამსუბუქებს თუ არა ეს თქვენს მდგომარეობას? რაც არ უნდა იყოს, ხალხი აღარ ფიქრობს, რომ შარშან „ბაიერნის" წარუმატებლობა მხოლოდ კლინსმანის ბრალი იყო...**

- არა, ეს არაფერს ცვლის. ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი მიზანი მერვედფინალში გასვლა იყო, რომელსაც მივაღწიეთ. ბუნდესლიგაში კი, იმ დროს, როცა გამათავისუფლეს, მომავალ ჩემპიონ „ვოლფსბურგს" მცირედით ჩამოვრჩებოდით. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება და თანამდებობა დამატოვებინეს. ეს მათი ნება იყო. ჩვენ უბრალოდ განსხვავებული მოსაზრებები გვქონდა. ასეთ დროს კი უმჯობესია, გზები გაიყოს. მიუნხენის „ბაიერნს" ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ!

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



ეროვნული ბიბლიოთეკა



სატრანსფერო სპეკულაციები

ადრიანო ბრაზილიაშიც კარგად გრძნობს თავს



# რომას უნდა, ადრიანოს არაო...

იტალიელები **ადრიანოს** მაინც ვერ ეშვებიან. როგორც იცით, ბრაზილიელმა ვერაფრით იპოვა სიმშვიდე ევროპაში და სამშობლოში დაბრუნდა. „იმპერატორი" ამჟამად „ფლამენგოს" ღირსებას იცავს და საკმაოდ კარგ ფეხბურთს აჩვენებს. ამბობენ, ოპტიმალურ კონდიციაშია და გუნდისთვის დიდი სარგებელი მოაქვსო. აპენინურ პრესაში მასთან დაკავშირებით არაერთი ინფორმაცია გავრცელდა, ხან „ინტერში" აბრუნებდნენ, ხან „იუვეში" გადაჰყავდათ, ხანაც „მილანში". ასეთივე ინფორმაცია გავრცელდა ადრიანოს „რომაში" შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით და ეს ამბავი კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ბრუნო კონტიმაც** დაადასტურა:

*„ადრიანო შესანიშნავი ფეხბურთელია და მას ნამდვილად ვაკვირდებით. უკვე ორი თვეა, კლუბის წარმომადგენლები ბრაზილიაში იმყოფებიან და პერსპექტიულ, საინტერესო ფეხბურთელებს აკვირდებიან. გამოგიტყდებით და, როდესაც მათი სამხრეთ ამერიკაში გამგზავრება გადაწყდა, „იმპერატორზე" საერთოდ არ გვიფიქრია. ჩვენმა სკაუტებმა არაერთი თამაში იხილეს და რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელის გვარი მოინიშნეს. ყველა სიკეთესთან ერთად, მათი განსაკუთრებული მოწონება სწორედ ადრიანომ დაიმსახურა. ძალიან ბევრს მოძრაობს მოედანზე და გუნდისთვის დიდი სარგებელი მოაქვს. „ფლამენგოს" მესვეურებთან აუცილებლად გავმართავთ მოლაპარაკებებს და არ არის გამორიცხული, ადრისთან კონტრაქტი გავაფორმოთ".*

გუშინ ამ საკითხზე ფეხბურთელის პირადმა აგენტმა **ჟილმარ რინალდიმ** ისაუბრა: *„ვერაფერს გეტყვით, რომიდან არავინ დამკავშირებია. რადგან ამხელა აჟიოტაჟია ატეხილი, ესე იგი ადრიანოს გადაბირება მართლაც სურთ. ისე კი იტალიელებს ვურჩევდი, რომ დრო ტყუილად არ დაკარგონ. ჩემს კლიენტს რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე და კარგად ვიცი მისი პოზიცია. ბრაზილიაში თავს იდეალურად გრძნობს და ევროპაში დაბრუნებას ამ ეტაპზე არ აპირებს. ვისაუბრეთ „რომას" ვარიანტზე და პირდაპირ მითხრა, „ჯალოროსიში" თამაში არ მსურსო. ასე რომ, იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას ადრიანოს „რომაში" გადაბარგება გამორიცხულია".*

ანტაგონიზმი

# მატერაციმ იუვე ლივორნოს გაუტოლა

**მარკო მატერაცი** ბოლო დროს ჩრდილში მოექცა, ალარც თამაში უწევს და შესაბამისად, ალარც ჟურნალისტებს ახსენდებათ. როგორც ჩანს, მისმა მატარებელმა უკვე ჩაიარა და კაცმა რომ თქვას, ეს ბუნებრივიც არის - მარკო უკვე 36 წლის გახლავთ და წესით, მალე კარიერაც უნდა დაასრულოს. გუშინ თავად შეახსენა ჟურნალისტებს თავი და ჯერ დიდ იტალიურ დერბიზე ისაუბრა, შემდეგ კი **ჟოზე მოურინიო** შეაქო:

*„იტალიურ დერბიზე უკვე აქედანვე საუბრობენ, მე კი ვერ ვხვდები, რა საჭიროა ერთი შეხვედრის ირგვლივ ამხელა აჟიოტაჟის შექმნა. „იუვენტუსთან" ერთი რიგითი მატჩი გაიმართება, ისეთივე, როგორიც გასულ ტურში შედგა. პირდაპირ ვიტყვი, „ინტერისთვის" „იუვე" ისეთივე მნიშვნელობის მეტოქეა, როგორიც ვთქვათ „ლივორნო". ჩვენთვის მთავარი სამი ქულის აღებაა და ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან, მხოლოდ ამ მიზნისთვის ვთამაშობთ".*

შემდეგ მატერაცის ეკითხებიან, რატომ ხარ ასე თავდაჯერებულიო? - და აი, პასუხიც: *„რატომ? რატომ და, „ინტერს" ისეთი დიდებული სპეციალისტი წვრთნის, როგორიც ჟოზე მოურინიოა. ათეული წლებია ფეხბურთში ვარ და ასეთ ძლიერ მწვრთნელს და ადამიანს, ჯერ არ შევხვედრივარ. ყველაფერთან ერთად, ძალიან კარგი ფსიქოლოგია და იცის, როგორ მიუდგეს ფეხბურთელებს. ხშირად იღიმის, ხუმრობს და ვარჯიშებზე დადებით აურას ქმნის. ის მართლაც გამორჩეულია და ამაში ჩემი თანაგუნდელებიც დამეთანხმებიან".*



მარკო მატერაცი

იტალიის ნაკრები

# ლიპი: მთავარია გუნდური სულისკვეთება

**რაც დრო გადის, იტალიურ პრესაში სულ უფრო და უფრო ინტენსიურად იწერება მსოფლიოს ჩემპიონატზე და „სკუადრა აძურას" სამუნდიალო შანსებზე. აპენინებზე ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი, მათ არ სჯერათ, რომ ასეთი ფორმაციის „აძურას" სამხრეთ აფრიკაში წარმატების მიღწევა შეუძლია.**

**მარჩელო ლიპის** კვალიფიკაცია და ავტორიტეტი ეჭქვეშ არ დგას, მაგრამ მეორე მხრივ, მის გადაწყვეტილებებს ბევრი ვერ იგებს, მაგალითად, იმას, თუ რატომ არ იწვევს ეროვნულ ნაკრებში **ანტონიო კასანოს**. ამ საკითხს „მაესტრომ" წერტილი უკვე დაუსვა და ჩვენც აღარ მივუბრუნდებით, უბრალოდ კიდევ ერთხელ ალვნიშნოთ, რომ შემოქმედებითი ფეხბურთელების დეფიციტის ფონზე ანტონიოზე უარის თქმა მართლაც სერიოზულ რისკთან არის დაკავშირებული.

2006 წლის მუნდიალზე იტალიის ნაკრები ბევრად უფრო ვარსკვლავური შემადგენლობის გახლდათ - თუნდაც შეტევის ხაზი ავილოთ, სადაც **ფრანჩესკო ტოტი, ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი** და **ლუკა ტონი** თამაშობდნენ. დღეს აქცენტი სხვა ფორვარდებზე კეთდება, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდეც: **ფაბიო კვალიარელა, ანტონიო დი ნატალე, ჯუზეპე როსი, ვინჩენცო იაკვინტა, ალბერტო ჯილარდინო**. მართალია, იაკვინტა და ჯილარინო გერმანიის მსოფლიო ფორუმზეც თამაშობდნენ, მაგრამ დღევანდელი რეალობისგან განსხვავებით, გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალას ნამდვილად არ წარმოადგენდნენ.



მარჩელო ლიპი

იტალიელთა შიში გასაგებია, ისინი ვერ ენდობიან **სიმონე პეპეს, ანჯელო პალომბოს**, მსგავსი ყაიდის ფეხბურთელებს და მიაჩნიათ, რომ ასეთი გუნდი იმავე ბრაზილიის ნაკრებთან პაექრობაში წინასწარ იქნება განწირული. პრინციპში, კონფედერაციათა თასზე ასეც მოხდა, „აძურამ" ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „სელესაოს" და როგორც გახსოვთ, პირწმინდად დამარცხდა. ლიპის საკმაოდ დიდი წნეხის ქვეშ უწევს მუშაობა, რაზეც ტელეკომპანია RAI-ს ჟურნალისტთან თავადაც ილაპარაკა. მოვუსმინოთ მარჩელოს, ვინც საკმაოდ საინტერესო თემებზე საუბრობს:

*„უმეტესობა ფიქრობს, რომ წარმატების ფორმულა მეგაფეხბურთელებში, ვარსკვლავებშია. ჩემთვის კი მეგაფეხბურთელი ის გახლავთ, ვინც გუნდზე მუშაობს და არა საკუთარ თავზე. დამერწმუნეთ, გყავდეს გუნდში ვარსკვლავი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წარმატებას მიაღწევ. ჩამოვთვალოთ დღესდღეობით სამი საუკეთესო ფეხბურთელი: ლიონელ მესი, კრისტიანო რონალდო და ზლატან იბრაჰიმოვიჩი. მესის არგენტინას დიდი პრობლემები ჰქონდა შესარჩევ ეტაპზე და მხოლოდ ბოლო ტურებში მოიპოვა მსოფლიო ფორუმის საგზური. უფრო მძაფრი კონკურენცია რომ იყოს სამხრეთ ამერიკაში, „ალბისელესტე" სულაც მუნდიალს მიღმა დარჩებოდა. რონალდოს პორტუგალია ავილოთ, შესარჩევ ეტაპზე არასტაბილურად იასპარეზა და მხოლოდ პლეი ოფების გავლით მიაღწია მიზანს. იბრაჰიმოვიჩი და შვედეთი კი სულაც მუნდიალის გარეშე დარჩნენ. არადა, სკანდინავიელებს ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდათ და საფეხბურთო ფორუმებზე სტაბილურად თამაშობდნენ. ადრე არ ჰყავდათ იბრას დონის შემსრულებელი, მაგრამ ჰყავდათ გუნდი. ასე რომ, წარმატების ფორმულა არა ცალკეულ ფეხბურთელებში, არამედ გუნდურ სულისკვეთებაშია. დიდი წნეხის ქვეშ მიწევს მუშაობა, შედეგზე მე მეკისრება პასუხისმგებლობა და ნება მომეცით, მშვიდად შევარჩიო ის ფეხბურთელები, რომლებსაც ბოლომდე ვენდობი.*

*...ბუნებრივია, საშემსრულებლო ოსტატობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და ამ მხრივ, დამერწმუნეთ, რომ არავითარი პრობლემა არ გვაქვს. საბედნიეროდ, ასარჩევად გვაქვს საქმე და იმათ დავეყრდნობით, რომლებიც მოცემული მომენტისთვის საუკეთესო ფორმაში იქნებიან. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ფეხბურთელები იდეალურ ფიზიკურ კონდიციაში უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრახი გარდაუვალი იქნება. ამიტომ, ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღებით ვიმუშავებთ. ვეცდებით, რომ სეზონის დასრულებისთანავე „აძურას" თითოეული ფეხბურთელი კონტროლზე ავიყვანოთ და ვარჯიშის ინდივიდუალური გეგმა შევუდგინოთ. თუ ფიზიკურად კარგ ფორმაში ვიქნებით, ვერც ერთი მეტოქე ვერ შეგვაშინებს.*

*...მუნდიალის ფავორიტები? - ოთხი გუნდი უნდა გამოვყო: პირველ რიგში ბრაზილიის ეროვნული ნაკრები და თუ რატომ, ამას დასაბუთება ალბათ არ სჭირდება. კარლოს დუნგას განკარგულებაში ფანტასტიკური ფეხბურთელები არიან, რომელთაც მოედანზე ყველაფერი შეუძლიათ. ფავორიტთა შორის დავასახელებდი არგენტინას, გერმანიასა და საფრანგეთს. მართალია, გალებს პრობლემები აქვთ, მაგრამ მათი ჩამოწერა მაინც ნაადრევია. ეს ოთხი გუნდი ყოველთვის თასისთვის მიემგზავრება მსოფლიო ფორუმზე და გამონაკლისი არც სამხრეთ აფრიკული ჩემპიონატი იქნება".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ოლიმპიური ფესტივალი

# თბილისი 2015 ოფიციალურად დარეგისტრირდა




პორტუგალიის დედაქალაქი ორი დღე მასპინძლობდა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეას, რომლის მუშაობაში კონტინენტის ყველა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, მათ შორის სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** და პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე** მონაწილეობდნენ.

ლისაბონის ასამბლეის დღის წესრიგში უმთავრესი საკითხი ეოკ-ის პრეზიდენტის და აღმოსკომის ახალ წევრთა არჩევა იყო. პრეზიდენტის საპატიო პოსტი კიდევ ოთხი წლით ერთხმად შეინარჩუნა უალტერნატივო კანდიდატმა **პატრიკ ჰიკმა**, რომელიც ირლანდიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელიცაა.

ჩვენთვის საინტერესო კი "თბილისი 2015"-ის პროექტია, რომელიც ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობას ითვალისწინებს. "თბილისი 2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დედაქალაქის მერი **გიგი უგულავაა**. პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა მერიის შესაბამისმა სამსახურებმა და სეოკ-მა. ასამბლეის დელეგატებს, რომლებსაც დაურიგდათ სპეციალური საპრეზენტაციო ბუკლეტები, მიესალმნენ თბილისის ამ ინიციატივას. ლისაბონშივე ეოკ-ის კონგრესმა ოფიციალურად დაარეგისტრირა თბილისი, როგორც ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის კანდიდატი ქალაქი.

თბილისსა და ჩეხეთის ქალაქ ბრნოს შორის ეოკ-ი არჩევანს გაისად ნოემბერში 39-ე გენერალურ ასამბლეაზე გააკეთებს, მანამდე კი საქართველოს დედაქალაქში სპეციალური კომისია ჩამოვა და სპორტული ბაზების, უსაფრთხოების, კვების, სპორტსმენთა თუ ოფიციალურ პირთათვის საცხოვრებელი ადგილის, მოხალისეების, ტრანსპორტირების საკითხებს ადგილზე გაეცნობა, შეისწავლის და თავის დასკვნას წარუდგენს ასამბლეას.

სეოკ-ის ხელმძღვანელებს ლისაბონში არაერთი საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ სხვადასხვა ეოკ-ის მესვეურებთან მომავალი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. გადაწყვეტილია, რომ 23-25 იანვარს სეოკ-ის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისს, გარდა პატრიკ ჰიკისა, 25-მდე ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ეწვევა.

http://www.geonoc.org.ge

ძიუდო

ძიგორო კანოს მემორიალი

# ძიუდოისტების იაპონური სიურპრიზი

საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ამჯერად სასიამოვნო სიურპრიზით გაგვაოცა - ჩვენი ნაკრები ტოკიოში ძიუდოს ფუძემდებელ ძიგორო კანოს მემორიალში იჭიდავებს. ეს ტურნირი უძლიერესის წოდებას არც აქამდე უთმობდა არავის, წლეულს კი სულაც „დიდი მუზარადის" სტატუსი მიენიჭა და 11-13 დეკემბერს ტარდება. მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრების წევრები 5-6 დეკემბერს ქუთაისში საქართველოს ჩემპიონატში გამოვლენ, 8 დეკემბერს კი საიაპონიოდ შეგულებული გუნდი ტოკიოში გაემგზავრება. ნაკრების საბოლოო შემადგენლობას სწორედ საქართველოს პირველობა გაარკვევს - გუნდის თავკაც **ამირან ტოტიკაშვილს** ზოგიერთ წონაში ორი კანდიდატი ჰყავს შეგულებული, მათგან საუკეთესო კი ქვეყნის ჩემპიონატზე გამოვლინდება. მწვრთნელმა აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა და წონაში ორ-ორი მონაწილის წაყვანაც შეუძლია, მაგრამ ხელს უფულობა უშლის. ამიტომ მიჰყავს წონაში თითო კაცი. ეს ტურნირი ფედერაციას ისედაც არ ჰქონდა კალენდარში და სეზონის მიწურულს თანხების გამოძებნა ორმაგად სასიამოვნოა, რაც შესაძლებელი სპორტის დეპარტამენტისა და ქართული სპორტის ერთ-ერთი სოლიდური მეცენატი ორგანიზაციის დახმარებით გახდა, რომელიც თავის საქველმოქმედო საქმეების აფიშირებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ტოტიკაშვილის რჩეულთა შორის ამჯერად **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **დავით კუპრაშვილი** ან **თენგიზ პაპოშვილი** (73), **ლევან წიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ნოდარ მეტრეველი** ან **ლომერ ყორყოლიანი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+100) მოხვდნენ, თუმცა არაა გამორიცხული, ამ გუნდში საქართველოს ჩემპიონატმა საკადრო ცვლილებები იმ წონებშიც შეიტანოს, სადაც მწვრთნელმა კანდიდატები უკვე შეარჩია - ყველა მათგანი ქუთაისში იჭიდავებს და მათი ავან-ჩავანიც იქ გამოჩნდება.

როგორც გითხარით, მწვრთნელმა არჩევანი ახალგაზრდებზე შეაჩერა, ანუ მომავლის გუნდის კონტურები უკვე გამოიკვეთა. მართალია ეს ნაკრების დღევანდელი წევრების ჩამოწერას არ ნიშნავს, მაგრამ ფაქტია - გუნდში არც ერთი მათგანი არ არის. სავარაუდოდ, უახლოეს წლებშივე აქ ბევრი საკადრო ცვლილება მოხდება.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# სეზონს კალაშნიკოვა და ბასილაშვილი დაასრულებენ

14-დან 20 დეკემბრის ჩათვლით არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ დუბაიში წლის უკანასკნელი ტურნირი გაიმართება, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. ამ ტურნირში მხოლოდ ერთი ჩვენებური, **ოქსანა კალაშნიკოვა** (180) მიიღებს მონაწილეობას. ოქსანას კიდევ ერთი (წლეულს ბოლო) შანსი მიეცემა, რეიტინგში საქართველოს პირველ ჩოგან **ანა ტატიშვილს** (176) გადაუსწროს. ამისთვის ოქსანას დუბაიში ერთი გამარჯვებაც ჰყოფნის ერთეულთა თანრიგში. დუბაიში პირველ ნომრად რუმინელ **ალექსანდრა დულგერუს** (51) განთესავენ, მეორე ნომრად - ესტონელ **კაია კანეპის** (61). ამ ტურნირში მონაწილეობას **ეკა გორგოძე** (482), **სოფიო ქვაცაბაია** (429) და **მანანა შაფაქიძეც** (477) აპირებდნენ, მაგრამ მათ პირველ დეკემბერს მოხსნეს კანდიდატურა.

შორეულ დომინიკის რესპუბლიკაში (10 ათასი $) კვლავ წარუმატებლად იასპარეზა ქართველ ვაჟთა პირველმა ჩოგანმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (556). 17 წლის ბასილაშვილმა პირველ წრეში მე-5 ნომრად განთესილ ავსტრიელ **ნიკოლაუს მოზერთან** (674) წააგო - 4:6, 2:6. ნიკა რუს **ერვანდ გასპარიანთან** (1290) დუეტში წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალშია გასული, სადაც პირველ ნომრად განთესილ ესპანელებს, **დავიდ ფერნანდესს** (593) და **იგნასიო რიუდავეტსს** (448) ეთამაშება. ბასილაშვილი სანტო დომინგოში კიდევ ერთ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის საკლუბო პირველობა

# სეზონის მაჟორული დასასრული


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა თურქულ ბურსაში, ევროპის საკლუბო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს. ჩვენებმა ქვეჯგუფში აზერბაიჯანის და ბელარუსის გუნდებს ერთნაირი ანგარიშით - 4: 3 აჯობეს, ნახევარფინალში რუმინელები 6:1 გაანადგურეს, ფინალში კი მასპინძლებთან 2:5 დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ **ბელდუხ გავაშელიშვილმა** ყველა შეხვედრა მოიგო. ეს სეზონის ბოლო შეჯიბრება იყო და შეიძლება ითქვას, ჩვენებმა წელიწადი ამაღლებული განწყობით ჩაამთავრეს. გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართული პრესკონფერენციაც ამ ტურნირს მიეძღვნა.

*„ვფიქრობ, მეორე ადგილი ჩვენთვის კარგი შედეგია, რადგან გუნდში ძირითადად ახალგაზრდული ნაკრების წევრები შედიოდნენ და არ ჭიდაობდნენ ლიდერები. ამ ახალგაზრდებმა შეუპოვრად, კარგად იჭიდავეს, რაც, ვფიქრობ, წაადგებათ და მომავალში ეროვნული ნაკრების ღირსეული წევრები გახდებიან. ფინალში მასპინძლები შეგვხვდნენ, მათ მიმართ კი მსაჯთა სიმპათიები ყოველთვის იგრძნობა და ამჯერადაც ასე იყო, თუმცა ჩემი აზრით, ურიგოდ არ გამოვსულვართ"* - თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გენაძემ**, რომელიც გუნდს ახლდა ბურსაში.

ახალგაზრდა მოჭიდავეებს და ფედერაციას ვერცხლი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმაც** მიულოცა: *„ამ ნაკრებში ვხედავთ ისეთებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდულ გუნდში გამოდიან და წლების განმავლობაში წარმატებით ჭიდაობენ იქ. ამ ტურნირზე მათი გამოსვლა გვაიმედებს, რომ ბევრ მათგანს სულ მალე ეროვნულ ნაკრებში ვიხილავთ, სადაც იმავე შემართებით გააგრძელებენ ჭიდაობას, როგორითაც ახლა იასპარეზეს საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან"*. ნამგალაურმა მოჭიდავეებს მიმართა: *„მინდა, ეს შემართება საქართველოს ჩემპიონატზეც გამოავლინოთ. იქ ძალიან ძლიერი კონკურენცია გელოდებათ, რადგან სოლიდურ მეტოქეებთან მოგიწევთ პაექრობა, მაგრამ მიუღწეველი არაფერია. პირიქით - ახალგაზრდები ხართ და მეტი პოტენციალი გაგაჩნიათ"*.

გენაძე რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ **მიხეილ მამიაშვილის** მიერ ქართველი მოჭიდავეების გადაბირების მცდელობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამის თაობაზე ჭიდაობის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტსა და საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრებს ესაუბრა. მისი თქმით, თურმე ევროპელებს ეს სასაცილოდ არ ეყოთ და აღნიშნეს, ჩვენი ნებართვის გარეშე ვერავის წაიყვანო. გენაძემ განაცხადა, რომ პირიქით, ჩვენი მიზანი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან სპორტსმენების ჩვენს ნაკრებებში მოზიდვაა.

გენაძეს ამ თემაზე მოგვიანებით საგანგებოდ დავეკითხეთ. კერძოდ, დავინტერესდით, ჰქონდა თუ არა ევროპელებთან ლაპარაკი იმაზე, სამხრეთ ოსეთის გუნდს რუსეთში ტურნირებზე რომ იწვევენ, რუსეთის ჭიდაობის ფედერაცია კი თანამშრომლობის ხელშეკრულებას აფორმებს და საქმიან ურთიერთობას ამყარებს აფხაზეთის ფედერაციასთან. ამასთან დაკავშირებით გენაძემ თქვა: *„რუსეთი როგორც სამხედრო ხელშეკრულებებს აფორმებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან, ასევე შეუძლია ფედერაციების შექმნა და მათთან ფიქციური ხელშეკრულებების გაფორმება, მაგრამ ევროპის და მსოფლიოს ფედერაციები მათ დამოუკიდებელ ორგანიზაციებად, ცალკე ქვეყნებად ვერასოდეს განიხილავს. ეს კიდევ ერთხელ დააფიქსირეს ჩვენმა ევროპელმა მეგობრებმა როგორც ევროპული თუ საერთაშორისო ფედერაციებიდან, ასევე - ცალკეული ეროვნული ფედერაციებიდან. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, საქართველოს დღევანდელ საზღვრებს თუ არ აღიარებენ და ცნობენ ამ რეგიონების დამოუკიდებლობას, ეს კი არასოდეს მოხდება. ამდენად, მამიაშვილს თავისი ხელშეკრულებები წყალში ჩაეყრება"*.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# სახელოვანი დიდოსტატის ხსოვნისა


მარცხნიდან: ნანა ალექსანდრია, გია გიორგაძე, ჰრაჩ სილვანიანი, დავით გურგენიძე, თენგიზ გიორგაძე, ნონა გაფრინდაშვილი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს სტარტს აიღებს მსოფლიოს მე-9 ჩემპიონის, საჭადრაკო ოლიმპიადების ცხრაგზის გამარჯვებულისა და ევროპის ჩემპიონატების რვაგზის ოქროს მედალოსნის **ტიგრან პეტროსიანის** მემორიალი, რომელსაც 2002 წელს ჩაეყარა საფუძველი სახელოვანი მოჭადრაკის **ნანა ალექსანდრიას** ინიციატივით. წლევანდელი შეჯიბრება ტიტულოვანი დიდოსტატის 80 წლის იუბილეს ეძღვნება.

გუშინ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საჭადრაკო კლუბ **ნტნ**-ის იმ ოთახის კედელზე, რომელშიც 1942-1946 წლებში ტიგრან პეტროსიანი **არჩილ ებრალიძის** ხელმძღვანელობით მეცადინეობდა, მემორიალური დაფა გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოში სომხეთის ელჩი **ჰრაჩ სილვანიანი**, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი**, კლუბ ნტნ-ის პრეზიდენტი **ნანა ალექსანდრია**, პარლამენტარი **ვან ბაიბურთი**, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე**, საერთაშორისო არბიტრი, მრავალი წიგნის ავტორი **თენგიზ გიორგაძე**, დიდოსტატები — **თამაზ გიორგაძე**, **გია ბალათუროვი** და **დავით გურგენიძე**, ასევე, **ვაჟა შუბლაძე**, **გულბათ ტორაძე** და სხვები. მათი უმეტესობა საინტერესო მოგონებებით გამოვიდა.

**ნონა გაფრინდაშვილი:** ტიგრან პეტროსიანთან ძალიან თბილი ურთიერთობა მქონდა. ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს, მათ შორის — მის აგარაკზეც, მაგრამ ჭადრაკი არასდროს გვითამაშია, აი, ბილიარდსა და მაგიდის ჩოგბურთში ხშირად შევხვედრივართ და შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ ძლიერი მეტოქე იყო.

ერთი საინტერესო ეპიზოდიც მსურს გავიხსენო: ბიკოვასთან მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩის მოგების შემდეგ თბილისში რომ დავბრუნდი, ერთ-ერთმა სომეხმა ტაქსის მძღოლმა მკითხა, მართალია, რომელილაც პარტიისას პეტროსიანმა პარტერიდან ქართულად გიკარნახათ, „აჩუთი" ითამაშეთო და ის შეხვედრა მოიგეთ? გამეცინა და, „აჩუს" კარნახით მსოფლიოს ჩემპიონები რომ ხდებოდნენ, ნახევარი თბილისი ამ ტიტულის მატარებელი იქნებოდა-მეთქი, ვუპასუხე. მინდა გითხრათ, რომ ტიგრან პეტროსიანი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ჩემს არც ერთ მატჩს არ დასწრებია. ხალხის ამბავი ხომ მოგეხსენებათ: თავისი კერპისთვის ლეგენდებსაც თხზავს. მახსოვს, ერევანში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისას სომეხი გულშემატკივრები, რომლებმაც იცოდნენ ჩემი და პეტროსიანის კარგი დამოკიდებულების შესახებ, ისე მექცეოდნენ, რომ გაკვირვებულმა ნინო გურიელმა მკითხა, ერევანში ვართ თუ თბილისშიო.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა ნანა ალექსანდრიას, რომელიც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს ტიგრან პეტროსიანის მემორიალის გამართვით. ამ ღონისძიებას ორი ერის მეგობრობის განმტკიცებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

**თენგიზ გიორგაძე:** ტიგრან პეტროსიანი 1944 წლის დეკემბერში გავიცანი. მომდევნო წელს საქართველოს ჩემპიონატში ვიასპარეზეთ, სადაც იგი ჩემპიონი გახდა. ერთადერთი მატჩი ჩემთან წააგო. მას შემდეგ დავმეგობრდით. მდიდარი საჭადრაკო ბიბლიოთეკა მქონდა და ჩემი წიგნებით ხშირად სარგებლობდა. ოთხჯერ ამხანაგურად შევხვდით ერთმანეთს და პაექრობა ფრედ — 2:2 დამთავრდა. მოსკოვში რომ გადავიდა საცხოვრებლად და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ჩვენი ურთიერთობა მას შემდეგაც არ შეწყვეტილა. რამდენჯერმე აგარაკზეც მიმიწვია. თბილისში რომ ჩამოვიდოდა, აუცილებლად მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გვესტუმრებოდა. იგი ყველგან უყვარდათ, რადგან თავადაც ასეთი იყო. ჩვენ რუსთაველის მოდგმისა ვართ და „არ დავიწყება მოყვრისა" გვმართებს. ნამდვილად კარგი საქმე კეთდება ტიგრან პეტროსიანის მემორიალის გამართვით...

ეს შეჯიბრება ჭადრაკის სასახლეში თერთმეტის ნახევარზე დაიწყება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ევროთასი

# ბორისამ შიაულიაის ხელი ჩააქნევინა



ევროთასის გათამაშების პირველ ტურში ვლადიმერ ბოისას „ზადარი" შინ ბერძნულ „არისთან" დამარცხდა. *„მეორე მატჩის წაგება ჯგუფიდან გასვლის შანსს საგრძნობლად შეგვიმცირებდა. ეს კალათბურთელებსაც კარგად ესმოდათ, ამიტომ, „შიაულიაისთან" გასვლით მატჩში პირველივე წუთიდან მეორმოცემდე მობილიზებულად ითამაშეს და ხორვატიაში გამარჯვებულები მივდივართ,"* - თქვა ლიტვაში გამართული მატჩის შემდეგ „ზადარის" თავკაცმა **ზმაგო საგადინმა.**

ზადარელებმა დასაწყისშივე მოიპოვეს მცირე უპირატესობა, რომელიც დიდი შესვენების წინ 9 ქულამდე გაზარდეს - 52:43. იყო ეპიზოდი, როცა მასპინძლებმა თამაში გამოასწორეს და სხვაობა ქულამდე შეამცირეს, მაგრამ საპასუხოდ ვლადიმერ ბოისამ ერთმანეთის მიყოლებით 6 ქულა ჩააგდო და სტუმართა უპირატესობა 7 ქულამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში ზადარელებმა კონცენტრაცია შეინარჩუნეს და ევროთასზე პირველი გამარჯვება მოიპოვეს - 95:91.

მატჩის შემდეგ „შიაულიაის" თავკაცმა **ანტანას სირეიკამ** ხელი ჩაიქნია: *„ამ ტურნირზე საწყის ორ მატჩში ერთი მოგებაც არ გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლაზე მხოლოდ ოცნებაღა შეგვიძლია".*

ახლა მთავარი: ვოვა ბოისამ, რომელსაც ლიტვურ საიტებზე ვლადიმერასად მოიხსენიებენ, მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 28 წუთი ითამაშა. დროის ამ მონაკვეთში მან 8 ქულა (5-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 4-დან 1 საჯარიმო), 3 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. ვოვა მეტსაც ითამაშებდა, მეოთხე პერიოდში მეხუთე პერსონალური შენიშვნა რომ არ მიელო.

შეტევაში „ზადარს" **როკ სტეპჩიჩი** გაუძლვა, რომელმაც ლიტველებს 27 ქულა ჩაუგდო.

C ჯგუფის მეორე მატჩში ბერძნულმა „არისმა" იერუსალიმის „ჰაპოელს" უმასპინძლა და 81:77 სძლია.

ამ ჯგუფის ცხრილში პირველ ადგილზე დაუმარცხებელი „არისია", მეორე-მესამე პოზიციებს ინაწილებენ „ზადარი" და „ჰაპოელი" (თითო მოგება-წაგება). მეოთხეა „შიაულიაი" (2 მარცხი).

მომდევნო ტური 8 დეკემბერს გაიმართება. „ზადარი" ისრაელში ჩავა, ხოლო „არისი" „შიაულიაის" ეწვევა.

■ ■ ■

ქართველი მკითხველის ყურადღება B ჯგუფსაც უნდა მივაპყროთ. იქ **თორნიკე შენგელიას** „ვალენსია" თამაშობს. მართალია, ქართველ ახალგაზრდას ჯერ ერთი მატჩიც არ უთამაშია, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ იგი ამ ევროთასს უახლოეს ტურებში დააჭაშნიკებს. პირველ ტურში თორნიკე „ვალენსიას" განაცხადში ვერ მოხვდა. მეორეში, „ლე მანთან" საშინაო მატჩში მწვრთნელმა **ნევენ სპაჰიამ** შენგელია განაცხადში შეიყვანა, თუმცა მოედანზე არ შეუშვია. „ვალენსიამ" „ლე მანი" დაძაბულ ბრძოლაში 74:73 დაამარცხა. ესპანელებს რუსულ „ტრიუმფთან" ერთად ორივე მატჩი მოგებული აქვთ. მესამე ტურში, 8 დეკემბერს რუსეთში სწორედ ამ ორი დაუმარცხებელი გუნდის მატჩი გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ყინულის ჰოკეი

# ნაკრებს კულიკოვი გაწვრთნის

ბოლო დროს ქართულ ჰოკეიში რამდენიმე სიახლე მოხდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად უკრაინელი სპეციალისტი **ალექსანდრ კულიკოვი** დანიშნა. იგი უკვე იმყოფებოდა თბილისში და ქართველ ჰოკეისტებს რამდენიმე ვარჯიში ჩაუტარა. იმის გამო, რომ ჩვენს დედაქალაქში მცირე ზომის და ჰოკეისთვის გამოუსადეგარი ყინულია, მან ჩვენს ფედერაციას შეკრების უკრაინაში ორგანიზება სთხოვა.

შეკრების მოწყობა უკვე გადაწყვეტილი იყო, თბილისისა და ბაკურიანის კლუბებიდან ნაკრების კანდიდატებიც შეიკრიბნენ, მაგრამ უკრაინაში გავრცელებული ღორის გრიპის გამო ქართველ ჰოკეისტებს დონეცკში ჩასვლის ნება არ მისცეს. შეკრება გადაიდო, სავარაუდოდ, გაზაფხულისთვის.

როგორც იცით, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში დებიუტისთვის ემზადება. ჩვენი გუნდი ერევანში უკონკურსოდ იასპარეზებს და მისი მეტოქეები მასპინძელ სომხეთთან ერთად, სამხრეთ აფრიკა, ჩრდილოეთ კორეა და მონღოლეთი იქნებიან.

ქართველი ჰოკეისტები ამჟამად კვლავ თბილისში ვარჯიშობენ, ახალი წლის შემდეგ კი ბაკურიანში გაემგზავრებიან შეკრებაზე. კულიკოვი ნაკრებს სწორედ იმ დროისთვის შეუერთდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



სამთო თხილამურობა

# სხვებმაც დაიწყეს

სამთო-სათხილამურო სეზონი საქართველოს ნაკრების სამეულის (**იასონ აბრამაშვილი, ვახტანგ თედიაშვილი, კოტე ვახტანგაშვილი**) გარდა სხვა ჩვენებურებმაც გახსნეს. 18 წლის **ალექსი ბენიანიძემ** და 16 წლის **ჯაბა გელაშვილმა** ავსტრიის კურორტ მიოლტალერ გლეტშერში ახალგაზრდულ სლალომში მიიღეს მონაწილეობა. ორი ცდის ჯამში 1:39.66 შედეგით ბენიანიძემ 21-ე ადგილი დაიკავა 150-ზე მეტ მონაწილეს შორის, ხოლო ჯაბა გელაშვილს პირველივე ცდა გაუცუდდა. სტარტი აიღო 16 წლის **ნინო წიკლაურმაც**, რომელსაც ვანკუვერის ოლიმპიადის ლიცენზია მოპოვებული აქვს. ნინომ იტალიურ ზულდენში (სოლდა) ახალგაზრდულ გიგანტ-სლალომში მიიღო მონაწილეობა. ჩვენებური ვერაფრით დაიკვეხნის - 64-ე შედეგი აჩვენა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შვიდკაცა რაგბი



დუბაის ტურნირი

# ქალთა ნაკრები დუბაიში

4-5 დეკემბერს დუბაიში შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის პირველი ეტაპი გაიმართება. ამ შეჯიბრების პარალელურად, აქვე მოეწყობა ქალთა შორის „საამიროების ავიახაზების" საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებიც იასპარეზებს.

*„ეს შეჯიბრება მომავალი წლის ივნისში გასამართავი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მოსამზადებელი ეტაპია. ჩვენ იქ B ლიგაში ვასპარეზობთ და მიზნად გვაქვს დასახული, A ლიგის საგზური მოვიპოვოთ. ვფიქრობ, დუბაის გამოცდილება საამისოდ მნიშვნელოვნად წაგვადგება.*

*თუ ფინანსურად შესაძლებელი გახდება, სავარაუდოდ, ევროპის ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე ამსტერდამშიც ვიასპარეზებთ „ჰეინეკენის" ტურნირზე. ზამთრის პერიოდში კი მზადებისას აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გადავიტანთ.*

*უწინდელი შეჯიბრებებისგან განსხვავებით, ამჯერად დუბაიში ნამდვილად საქართველოს ნაკრები მიემგზავრება. თბილისელ გოგონებს ოთხი ბათუმელი მორაგბე დაემატა. სამწუხაროდ, ვერ შევძელით ქუთაისელი გოგონების დამატება, ვინაიდან ისინი ასაკით პატარები არიან"* - გვითხრა დუბაიში გამგზავრების წინ ნაკრების მწვრთნელმა **ზურაბ დუგლაძემ.**

ტურნირში მონაწილეობას ათი გუნდი მიიღებს. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა, სადაც მას მეტოქეობას შოტლანდია, კენია, არაბეთის სრუტის ნაკრები და ადგილობრივი გუნდი „ვუდენ სპუნ რაგბი" გაუწევენ. A ჯგუფში კი საფრანგეთის, აშშ-ის, ბანგკოკის, მოსკოვის რეგიონის ნაკრებები და დუბაის „ტაქს ლედიზი" იასპარეზებენ.

**საქართველოს ნაკრები**

**ირინე ლეონიძე, ეკატერინე ბალარჯიშვილი, მარეხ მაისურაძე, ნინო ელოშვილი, ანა პოლოსიანი, შორენა გამსახურდია, ბელა გოგსაძე, ლია გვიანიძე, ნათია ცინცქილაძე, ნათია გიორგაძე, ქეთევან ქობალია, ელისო სურამანიძე.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# კოსტენიუკი დაწინაურდა




კონიაში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელიც პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ეგიდით მიმდინარეობს. პირველი ოთხი ტურის შედეგები უკვე გაცნობეთ. დღეს მომდევნო ოთხი ტურის შეხვედრათა ანგარიშებს გაუწყებთ:

V ტური: ნეზიჰ მენზი (თურქეთი)-მონიკა სოჩკო (პოლონეთი) 0:1, ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი)-ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) 0,5:0,5, ტატიანა კოსინცევა (რუსეთი)-ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 1:0, პია კრამლინგი (შვედეთი)-ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) 1:0, მარია კლინოვა (ისრაელი)-ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) 0,5:0,5, ბეთულ ილდიზი (თურქეთი)-კუბრა ოზთურქი (თურქეთი) 1:0. VI ტური: სოჩკო-ოზთურქი 1:0, ჯავახიშვილი-ილდიზი 1:0, ჩმილიტე-კლინოვა 0,5:0,5, კოსტენიუკი-კრამლინგი 1:0, ჟუკოვა-ტ. კოსინცევა 0:1, მენზი-ნ. კოსინცევა 0:1, VII ტური: ნ. კოსინცევა-სოჩკო 1:0, ტ. კოსინცევა-მენზი 1:0 კრამლინგი-ჟუკოვა 0:1, კლინოვა-კოსტენიუკი 0:1, ილდიზი-ჩმილიტე 0,5:0,5, ოზთურქი-ჯავახიშვილი 1:0. VIII ტური: სოჩკო-ჯავახიშვილი 1:0, ჩმილიტე-ოზთურქი 1:0, კოსტენიუკი-ილდიზი 1:0, ჟუკოვა-კლინოვა 1:0, მენზი-კრამლინგი 0:1, ნ. კოსინცევა-ტ. კოსინცევა 0,5:0,5

8 ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონი კოსტენიუკი — 7, ტ. კოსინცევა — 6,5, ჩმილიტე, სოჩკო — 6-6, ნ. კოსინცევა, კრამლინგი — 4,5-4,5 ჟუკოვა, ჯავახიშვილი — 3,5-3,5, კლინოვა — 2,5, ილდიზი, ოზთურქი — 2-2, მენზი — 0 ქულა.

**ვაჟა დანელია**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტის ქრონიკები

## ლელოს დაუსწრებელი ოლიმპიური აკადემია



## ქართული სპორტის მატიანე

# ფეხბურთი

ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და პოპულარული თამაშია.

თანამედროვე ფეხბურთის სამშობლოდ ინგლისს მიიჩნევენ, სადაც 1863 წელს შეიქმნა ფეხბურთის პირველი ასოციაცია და იმავე წელს შეიმუშავეს თამაშის პირველი წესები. ინგლისში შეიქმნა პირველი საფეხბურთო კლუბიც — „შეფილდ იუნაიტედი".

1878 წელს საფეხბურთო მინდორზე პირველად გამოჩნდა მსაჯი. პირველი ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი 1900 წლის პარიზის II თამაშებზე გაიმართა (ჩატარდა მხოლოდ ორი მატჩი), თუმცა ისევე, როგორც მომდევნო თამაშებზე სენტ-ლუისში, მას მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლის სტატუსი მიენიჭა. ამიტომ ოფიციალურ ოლიმპიურ სახეობად 1908 წლიდან ითვლება და მას შემდეგ 1932 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის გარდა, ყველა თამაშების პროგრამაში იყო შეტანილი. 1996 წლიდან ოლიმპიურ თამაშებში ქალებიც მონაწილეობენ.

მსოფლიოს ჩემპიონატები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და 1930 წლიდან იმართება. 1991 წლიდან კი მსოფლიოს ჩემპიონატები ქალთა გუნდებისთვისაც ტარდება. 1960 წლიდან კაცებისთვის, 1984 წლიდან კი ქალებისთვის ათვლა დაიწყო ევროპის ჩემპიონატმა.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა) შეიქმნა 1904 წლის 21 მაისს პარიზში, აერთიანებს 205 ქვეყნის ფედერაციას და 6 კონფედერაციას.

ფეხბურთის ასოციაციების ევროპის კავშირი (უეფა) 1954 წლის 15 ივნისს დაფუძნდა შვეიცარიის ქალაქ ბაზელში და მისი წევრი 52 ქვეყანაა.

გარდა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებისა, წლების განმავლობაში ძალზე პოპულარულია ტურნირები იყო: უეფას ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი, თასების მფლობელთა თასი, ლიბერტადორესის თასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

საქართველოში ფეხბურთი, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ინგლისელებმა შემოიტანეს. ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში ჩამომდგარი ბრიტანული გემების მეზღვაურები ერთმანეთში ხშირად თამაშობდნენ „ფუტბოლს". ზღვისპირეთიდან ფეხბურთი სწრაფად გავრცელდა მთელ საქართველოში. 1906 წელს კი თბილისში ჩამოყალიბდა „ბურთის ფეხით მოთამაშეთა" პირველი გუნდი. 1924 წლისთვის საქართველოში უკვე 120 გუნდი იყო. 1925 წელს გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი 6 გუნდის მონაწილეობით. 1936 წლიდან კი ქართული გუნდები სისტემატურად მონაწილეობდნენ საკავშირო ჩემპიონატებში. პირველი დიდი წარმატება საკავშირო სარბიელზე 1964 წელს იყო, როცა თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. მაგრამ ყველაზე წარმატებული მაინც 1981 წელი აღმოჩნდა, როცა თბილისის „დინამომ" 13 მაისს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში თასების მფლობელთა თასის ფინალში დაამარცხა „კარლ ცაისი" და მოიპოვა საპატიო ევროპული ჯილდო.

ქართველი სპორტსმენები სისტემატურად შედიოდნენ სსრკ ნაკრების შემადგენლობაში და არაერთხელ მიუღწევიათ წარმატებისთვის.

ევროპის I ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვეს **მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა** და **გივი ჩოხელმა.** 1988 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა **გელა კეტაშვილი.**

დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1990 წლის 15 თებერვალს. 1992 წლის 25 თებერვლიდან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დროებითი წევრი გახდა; იმავე წლის ივლისიდან კი მუდმივი წევრია, 1993 წლის 17 ივნისიდან - ფეხბურთის ასოციაციების ევროპის კავშირის მუდმივი წევრი.

2009 წლიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია **ზვიად სიჭინავა.**

საქართველოს ფეხბურთელებმა მედლები მოიპოვეს:

**ოლიმპიადაზე**

გელა კეტაშვილმა- 1988 წელს სეულში — ოქრო

თენგიზ სულაქველიძემ — 1980 წელს მოსკოვში — ბრინჯაო

რევაზ ჩელებაძემ — 1980 წელს მოსკოვში — ბრინჯაო

ალექსანდრე ჩივაძემ — 1980 წელს მოსკოვში — ბრინჯაო

რევაზ ძოძუაშვილმა — 1972 წელს მიუნხენში — ბრინჯაო

მურთაზ ხურცილავამ — 1972 წელს მიუნხენში — ბრინჯაო

**სულ 1 ოქრო, 5 ბრინჯაო - 6**

**ევროპის ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

სლავა მეტრეველმა 1960

მიხეილ მესხმა 1960

გივი ჩოხელმა 1960

**ვერცხლის მედალი**

თენგიზ სულაქველიძემ - 1988

რევაზ ძოძუაშვილმა - 1972

მურთაზ ხურცილავამ - 1972

სულ — 6 მედალი ( 3 ოქრო, 3 ვერცხლი)

*დასაწყისი: ლელო №52 (12731).*

*გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია, პროფესორი**

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** საქალაქო შეჯიბრება ფეხბურთში ქუთაისში ჩატარდა 1924 წელს. მონაწილეობდა სამი გუნდი: „ტრიუმფი", „პროფბიურო", „კიმი" (ქართული რეგიონის გუნდი). პირველობა წილად ხვდა „ტრიუმფს". მომდევნო, 1925 წელს ქალაქის პირველობაში უკვე 20-ზე მეტი გუნდი მონაწილეობდა.

**პირველმა** ჭადრაკში მოსწავლე გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონობა ქუთაისიდან მოიპოვა **ლილი ძოძუაშვილმა** 1939 წლის ივნისში.

**პირველად** ქუთაისისველოსიპედისტებმა საქალაქო პირველობაში საგზატკეცილო რბოლაში იასპარეზეს 1932 წლის 27 ივლისს რაჭა-ლეჩხუმის გზაზე. მონაწილეობდა 30-ზე მეტი სპორტსმენი. ვაჟებმა 20 კმ-ზე, ხოლო ქალებმა 10 კმ-ზე იასპარეზეს.

## თქვენთვის, ერუდიტებო

### ვიქტორინა

**1. რომელ წელს გამოვიდა თბილისში სპორტული ჟურნალი „შევარდენი"?**

ა – 1908 წელს

ბ – 1911 წელს

გ – 1922 წელს

**2. რომელი წლიდან ტარდებოდა ოფიციალურად საქართველოს პირველობა ფეხბურთში?**

ა – 1928 წლიდან

ბ – 1939 წლიდან

გ – 1938 წლიდან

**3. საბჭოთა ალპინიზმს საფუძველი ჩაეყარა საქართველოში. რომელ წელს?**

ა – 1923 წელს

ბ – 1925 წელს

გ – 1931 წელს

**4. მეორე მსოფლიო ომის წლებში, კერძოდ, 1943 წელს თბილისს ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად სტუმრობდა ვაჟ კალათბურთელთა გუნდი. საიდან იყვნენ ეს კალათბურთელები?**

ა – უკრაინიდან

ბ – თურქეთიდნ

გ – ესტონეთიდან

**5. თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ყოფილი დეკანი გივი მიზანდარი ახალგაზრდობაში წარმატებით გამოდიოდა სპორტულ სარბიელზე. რომელ სახეობაში?**

ა – ფეხბურთში

ბ – კრივში

გ – კალათბურთში

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

## ვინ რა თქვა...

„შკოლამ ყოველმხრივი განვითარება უნდა მისცეს მოზარდს. შეუძლია გაუმაგროს, გაულონიეროს და გაუხსნას სულიერი და ხორციელი ძალანი... შკოლა მართალია ბევრ ცოდნას აძლევს მოსწავლეს, მაგრამ ცალმხრივად მოქმედებს. ხასიათს ნვრთნის და ტან-აგებულებას ადამიანისას არამცთუ შველის, არამედ ჰდაღავს".

*ილია ჭავჭავაძე*

## ფოტომატიანე

ფოტოსურათს , რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, თავის წიგნში "საჭიდაო ხალიჩის რაინდები" (გამოიცა 2005 წელს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) გამოჩენილმა კალმოსანმა, უკრაინელმა **იან დიმოვმა** ასეთი წარწერა დაურთო:

„აი, ისინი — საქართველოს დიდი საჭიდაო ხალიჩის რაინდები"!

გონიერ ელექტრონულ მანქანასაც კი გაუჭირდება დათვლა, რამდენი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი აქვთ მოგებული ამ ფალავნებს ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში, ჰელსინკი-52 ოლიმპიური თამაშებიდან დაწყებული. მათ შემდგომ თაობებს გამარჯვებათა ფართო გზა გაუკვალეს. ამ ხუთი ათწლეულის განმავლობაში წიგნის ავტორს საჭიდაო ხალიჩაზე ძალზე ბევრი რამ და ბევრი ვინმე უნახავს და შემიძლია კიდევ ერთხელ გავიმეორო ის, რაც არაერთხელ მითქვამს: არსებობს აშკარა და ხილული, ფარული და უხილავი, მაგრამ ასეთივე ძლიერი და უწყვეტი კავშირები სხვადასხვა წლის, სხვადასხვა ეპოქის ჩემპიონებს შორის. ალბათ ამ კავშირებს ღმერთი მართავს.

დიდ მოჭიდავეთა თაობები თავის არანაკლებ დიდ წინამორბედთა მხრებზე დგანან. და რაც უფრო განიერი და ძლიერია ეს მხრები, მით უფრო სწრაფად და მაღლა სწევენ ისინი შთამომავლებს.

და კარგი იქნება, თუ არავინ და არასდროს დაივიწყებს ამას. „ნეტავ, ვის რაში აინტერესებს ის, რაც ორმოცდაათი და თუნდაც ათი წლის წინათ იყო!" — მსგავს სენტენციებს რომ ისმენ, ყურებში თითის დაცობა გინდება კაცს. ჩვენი დიდი მოხუცები რომ არ ყოფილიყვნენ, არც ამჟამინდელი დიდი ჩემპიონები იქნებოდნენ. ეს აქსიომაა, რომელიც რევიზიას არ საჭიროებს. ეს ცხოვრება ასეა მოწყობილი."



## თარიღი

### 3-9 დეკემბერი

**3 XII. 1930 წ.** დაიბადა **ალექსანდრე კოტრიკაძე.** ფეხბურთი. გარდაიცვალა 1999 წელს.

**5 XII. 1953 წ.** დაიბადა **მიხეილ სალაძე.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**6 XII. 1918 წ.** დაიბადა **აკოფ კერსელიანი.** მძლეოსნობა. გარდაიცვალა 2004 წ.

**7 XII. 1961 წ.** დაიბადა **ნინო გურიელი.** ჭადრაკი.

**7 XII. 1959 წ.** დაიბადა **თემურ ყაზარაშვილი.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**9 XII. 1909 წ.** დაიბადა **გიორგი სიხარულიძე.** ქართული სპორტის ცნობილი მოღვაწე. გარდაიცვალა 1975 წელს.

## თვის მონაგარი




**4. ფეხბურთი.** ექტორ **კუპერმა** ორმხრივი შეთანხმებით განყვიტა კონტრაქტი საქართველოს ნაკრებთან და ბერძნული „არისის" მწვრთნელი გახდა.

**6. ფეხბურთი.** ორი წლით საქართველოს ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** გახდა.

**14. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სტუმრად 1:1 ითამაშა ირლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

**14. რაგბი.** ქართული რაგბის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩში საქართველოს არგენტინის A ნაკრები დაამარცხა - 24:22.

**18. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შვეიცარიაში 0:1 წააგო.

**18. ფეხბურთი.** პირველად ითამაშა „ბარსელონას" პირველ გუნდში 16 წლის **გიორგი ჭანტურიამ,** „ბოლივართან" ამხანაგურ მატჩში მან გოლი გაიტანა.

**20. რაგბი.** საქართველოს ნაკრებმა სტუმრად იტალიის A ნაკრებთან 7:8 წააგო.

**20. ძიუდო.** ანტალიაში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში **პაატა მერებაშვილი** ჩემპიონი გახდა.

**21. ფეხბურთი.** გაიმართა სფფ-ის აღმასკომის არჩევნები.

**23. კალათბურთი. ნიკოლოზ ცქიტიშვილმა** დატოვა ბერძნული „პანიონიოსი" და ესპანეთში დაბრუნდა.

**28. რაგბი.** საქართველოს თასის ფინალში „ლელომ" 23:22 მოუგო „ლოკომოტივს" და სეზონი ოქროს დუბლით დაასრულა.

**28. ძალოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატზე, კორეის ქალაქ გოიანგში **ალბერტ კუზილოვმა** (105 კგ.) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**29. სუმო.** წლის ბოლო ბაშო **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი) 12-3 ბალანსით მეორე ადგილზე დაასრულა და „მებრძოლი სულის" პრიზი მიიღო.

**29. ფეხბურთი.** 15-წლიანი პაუზის შემდეგ ქართველმა ფეხბურთელმა საფრანგეთის ჩემპიონატში ითამაშა, „ლე მანის" შემადგენლობაში გიორგი მაკარიძის დებიუტი შედგა.

მოამზადა

ნიკოლოზ ნეფარიძემ

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



# ფინიქსი ნიუ იორკში შერცხვა

"შარლოტ ბობკეტსის" ოთხმატჩიანი მოგებათა სერია დასრულდა. **ლარი ბრაუნის** გუნდმა ყველა კომპონენტში დათმო შინ შეხვედრა "ბოსტონთან". თამაშის ბედი პირველ მეოთხედში გადაწყდა. ამას ხელი შეუწყო "ბობკეტსის" ლიდერის **ჯერალდ უოლასის** ორმა ნაადრევმა პერსონალურმა და აგრეთვე "კელტების" ზეშედეგიანმა გაქცევამ. მატჩის საუკეთესო მოთამაშეები გახდნენ **კენდრიკ პერკინსი** და **რეი ალენი**. პირველმა თამაშიდან ათჯერ ისროლა და ცხრაჯერ ზუსტად, რეიმ კი თავისი საფირმო სნაიპერული თვისებები გამოავლინა - ხუთი ზუსტი სამქულიანი.

დაძაბული შეხვედრა გაიმართა ტორონტოში, სადაც ადგილობრივმა "რეპტორზმა" "ვაშინგტონს" უმასპინძლა. მთელი მატჩის განმავლობაში თანაბარი თამაში მიდიოდა. მაქსიმალური სხვაობა ექვს ქულას არ აჭარბებდა. გადამწყვეტი ფაქტორი გახდა ცალკეული შემსრულებლების ინდივიდუალური ოსტატობა. დედაქალაქელთა "დიდი ტრიო" "დინოზავრთა" ლიდერებზე ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა - ამ სამეულმა ჯამში 71 ქულა დააგროვა. მატჩის ბოლოს კანადელებს მაინც ჰქონდათ გადარჩენის შანსი, მაგრამ **ჰედო თურქოგლუმ** საპასუხისმგებლო მომენტში შეცდომა დაუშვა...

"ნიუ იორკმა" საკუთარ კედლებში გაანადგურა დასავლეთი კონფერენციის ლიდერი "ფინიქსი". "ნიქსის" დამრიგებელმა **მაიკ დ'ანტონიმ** თავის ყოფილ გუნდს მინიმალური შანსი არ დაუტოვა, თუმცა ეს არ არის გასაკვირი, რადგან ამ სპეციალისტმა ყველაზე კარგად იცის არიზონელთა სუსტი მხარეები. მასპინძლებმა თავიდანვე მიხედეს საქმეს და პირველივე ტაიმში სრული კონტროლი დააწესეს თამაშზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია იტალიელი ფორვარდი **დანილო გალინარი**, რომელმაც ეს შეხვედრა ორმაგი დუბლითა და ექვსი ზუსტი სამქულიანით დაასრულა. ასევე უნდა გამოვყოთ **დევიდ ლი**, რომელიც მარტო გაუსწორდა სტუმართა ცენტრებს - **ჩენინგ ფრაისა** და **ამარე სტაუდმაიერს**.

საინტერესოა, რომ "ფინიქსი" მე-18 მატჩს ატარებდა მიმდინარე რეგულარულში და პირველად ვერ გადალახა 100-ქულიანი ზღვარი.

ზედიზედ მესამე მატჩი წააგო "პორტლენდმა". "მემფისთან" და "იუტასთან" დიდი ანგარიშით დამარცხებების შემდეგ, ორეგონელებმა შინ ბოლომდე იბრძოლეს "მაიამის" წინააღმდეგ, მაგრამ მაინც დანებებამ მოუწიათ. "თრეილ ბლეიზერს" არ ამართლებს **ლამარკუს ოლდრიჯის** არყოფნა. პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში **ნეიტ მაკმილანის** შეგირდები საშინლად გამოიყურებოდნენ. ნაჩქარევი სროლები, ცუდი დაცვა და დარღვეული ბალანსი გახდა ამ მატჩში "პორტლენდის" წარუმატებლობის მიზეზი. როგორც ჩანს, ამ გუნდს სტაბილურობამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

"ლეიკერსმა" მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად ჩემპიონმა "ნიუ ორლეანს" გადაუარა. პირველ მეოთხედში ღირსეული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, "ჰორნეტსმა" მეორე 12-წუთეულში დაყარა ფარხმალი, როცა კალიფორნიელებმა 21:6 გაქცევა მოაწყვეს. ამის გამო მატჩის მეორე ნახევარი მოსაწყენ სანახაობად გადაიქცა.

**შარლოტი-ბოსტონი 90:108**

18:29, 21:33, 27:26, 24:20

შ: მოჰამედი 16, ფელტონი 14+5 პასი, დიაო 13, გრემი 12, ჯექსონი 11.

ბ: ალენი 27+5 პასი, პერკინსი 21+12 მოხსნა+3 დაფარება, გარნეტი 16+7 მოხსნა+5 პასი, პაუსი 12.

**ტორონტო-ვაშინგტონი 102:106**

24:25, 30:30, 23:17, 25:34

ტ: ბოში 22+14 მოხსნა, ბარნიანი 20+11 მოხსნა, კალდერონი 20+5 პასი, ჯეკი 18, თურქოგლუ 13+9 მოხსნა+6 პასი.

ვ: ჯეიმისონი 30+12 მოხსნა, არენასი 22+9 პასი, ბატლერი 19+7 მოხსნა+3 ჩაჭრა, ჰეივუდი 15+9 მოხსნა+3 დაფარება.

**ნიუ-იორკი-ფინიქსი 126:99**

39:28, 32:30, 29:18, 26:23

ნ-ი: გალინარი 27+10 მოხსნა, ლი 24+8 მოხსნა+4 ჩაჭრა, ჰარინგტონი 22+8 მოხსნა, ჩენდლერი 14+6 მოხსნა, ჰიუზი 11+12 პასი+4 ჩაჭრა, ჯეფრიზი 10.

ფ: ნეში 20+8 პასი, სტაუდმაიერი 14, რიჩარდსონი 14, ტაკერი 14.

**დენვერი-გ. სტეიტი 135:107**

25:28, 44:27, 38:29, 28:23

დ: ენტონი 25+7 მოხსნა, ბილაპსი 22+8 პასი, ნენე 18+12 მოხსნა, ანდერსენი 14+8 მოხსნა+5 დაფარება, ლოუსონი 13+5 პასი, მარტინი 10+8 მოხსნა.

გ-ს: მოროუ 27, რადმანოვიჩი 17+6 მოხსნა, ელისი 15, მაგეტი 14+7 მოხსნა, უოტსონი 14, კარი 10+6 პასი.

**პორტლენდი-მაიამი 100:107**

28:32, 22:28, 22:28, 28:19

პ: როი 25+5 პასი, მილერი 18+6 პასი, ჰოვარდი 14, ოდენი 13+20 მოხსნა+4 დაფარება, უებსტერი 11.

მ: ბიზლი 27+8 მოხსნა, უეიდი 22+12 პასი, რიჩარდსონი 20+9 მოხსნა, ო'ნილი 14.

**ლეიკერსი-ნიუ ორლეანი 110:99**

31:27, 31:15, 28:27, 20:30

ლ: ბინუმი 21+9 მოხსნა, ბრაიანტი 18, არტესტი 16, გასოლი 14, ფარმარი 10, ოდომი 8+8 მოხსნა+6 პასი.

ნ-ო: კოლისონი 20+5 პასი, ოკაფორი 17+12 მოხსნა, სონგაილა 12, ბრაუნი 10.

# აივერსონს ერთწლიანი შესთავაზეს

გრძელდება საპნის ოპერა სახელწოდებით - "აივერსონის ფილადელფიაში დაბრუნება" და მისი ფინალი კვლავაც გაურკვეველი რჩება.

ბოლო ინფორმაციით, რომელსაც ESPN ავრცელებს, "სიქსერზმა" ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა ალენ აივერსონს. კალათბურთელი ჯერჯერობით ფიქრობს, რადგან ხელშეკრულება გარანტიით არ არის გამყარებული და შეიძლება ნებისმიერ მომენტში შეწყდეს.

ამ მომენტისთვის ალენის "ფილადელფიაში" გადასვლა სავსებით რეალური ჩანს. პრობლემური შეიძლება გახდეს ვარსკვლავის ხელფასი. კერძოდ ყველას აინტერესებს, შეძლებს თუ არა კალათბურთელი ვეტერანის მინიმუმზე (1.3 მილიონი) მეტის მიღებას.

■ ■ ■

კვლავაც გაურკვეველი რჩება "ჰიუსტონ როკეტსის" ლიდერის **ტრეისი მაკგრეიდის** მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარიღი. NBA-ის ვარსკვლავი უკვე კვირაზე მეტია ვარჯიშობს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა არ ჩქარობს მის მოედანზე გაშვებას.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას მაკგრეიდიმ გამოაცხადა, რომ ბოლომდე მოირჩინა მუხლის ტრავმა და მზად არის



მოედანზე დასაბრუნებლად, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობს "ჰიუსტონის" დამრიგებელი **რიკ ადელმანი**.

*"ის სპორტული ფორმის აღდგენის პროცესშია. ვერ გეტყვით, როდის დაუბრუნდება მოედანს. მთავარია, რომ ტრეისი ვარჯიშობს, უბრალოდ არ უნდა დავაჩქაროთ პროცესი, რადგან ჩვენ ის ჯანმრთელი გვჭირდება"*, - ამბობს "რაკეტების" დამრიგებელი.

**P. S.** გუშინ გვიან გახდა ცნობილი, რომ აივერსონი დათანხმდა „ფილადელფიას" შეთავაზებულ პირობებს და კონტრაქტს მოაწერა ხელი. სავარაუდოდ, ალენი ორშაბათს „დენვერის" წინააღმდეგ გავა მოედანზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ევროპული კალათბურთი

# ევროპაში რა ხდება?

გასულ უქმეებზე ევროპაში გამორჩეული იყო ორი ბერძნული გრანდის - "ოლიმპიაკოსისა" და "პანათინაიკოსის" დაპირისპირება, თუმცა "ძველი" კონტინენტის წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა.

## საბერძნეთი

ტურისა და მთლიანად პირველი წრის ცენტრალურ მატჩში "ოლიმპიაკოსმა" მოულოდნელად იოლად დაამარცხა "პანათინაიკოსი". "წითლებმა" მატჩი მინი-გაქცევით დაიწყეს - 6:0. საინტერესოა, რომ ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი პირველი ოთხი წუთი ქულას ვერ აგროვებდა, მანამ, სანამ **დრიუ ნიკოლასმა** სამქულიანი არ ჩააგდო. **ჟელკო ობრადოვიჩის** შეგირდები თავიდანვე მდევრის როლში აღმოჩდნენ, ხოლო "ოლიმპიაკოსი" აღმაფრენით თამაშობდა და თანდათან ზრდიდა უპირატესობას. პირველი მეოთხედის ბოლოს მოედანზე გავიდა **ტეო პაპალუკასი**, რომელმაც ახლახან მოირჩინა "ღორის გრიპი". მან სირენასთან ერთად ჩააგდო სამქულიანი და სათავე დაუდო თავის ბრწყინვალე თამაშს, რომელიც თამაშიდან ცხრიდან შვიდი ზუსტი სროლით დაასრულა.

მაგრამ "ოლიმპიაკოსისთვის" არც ისე მარტივად იყო ყველაფერი. მეორე მეოთხედის დებიუტში მასპინძლებს მეტოქის 8:0 გაქცევა გამოეპარათ. მე-15 წუთზე **დიამანტიდისმა** ანგარიში გაათანაბრა - 26:26, პაპალუკასი კი ორი პერსონალურით სათადარიგოთა სკამზე დაბრუნდა. **პანაიოტის იანაკისს** ტაიმ-აუტის აღებამ მოუწია, რადგან 5 წუთის განმავლობაში მისმა შეგირდებმა თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდეს.

დიდი შესვენების შემდეგ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. **ჩილდრესისა** და პაპალუკასის ძალისხმევით "ოლის" უპირატესობამ 10 ქულას გადააჭარბა - 52:40. თუმცა "პაომ" მოახერხა ღირსეული პასუხის გაცემა და მალე მეტოქეს ხუთი ქულით მიუახლოვდა. სტუმრებისთვის საუბედუროდ, სწორედ იმ მომენტში მეოთხე პერსონალური მიიღო ცენტრმა **პეკოვიჩმა** და ჩამორჩენის კიდევ უფრო შემცირება "პანათინაიკოსმა" ვერ შეძლო. ხოლო 4 წუთით ადრე **კლეიზას** სამქულიანმა საბოლოოდ გაარკვია ამ მატჩში გამარჯვებულის ვინაობა. "პაომ" წააგო და ობრადოვიჩის შეგირდებმა ტრიბუნებიდან ნასროლი უცხო საგნების სეტყვაში დატოვეს მოედანი.

**V ტური**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 87:76 |

ო: პაპალუკასი (20), ჩილდრესი (19+10 მოხსნა), კლეიზა (13), ბურუსისი (10), ტეოდოშიჩი (9+6 პასი), ჰალპერინი (7), შორცანიტისი (5).

პ: ნიკოლასი (18), სპანულისი (17), დიამანტიდისი (14+5 პასი), ბატისტი (10+7 მოხსნა), ფოცისი (8), პეკოვიჩი (6).

| | |
|---|---|
| არისი-ტრიკალა | 81:66 |
| კავალა-პაოკ | 75:70 |
| პანელინიოსი-პანიონიოსი | 77:63 |
| ოლიმპია-პერისტერი | 73:67 |
| კოლოსოსი-აეკ | 77:61 |
| მარუსი-ილისიაკოსი | 75:65 |

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 5-0 | 441-369 |
| 2. პანათინაიკოსი | 4-1 | 403-333 |
| 3. პანელინიოსი | 4-1 | 406-356 |
| 4. პერისტერი | 3-2 | 385-383 |
| 5. მარუსი | 3-2 | 384-376 |
| 6. კოლოსოსი | 3-2 | 371-355 |
| 7. ოლიმპია | 2-3 | 305-388 |
| 8. ტრიკალა | 2-3 | 406-405 |
| 9. კავალა | 2-3 | 364-403 |
| 10. არისი | 2-3 | 334-361 |
| 11. პანიონიოსი | 2-3 | 354-335 |
| 12. აეკ | 1-4 | 350-423 |
| 13. ილისიაკოსი | 1-4 | 356-366 |
| 14. პაოკ | 1-4 | 365-371 |

## ესპანეთი

"ბარსელონა" აგრძელებს ჯერჯერობით დაუმარცხებელი "რეალის" დევნას - კატალონიელებმა სტუმრად მალაგაში აუტსაიდერი "უნიკახა" დაამარცხეს. ამ გუნდის ბოლოდან მესამე ადგილზე ყოფნა უკვე აღარავის უკვირს, მიუხედავად ამისა, მალაგელებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს გრანდს.

მატჩი არც ისე მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. მეტოქეები ცდილობდნენ მაქსიმალური ყურადღება დაცვაში თამაშზე გადაეტანათ. შეხვედრის მაღალი ნერვული დაძაბულობის გამო, მეტოქეები ძალიან ბევრ ტექნიკურ შეცდომას უშვებდნენ. მე-17 წუთისთვის "ბარსა" დამაჯერებლად ლიდერობდა - 30:21, მაგრამ მესამე მეოთხედის დასაწყისისთვის გაანიავა ეს უპირატესობა: 21-ე წუთზე ტაბლოზე ასეთი რიცხვები ეწერა - 30:30. კატალონიელები ვალში არ დარჩნენ და 8:0 გაქცევით უპასუხეს, მაგრამ ამ უპირატესობის შენარჩუნებაც ვერ შეძლეს - 33-ე წუთისთვის **ხიმენესის** სამქულიანის შემდეგ "ბარსელონა" სულ რაღაც ერთი ქულით იყო წინ. მხოლოდ მატჩის ბოლოს უფრო მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისა და სიმშვიდის წყალობით სტუმრებმა, როგორც იქნა გატეხეს "უნიკახას" წინააღმდეგობა.

**X ტური**

| | |
|---|---|
| უნიკახა-ბარსელონა | 57:63 |

უ: კუკი (4), დინი (7), ველში (12), გ. რუბიო (0), არჩიბალდი (2) - უილიამსი (7), ბ. როდრიგესი, ხიმენესი (8), ბლანკო (5), ლიმა (2), ფრილენდი (10).

ბ: რ. რუბიო (2), ნავარო (18), მიკელი (4), მორისი (5), ნდონგი (7) - ლაკოვიჩი (3), ფ. ვასკესი, სადა (5), ე. ლორბეკი (13), გრიმაუ (6).

| | |
|---|---|
| ფუენლაბრადა-კახასოლი | 70:82 |
| რეალი-გრანადა | 86:69 |
| მურსია-ესტუდიანტესი | 83:89 |
| ბილბაო-ხუვენტუდი | 82:66 |
| ალიკანტე-გრან კანარია | 74:50 |
| ხაკობეო-ვალენსია | 73:79 |
| მანრესა-კახა ლაბორალი | 73:70 |
| ლაგუნ არო-ვალიადოლიდი | 71:74 |

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 10-0 | 805-681 |
| 2. ბარსელონა | 9-1 | 792-638 |
| 3. ვალენსია | 8-2 | 780-724 |
| 4. კახა ლაბორალი | 7-3 | 798-746 |
| 5. კახასოლი | 6-4 | 719-697 |
| 6. ხუვენტუდი | 6-4 | 719-747 |
| 7. მანრესა | 5-5 | 689-729 |
| 8. ლაგუნ არო | 4-5 | 664-679 |
| 9. გრან კანარია | 4-6 | 736-725 |
| 10. ალიკანტე | 4-6 | 743-762 |
| 11. ესტუდიანტესი | 4-6 | 757-777 |
| 12. გრანადა | 4-6 | 762-793 |
| 13. ფუენლაბრადა | 4-6 | 732-776 |
| 14. ბილბაო | 3-6 | 653-679 |
| 15. უნიკახა | 3-7 | 726-724 |
| 16. ხაკობეო | 3-7 | 752-790 |
| 17. ვალიადოლიდი | 3-7 | 703-750 |
| 18. მურსია | 2-8 | 720-833 |

## იტალია

შესაძლებელია თუ არა მატჩის წაგება იმ დროს, როცა გუნდი თამაშიდან ტყორცნების 44 და სამქულიანების 64 პროცენტს იყენებს? როგორც "სკავოლინიმ" გვიჩვენა, თურმე შესაძლებელი ყოფილა. ქალაქ პეზაროს გუნდმა პირად შეხვედრებში 101-ედ წააგო "მილანთან". მეორე მეოთხედის დასაწყისში სტუმრები 8 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ მალე გაანიავეს ეს უპირატესობა და დიდი შესვენებისთვის ანგარიში საყაიმო გახდა. იგივე მოხდა ძირითადი დროის დასრულებისას, არადა, 28-ე წუთისთვის "სკავოლინი" 15 ქულას იგებდა და მხოლოდ **ჰოლისა** და **ფინლის** გმირობის ფასად მოახერხეს მასპინძლებმა შეხვედრის გადარჩენა.

ოვერტაიმში "სკავოლინი" ისევ გავიდა წინ, მაგრამ ბოლო ორი წუთი ქულა ვერ დააგროვა და მეორედ გაანიავა კომფორტული უპირატესობა. სტუმრებს ვერ უშველეს **საკოტამ** და **ვან როსიმ**, რომლებმაც ბოლო წამებზე სამქულიანები ააცილეს.

**VIII ტური**

| | |
|---|---|
| მილანი-სკავოლინი | 89:86 (ო) |

მ: ფინლი (21), ჰოლი (14), მაჩიულისი (14), მორდენტე (13), როკა (11+10 მოხსნა).

ს: საკოტა (16), ვან როსომი (15), უილიამსი (14), ჰიქსი (14), გრინი (14).

| | |
|---|---|
| კრემონა-მონტეგრანარო | 90:69 |
| ნაპოლი-ბენეტონი | 64:96 |
| ვირტუსი-კაზერტა | 72:84 |
| ბიელა-ტერამო | 81:89 |
| ვარეზე-ფერარა | 81:74 |
| აველინო-მონტეპასკი | 57:86 |
| რომა-კანტუ | 70:81 |

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 8-0 | 690-500 |
| 2. კაზერტა | 6-2 | 715-622 |
| 3. აველინო | 6-2 | 621-600 |
| 4. ბიელა | 5-3 | 642-637 |
| 5. ვირტუსი | 5-3 | 603-569 |
| 6. მილანი | 5-3 | 648-637 |
| 7. კანტუ | 5-3 | 620-615 |
| 8. ბენეტონი | 5-3 | 680-649 |
| 9. ვარეზე | 4-4 | 611-639 |
| 10. ნაპოლი | 4-4 | 695-674 |
| 11. ტერამო | 3-5 | 634-634 |
| 12. მონტეგრანარო | 3-5 | 599-617 |
| 13. რომა | 3-5 | 622-630 |
| 14. ფერარა | 2-6 | 576-650 |
| 15. ნაპოლი | 0-8 | 457-655 |
| 16. სკავოლინი | 0-8 | 585-670 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

| მონრეალი-ტორონტო | 0:3 |
|---|---|

0:2, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ორი-1 (ტ. კაბერლე-24), 0:2 ფინგერი-2 (კესელი-4, ბოშემენი-8), 0:3 სტაიანი-8 (კესელი-5).

| ჩიკაგო-კოლამბუსი | 4:3 (ბ) |
|---|---|

1:0, 1:2, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ვერსტეეგი-8 (მადენი-5), 1:1 ვერმეტი-8 (უმბერგერი-11, რასელი-6), 1:2 პალსონი-1 (ჰუსელიუსი-11), 2:2 შარპი-8 (მარიან ჰოსა-1, კეინი-17), 2:3 რასელი-2 (უმბერგერი-12, ვერმეტი-15), 3:3 ტეუვზი-6 (კეიტი-18, მარიან ჰოსა-2).

ბულიტები გაიტანეს: მარიან ჰოსა (ჩიკაგო), ვორაჩეკი (კოლამბუსი), სიბრუკი (ჩიკაგო).

| ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 3:4 |
|---|---|

1:2, 1:1, 1:1

გოლები: 0:1 პერსი-2 (სიმონდსი-8, ო'დონელი-5), 0:2 ჯასტინ უილიამსი-6 (სტოლი-12, დ. ბრაუნი-14), 1:2 პერი-14 (ვიშნიევსკი-13, გეტცლაფი-24), 1:3 რ. ჯონსი-3 (რიჩარდსონი-1, ჯ. ჯონსონი-5) 2:3 რაიან უიტნი-3 (გეტცლაფი-25, პერი-19), 3:3 მარჩანტი-4 (ბელესკი-1, ემინგერი-2), 3:4 ჯ. ჯონსონი-3 (რ. ჯონსი-5, სტოლი-13).

| სან ხოსე-ოტავა | 5:2 |
|---|---|

2:1, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 მარლო-18 (ჯ. ტორნტონი-31, ჰიტლი-13), 2:0 მაკგინი-5 (ნიკოლი-3), 2:1 მ. მიხალეკი-14 (კ. ფილიპსი-5), 3:1 მარლო-19 (ჰიტლი-14, ჯ. ტორნტონი-32), 4:1 ქლოუ-6 (მალორტა-5), 4:2 მ. მიხალეკი-15 (ალფრედსონი-17, ე. კარლსონი-4), 5:2 მალორტა-6.

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვაშინგტონი* | 27 | 16 | 5 | 6 | 38 |
| 2. პიტსბურგი* | 28 | 19 | 9 | 0 | 38 |
| 3. ბაფალო* | 24 | 15 | 7 | 2 | 32 |
| 4. ნიუ ჯერსი | 24 | 17 | 6 | 1 | 35 |
| 5. ატლანტა | 24 | 14 | 7 | 3 | 31 |
| 6. ბოსტონი | 26 | 13 | 8 | 5 | 31 |
| 7. ოტავა | 25 | 13 | 8 | 4 | 30 |
| 8. ტამპა ბეი | 25 | 10 | 7 | 8 | 28 |
| 9. ფილადელფია | 24 | 13 | 10 | 1 | 27 |
| 10. რეინჯერსი | 27 | 13 | 13 | 1 | 27 |
| 11. აილენდერსი | 27 | 10 | 10 | 7 | 27 |
| 12. მონრეალი | 27 | 12 | 13 | 2 | 26 |
| 13. ფლორიდა | 26 | 10 | 12 | 4 | 24 |
| 14. ტორონტო | 26 | 7 | 12 | 7 | 21 |
| 15. კაროლინა | 27 | 5 | 17 | 5 | 15 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე* | 29 | 19 | 6 | 4 | 42 |
| 2. ჩიკაგო* | 26 | 17 | 6 | 3 | 37 |
| 3. კალგარი* | 26 | 17 | 6 | 3 | 37 |
| 4. კოლორადო | 28 | 15 | 8 | 5 | 35 |
| 5. ლოს ანჯელესი | 28 | 16 | 10 | 2 | 34 |
| 6. ნეშვილი | 26 | 15 | 10 | 1 | 31 |
| 7. ფინიქსი | 27 | 15 | 11 | 1 | 31 |
| 8. კოლამბუსი | 27 | 13 | 9 | 5 | 31 |
| 9. დალასი | 27 | 12 | 8 | 7 | 31 |
| 10. დეტროიტი | 26 | 13 | 9 | 4 | 30 |
| 11. ვანკუვერი | 26 | 14 | 12 | 0 | 28 |
| 12. სტ. ლუისი | 25 | 10 | 10 | 5 | 25 |
| 13. ანაჰაიმი | 26 | 10 | 12 | 4 | 24 |
| 14. ედმონტონი | 27 | 10 | 13 | 4 | 24 |
| 15. მინესოტა | 25 | 10 | 12 | 3 | 23 |

* - დივიზიონის ლიდერი

### ბომბარდირები

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 39 (7+32) |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 37 (21+16) |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 33 (19+14) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 33 (17+16) |
| კორი პერი (ანა) | 33 (14+19) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 33 (14+19) |
| დენი ჰიტლი (ს-ხოს) | 32 (18+14) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 32 (7+25) |

| გოლები | |
|---|---|
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 21 |
| დენი ჰიტლი (ს-ხოს) | 18 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 18 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 14 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 17 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 17 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 17 |

| პასები | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 32 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 25 |
| ბრედ რიჩარ დსი (დალ) | 25 |
| ტომაშ კაბერლე (ტორ) | 24 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 23 |
| მაიკ გრინი (ვაშ) | 22 |
| ნიკ ანტროპოვი (ატლ) | 21 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 21 |
| ვრაცლავ პროსპალი (რეინ) | 20 |
| პოლ შტასტნი (კოლორ) | 20 |



# ნოემბერი იგინლასია

■ ■ ■

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ ნოემბრის სამი საუკეთესო ჰოკეისტი გამოავლინა. თვის საუკეთესო მოთამაშის ტიტული "კალგარი ფლეიმზის" კაპიტანმა **ჯერომ იგინლამ** მოიპოვა. მას მხარი დაუმშვენეს "სან ხოსესა" და "რეინჯერსის" ფორვარდებმა - **ჯო ტორნტონმა და მარიან გაბორიკმა.**

იგინლამ გასულ თვეში 20 ქულა (13 გოლი+7 შედეგიანი პასი) დააგროვა. მან ოქტომბერთან შედარებით ორმაგად პროდუქტიულად ითამაშა. მაშინ "კალგარის" ფორვარდის ანგარიშზე მხოლოდ 9 ქულა იყო.

იგინლასგან განსხვავებით, ტორნტონი ნოემბერში უფრო გუნდური მოქმედებით გამოირჩა: ცენტრფორვარდის მიერ მოპოვებული 20 ქულიდან 16 შედეგიან გადაცემებზე მოდის. ამ მომენტში ჯო ლიგის საუკეთესო ბომბარდირი (39 ქულა) და ასისტენტია (32 პასი).

გაბორიკმა ნოემბერში 13 მატჩი ჩაატარა და აქედან 11-ში მინიმუმ ერთ ქულას აგროვებდა. ჯამში მან 19 ქულა (11+8) მიითვალა.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტური გამორჩეული იყო "ანაჰაიმის" ფორვარდ **რაიან გეტცლაფისთვის.** "ლოს ანჯელესთან" მატჩში მან კარიერაში მესამასე ქულა მოიხვეჭა. ამ შედეგის მისაღწევად "იხვების" ერთ-ერთ ლიდერს 323 მატჩის ჩატარება დასჭირდა.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გატარებული ხუთი სეზონის განმავლობაში გეტცლაფმა 93 შაიბა და 203 შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში.

■ ■ ■

"ვაშინგტონ კეპიტალზის" ლიდერი **ალექსანდრ ოვეჩკინი** "კაროლინას" მცველ **ტიმ გლისონის** წინააღმდეგ გამოჩენილი უხეშობისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. სამშაბათს რუსმა ფორვარდმა მუხლში ფეხი ჩაარტყა "ბლუ ჯეკეტსის" მცველს, რის გამოც მატჩის ბოლომდე გააძევეს მოედნიდან, გლისონმა კი მხოლოდ შეხვედრის ბოლოს შეძლო ყინულზე დაბრუნება.

*"ვწუხვარ, ასე რომ მოხდა,* - წერია ოვეჩკინის განცხადებაში. - *მოხარული ვარ, რომ ტიმი სერიოზულად არ დაშავებულა, რადგან არავის მწყობრიდან გამოყვანა არ მსურს".*

ორი მატჩის გამოტოვების გარდა, რუსი ვარსკვლავი 99 ათას დოლარს გადაიხდის.

■ ■ ■

ტელეარხ TSN-ის ინფორმაციით, "ბოსტონ ბრუინზმა" ახალი შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის ერთ-ერთ ლიდერ **მარკ სავართან,** რომელმაც ფეხის მოტეხილობის შემდეგ ცოტა ხნის წინ განაახლა თამაში.

"ბოსტონთან" გაფორმებული შვიდწლიანი ხელშეკრულება იმას ნიშნავს, რომ სავარი "დათვების" რიგებში მინიმუმ 40 წლამდე ითამაშებს. ტრავმის გამო "ბოსტონის" ვეტერანმა წელს მხოლოდ 11 მატჩი ჩაატარა და 10 ქულა (4+6) დააგროვა.

## ფორმულა 1

### ტოიოტა ჩქარობს

იაპონური ავტოგიგანტი "ტოიოტა" ფორმულა 1-ის გუნდის გაყიდვას ჩქარობს. როგორც გერმანული გამოცემა Auto Motor und Sport წერს, თუ "ტოიოტა" თავისი საჯინიბოს დროულად გასხვისებას ვერ შეძლებს, ამ შემთხვევაში ის თანხმობის ხელშეკრულების პირობებს დაარღვევს და შესაბამისად, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისთვის 150 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

ამ მომენტისთვის გუნდის რეალურ მყიდველად სერბი ბიზნესმენი **ზორან სტეფანოვიჩი** სახელდება, რომელიც საინჟინრო კომპანია AMCO უდგას სათავეში.

ხელშეკრულება ითვალისწინებს "ტოიოტას" მზადყოფნას სეზონში 5 მილიონი ევროს ღირებულების ძრავების მიწოდებაზე. გარდა ამისა, კომპანია მყიდველს სთავაზობს ბოლიდ TF110-ის თითქმის დასრულებულ შასის. იაპონელები მნიშვნელოვან ფასდაკლებებზეც ლაპარაკობენ. თუმცა 2010 წლისთვის სერბ ბიზნესმენს მარტოს მოუწევს გუნდის ბიუჯეტის შევსება.

## დოპინგი

### ბიოლოგიური პასპორტი სავალდებულოა

ამ კვირას მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) გლობალური პროგრამის განხორციელებას დაიწყებს, რომელიც სპორტსმენებში ე. წ. ბიოლოგიური პასპორტების დანერგვას ითვალისწინებს. ეს ნაბიჯი WADA-ს სპეციალისტებს საშუალებას მისცემს, თვალი მიადევნონ ათლეტთა სისხლში ცვლილებებს. ასეთ შემთხვევაში დოპინგის მიღებას მაშინაც გამოავლენენ, როცა დოპინგსინჯის შედეგი უარყოფითი იქნება.

ბიოლოგიური პასპორტების სისტემა 2002 წელს შემუშავდა და ის უკვე აპრობირებულ იქნება სპორტის რამდენიმე სახეობაში, კერძოდ, ველოსპორტში.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-ქრიუ | 2:3 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ლუტონი-კეტერინგი | 0:1 |

**ინგლისი**

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-არსენალი | 3:0 |
| ბლექბერნი-ჩელსი | 2:2 პენ. 4:3 |

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| კატანია-ემპოლი | 2:0 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ხერესი-ბარსელონა | 0:2 |
| ბეტისი-ვილიარეალი B | 4:0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ბულონი-პსჟ | 2:5 |

**შოტლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არბროა-ალოა | 2:2 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| კოპერი-ინტერბლოკი | 0:0 |
| ოლიმპია-რუდარი | 0:1 |
| დომჟალე-გორიცა | 2:3 |
| მარიბორი-ნაფტა | 1:2 |
| პუბლიკუმი-დრავა | 3:0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-ლარისა | 0:0 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| აპეპ-დოხა | 1:1 |
| აეკ-არისი | 0:1 |
| აეპ-აპოპ | 4:2 |
| ენოსისი-ერმისი | 2:0 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-მარუსი | 78:65 |
| კახა ლაბორალი-რომა | 67:60 |
| ორლეანი-ოლიმპიაკოსი | 84:88 |
| რეალი-ხიმკი | 70:59 |

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ბიელა | 87:85 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ცედევიტა-შალონი | 83:89 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ლადა | 1:2 |
| ლოკომოტივი-დინამო (მნ) | 4:1 |
| ატლანტი-სკა | 1:1 |
| სპარტაკი-დინამო (მ) | 4:2 |
| მვდ-დინამო (რ) | 4:2 |

## TV პროგრამა

### 3 დეკემბერი. ხუთშაბათი

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 სპორტული სამყარო.
08:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლევსკი-ვილიარეალი.
10:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. აეკ-ევერტონი.
12:35 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე-ლიგა დე კიტო.
14:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:15 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
16:10 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური. რეალი-ხიმკი.
17:55 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტურის მიმოხილვა.
18:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ვანკუვერი.
20:25 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. V ტურის მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. V ტური (LIVE).
21:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შახტარი-ბრიუგე (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რომა-ბაზელი (LIVE).
06:40 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-რაპიდი.
02:00 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური. ბარსელონა-ფენერბაჰჩე.
03:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. V ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-კოლორადო (LIVE).
07:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. კოპენჰაგენი-კლუჟი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

09:20 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური. რეალი-ხიმკი.
11:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-კოლამბუსი.
12:40 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვალენსია-ლილი.
14:40 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-რაპიდი.
16:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ტვენტე-ფენერბაჰჩე.
18:20 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე-ლიგა დე კიტო.
20:05 სპორტული სამყარო.
20:35 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტურის მიმოხილვა.
21:05 სპორტული ცეკვები.
22:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ეინდჰოვენი-სპარტა (LIVE).
00:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ფულჰემი-ცსკა (ს) (LIVE).
02:10 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შახტარი-ბრიუგე.
04:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. კოპენჰაგენი-კლუჟი.
05:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რომა-ბაზელი.
07:40 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გალათასარაი-პანათინაიკოსი.

**EUROSPORT**

11:30 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
12:00 საჩოგბურთო? სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი.
12:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:30 ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. პეკინი. ჩინეთი.
14:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
15:45 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის სუპერთასი. II დღე. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი.
16:45 ფიგურული სრიალი. გერმანია.
18:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
20:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 რესტლინგი.
03:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი.

## ფორმულა 1

# საფრანგეთი არ იქნება?

როგორც ჩანს, ფორმულა 1-ის კალენდარში კიდევ კარგა ხანი არ ჩაჯდება საფრანგეთის გრან-პრი.

ცნობილია, რომ საფრანგეთის მთავრობამ ახალი, 4.5-კილომეტრიანი ტრასის აშენებისთვის პარიზის ჩრდილო-დასავლეთით, ფლინს-ლეს-მიროზე გამოყო ტერიტორია. მშენებლობისთვის საჭირო თანხის ძირითადი ნაწილი ივლინის დეპარტამენტს უნდა დაეფარა. ახალი ავტოდრომის ექსპლუატაციაში შესვლას 2011 წლისთვის ვარაუდობდნენ.

მაგრამ ახლა, როცა პროექტი თითქმის ბოლომდე იყო დამუშავებული, ივლინის საკონსულოს პრეზიდენტმა **ალან შმიტცმა** განაცხადა - *"დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტეთ ფორმულა 1-ის ტრასა არ ავაშენოთ".*

ასეთი მოულოდნელი დარტყმის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს საფრანგეთის გრან-პრის აღდგენის შანსი. "პოლ რიკარის" ავტოდრომის ბოსებმა უკვე გამოთქვეს ეტაპის ჩატარების სურვილი. სავარაუდოდ, სწორედ ისინი დათანხმდებიან ახალი თანამედროვე ტრასის მშენებლობას.

## კრივი

# ჯონსმა პირველ რაუნდში წააგო

ოთხ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ცნობილმა ამერიკელმა **როი ჯონსმა** პირველ რაუნდში წააგო ბრძოლა ავსტრალიელ **დენი გრინთან.** ამ უკანასკნელმა თავიდან ნოკდაუნში გაგზავნა ჯონსი, შემდეგ შეტევა გააგრძელა და რეფერი **ჯონ ფოსტერმა** ბრძოლა შეაჩერა, გრინს კი ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიანიჭა.

გრინისა და ჯონსის ბრძოლა გუშინ სიდნეიში გაიმართა. ამ შეხვედრაში ავსტრალიელმა დაიცვა 90-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში IBO-ის საჩემპიონო ქამარი.

ჯონსის წაგებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს მის ბრძოლას ამერიკელ **ბერნარდ ჰოპკინსთან,** რომლის გამართვაც 2010 წელს იგეგმებოდა. სავარაუდოდ, ჰოპკინსის მეტოქე გრინი გახდება.

როი ჯონსი, რომელიც 16 იანვარს 41 წლის გახდება, ჩემპიონის ტიტულს ფლობდა 72, 76, 79 და მძიმე წონით კატეგორიებში. პროფესიულ რინგზე მან 60 ბრძოლა გამართა და აქედან 54 (40 - ნოკაუტით) მოიგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი

# FIBA-ის ნომინანტები

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ იმ 16 კალათბურთელის სია გამოქვეყნა, რომელიც ევროპის 2009 წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას. მათ შორის არის ამ ნომინაციის შარშანდელი გამარჯვებული **პაუ გასოლი.** თუ "ლეიკერსის" ფორვარდის წლევანდელ ევრობასკეტზე თამაშს გავიხსენებთ, გამორიცხული არ არის, რომ პაუ წელსაც გახდეს აღნიშნული პრიზის მფლობელი.

გასოლს კონკურენტებად შემდეგი მოთამაშეები ჰყავს:

დირკ ნოვიცკი (დალასი, გერმანია)
ერაზემ ლორბეკი (ბარსელონა, სლოვენია)
ერსან ილიასოვა (მილუოკი, თურქეთი)
ჰედო თურქოგლუ (ტორონტო, თურქეთი)
იგორ რაკოჩევიჩი (ეფესი, სერბეთი)
იოანის ბურუსისი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)
ხუან კარლოს ნავარო (ბარსელონა, ესპანეთი)
ლიორ ელიაჰუ (კახა ლაბორალი, ისრაელი)
მარსინ გორტატი (ორლანდო, პოლონეთი)
მილოშ ტეოდოშიჩი (ოლიმპიაკოსი, სერბეთი)
ნიკოლა პეკოვიჩი (პანათინაიკოსი, ჩერნოგორია)
ნოვიცა ველიჩკოვიჩი (რეალი, სერბეთი)
რუდი ფერნანდესი (პორტლენდი, ესპანეთი)
ტონი პარკერი (სან ანტონიო, საფრანგეთი)
ვასილის სპანულისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)

ჩოგბურთი

# მარიამ მომავალი გაარკვია

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა** ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ჩავიდა, სადაც საჩვენებელ მატჩს გამართავს არგენტინელ **ხისელა დულკოსთან**, რომელთანაც წელს უიმბლდონის მესამე წრის შეხვედრა დათმო.

გარდა ამისა, რუსი ჩოგბურთელი დიზაინერის რანგში მოდის ჩვენებაში მიიღებს მონაწილეობას.

აეროპორტში გრანდიოზული დახვედრის შემდეგ, შარაპოვამ პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც სწორედ მოდის სამყაროთი დაინტერესების შესახებ ილაპარაკა. 22 წლის ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, მოდის ბიზნესში ტანსაცმლის დიზაინის განხრით აპირებს მოღვაწეობას.

*„მომწონს ტანსაცმლის შექმნა - შემოქმედებითი პროფესიაა და ეს ძალიან მხიბლავს,* - განაცხადა პრესკონფერენციაზე შარაპოვამ. - *ჩოგბურთმა ჩემ წინაშე ბევრი კარი გააღო, ბევრი შესაძლებლობა მომცა და შევეცდები ამის გამოყენებას, მათ შორის მოდის სამყაროშიც. ვფიქრობ, კარიერის დასრულების შემდეგ სწორედ ამ მიმართულებით გავაგრძელებ მუშაობას“.*



# მორესმომ წასვლა გადაწყვიტა

ფრანგი **ამელი მორესმო** პროფესიული კარიერის დასრულებას აპირებს. დღეს 30 წლის ჩოგბურთელი, რომელიც 21-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში, პარიზში პრესკონფერენციას მოიწვევს და იქ გამოაცხადებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

ამელიმ პროფესიული კარიერის განმავლობაში WTA-ის 25 ტურნირი მოიგო. ფრანგის აქტივშია აგრეთვე „დიდი სლემის“ ორი ტიტული - ავსტრალიის ღია პირველობასა და უიმბლდონზე. ეს ტურნირები მან 2006 წელს მოიგო. გარდა ამისა, მორესმო 2003 წელს საფრანგეთის ნაკრებთან ერთად ფედერაციის თასს დაეუფლა.

2004 წლის სექტემბერში ფრანგი პირველად კარიერაში სათავეში ჩაუდგა ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგს. პროფესიულ ტურში ამელის ჯამში 15 022 476 დოლარი აქვს გამომუშავებული.



# ენდიმ შეყვარებულს კომპიუტერი ამჯობინა

ცნობილი გახდა ბრიტანელი **ენდი მიურეისა** და მისი ან უკვე ყოფილი შეყვარებულის **კიმ სირსის** დაშორების დეტალები. ინგლისური ტაბლოიდი The Sun დარწმუნებულია, რომ ენდისა და კიმის უთანხმოების მიზეზი კომპიუტერული თამაშებისადმი ჩოგბურთელის გადამეტებული ინტერესი გახდა.

გაზეთის მონაცემებით, ენდის შეეძლო შვიდი საათი გადაბმულად ეთამაშა Playstation-ზე. გარდა ამისა, მას დაძაბული საწვრთნელი პროგრამა აქვს და შესაბამისად, გოგონასთვის თავისუფალ დროს ვერ პოულობდა. კიმი დიდი ხანი ითმენდა ამგვარ დამოკიდებულებას, მაგრამ რაღაც მომენტში მობეზრდა ენდის ლოდინი.

*„როცა მიურეის ვარჯიში არ ჰქონდა, კომპიუტერზე თამაშობდა, თანაც ამ საქმისთვის მთელ თავისუფალ დროს ხარჯავდა,* - ამბობს მიურეის ერთ-ერთი მეგობარი. - *კიმს ეს ძალიან აღიზიანებდა. მას ენდისთან ურთიერთობაში აშკარად მეტი უნდოდა“.*

სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა „ფერარი“ შეიძინა და შესაბამისად, ახალი გატაცება გაუჩნდა. „ენდი ისეთი ბედნიერი იყო თავისი ახალი „სათამაშოთი“, რომ კიმი სულ უფრო და უფრო გრძნობდა საკუთარ თავს ავეჯის ნაწილად და არა ჩოგბურთელის შეყვარებულად“, - ესეც ენდის მეგობრის სიტყვებია.

ფეხბურთი

# თეთრეული რეალისგან

მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობამ ახალი ბიზნესი წამოიწყო. „სამეფო კლუბმა“ ხელშეკრულება გააფორმა ფირმა Little Kiss-სთან. ეს უკანასკნელი „რეალის“ საკლუბო მარკით დამშვენებულ თეთრეულს გამოუშვებს. პროდუქცია სპეციალიზებულ მაღაზიებში მარტიდან გაიყიდება. გარდა ამისა, საცვლების შეძენა „რეალის“ საფირმო მაღაზიებსა და ინტერნეტ-მაღაზიებში იქნება შესაძლებელი.

გაზეთ „მარკას“ ცნობით, „რეალი“ პირველი სპორტული კლუბია, რომელმაც ქალებისა და კაცებისთვის გამოუშვა თეთრეული, რომელზეც კლუბის ლოგო იქნება გამოსახული.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

